ეს გარემოება ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც საზოგადოებრივი მიმართება და შესვასება პირობებს მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას და ადირად განსაზღვრავს ხელოვნების შემდგომი მოდერნიზაციის გზას. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია დაიწვიოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ნამდვილი ისტორია, უკეთეს არ იქნება გათვალისწინებული მკითხველთა (მამყურებელთა, მამულითა) ინტერესები და მათი მიმართება ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოებისადმი.

საილუსტრაციოდ მივმართით თეატრის მაგალითს. ჩვენ გვეჩინება ქართული თეატრის ისტორია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გზა გაიარა ჩვენმა თეატრულმა ხელოვნებამ. ეს ისტორია აბრე თუ ვიან დაიწყო რება. მაგრამ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება თეატრის ნამდვილი ისტორია, როდესაც გასცდება საკუთრივ თეატრის ფარგლებს და სექტაკლებზე ჩვენი მამყურების რეაქციების ისტორიასაც მოგვავლინებს. მხოლოდ ეს მოვცემს წარმოდგენას თეატრზე, როგორც ხელოვნებისა და ავტორიის ერთიანობაზე, და მხოლოდ ამ გზით გამოჩნდება საზოგადოებაზე თეატრის ზეგავლენის სახისათა. ამ რეაქციების ანალიზი განახავს თეატრის საზოგადოებრივ

როლს და გვიჩვენებს, რომ, ვთქვათ, პატრიოტული ბავშვის ხილვის დროს დარბაზში მყოფი მამყურებელი ისე იქცევა და იმას სჩადიოდა, რასაც, ძველი რეჟიმის პირობებში, თეატრს გართ მყოფი ხალხი იმითათად თუ გახებდა.

ასეთი იყო თეატრის ზეგავლენა წარსულში. ამჟამად ხელოვნებასა და ლიტერატურას უფრო მკვიდრი ადგილი უკავია ადამიანთა ცხოვრებაში. შეიძლება დაბეჭდილობით ვთქვას, რომ ახლა ადამიანთა აუცილებელ და ელემენტარულ მოთხოვნებზე არის ადაქციებული მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა, თეატრისა და კინოსი წასვლა, სამხატვრო გამოფენათა დათვალიერება, მუსიკალური ნაწარმოებთა მოსმენა... ხელოვნებას და ლიტერატურისადმი ინტერესი ახლა არავითარ ფუნქციას აღარ წარმოადგენს და, ძველი დროისაგან განსხვავებით, ახლა შეუძლებელია ასეთი ინტერესების მქონე ადამიანი რაიმე განკუთვნილებულ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდ. თუ ერთ დროს ხელოვნება მხოლოდ ზოგიერთი სოციალური წრის ადამიანთა ცხოვრების თანამზავარი იყო, ახლა იგი არა მარტო ახლავს ადამიანთა ცხოვრებას, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნებას აქვს პრეტენზია, რომ ხალხის ცხოვრების აუცილებელი ელემენტი იყოს. ფაქტია, რომ ახლა პირდაპირ ჩვენი მოსახლეობის ყოფაში შევიდა მწიკრი და კომპოზიტორი. მსახიობი და მხატვარი. ჩვენ ახლა იმეკარ პირობებში ვიმყოფებით, რომ წარმოუდგენლად მივგანინა ცხოვრება ხელოვნებისა და ლიტერატურის გარეშე, ახლა თითქმის წაშლილია ანდა ჩვენს თვალწინ იშლება — ის მიჯნა, რომელიც ადრინდელ საზოგადოებაში არსებობდა გონებრივ და ფიზიკური შრომის ადამიანთა შორის. ჩვენ ახლა მოწვენი ვართ იმ უღრმად მნიშვნელოვანი პროცესისა, რომელიც სოხვს წინააღმდეგობას ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, კლასიციზმის ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთ შერწყმას და შედუღებას.

და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი საკითხი მეტად აქტუალურ და ამასთან სრულიად კონკრეტულ შინაარსს იძენს. სასახელოდობ, ნათელსაყოფია, თუ რამდენად არის ასახული თანამედროვე ქართული მწერლობაში ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი ინტერესი; რამდენად ანაქტუალური ჩვენს მწერლობაში საბჭოთა ადამიანების გატაცება მხატვრული სიტყვით, თეატრალური სანახაობით, კინოტექნით, სამხატვრო გამოფენებით და ა. შ. რამდენად და როგორ არის განსახიერებელი თანამედროვე ქართული მწერლობაში ხელოვნებისა და ლიტერატურის ამა თუ იმ კონკრეტული ნიმუშების ზეგავლენა ჩვენს მუშებსა და კოლმურენებზე, ახალგაზრდობას და ინტელექტუალზე. ერთი სიტყვით, ნათელსაყოფია, თუ ქართული მწერლობის მიერ რამდენად არის ნაჩვენები ხელოვნებისა და ლიტერატურის ადგილი ჩვენი საზოგადოების ყოფაში, ხელოვნებისა და ლიტერატურის მონაწილეობა ჩვენი თანამედროვე ადამიანების ინტელექტუალურ და ემოციურ ცხოვრებაში.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ხშირად იხსენებენ ამა თუ იმ ხელოვნებას და აღნიშნავენ მის დამსახურებას. არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როდესაც მითითებულია გარკვეული ავტორის შთამავლებელ მნიშვნელობაზე. ამ თვალსაზრისით ქართული პოეზიისათვის ტიპიურია ისეთი ლექსები როგორც არის, ვთქვათ, გ. ლეონიძის „ვაჟა-ფშაველას“, ს. ჩიქოვანის „ნიკოლოზ მარათაშვილის საყაენ-



ში", მისივე პოემა „სიმღერა დათვი გურამიშვილზე“ და მრავალი სხვა. ასეთი ნაწარმოებები ავტორმა მეტად ღირებულ წარმოსახვას შეიკავენ და სინამდვილის ერთობ პოეტურ სურათს გვაწვდიან. და სწორედ იმიტომ, რომ მათ შინაარსი პოეტური წარმოსახვა ავსებს, ისინი, ეს თხზულებანი, მაინცდამაინც დიდ მასალას არ იძლევიან იმისათვის, რომ ვიმჯგალოთ, თუ როგორია ასახული ხელოვნების გავლენა ყოფაზე. სამაგიეროდ, არსებობს რიგი თხზულებები, რომელთაც თავიანთი ფორმის წყალობით, ადვილად შეუძლიათ ეპასუხნათ ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე: რამდენად რეალურია ხელოვნების ნაწარმოების გავლენა არა ადამიანთა სიტყვაზე, არამედ მათ საქმეზე (ქცევაზე, მოქმედებაზე)? ასეთი კი ის პროზული თხზულებები უნდა იყოს, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ასახვას.

მართლაცაა, შეიძლება თუ არა ისე დავახანიაოთ მუშათა და კომპიურნეთა ცხოვრება, რომ არც თეატრს, არც კინოს, არც მუსიკას და არც მხატვრულ ლიტერატურას არავითარი როლი აღარ მიუკუთვნოთ? შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ამდენი თხზულებადაა აღწერილი თანამედროვეობა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც ხელოვნება არავითარი ფაქტორის სახით არ მონაწილეობს ადამიანთა ცხოვრებაში? რასაკვირველია, ასეთი ნაწარმოები, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის ამა თუ იმ თვალსაზრისით, სათანადო სისრულით ვერ გვაწვდის ცხოვრების სურათს, რადგან მასში უტუფუღებულყოფილია თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური და ემოციური ინტერესები, მისი, როგორც იტყვიან, ინტელიგენტური ინტერესები. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომპიურნეობისა თუ ქარხანა-ფაბრიკის წმინდა საწარმოო მიზნები და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ამოცანები საგზებით დაუფუძუნენ ადამიანებს და იმდენად დაიპყრო ისინი, რომ ადვილიც კი აღარ დაუტოვებს ხელოვნებასა და ლიტერატურას! უეჭველია, რომ ეს ასე არ არის და, თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენს მხატვრულ მწერლობაში სათანადოდ არაა აღბეჭდილი ხელოვნებისა და ლიტერატურის ზეგავლენა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ლიტერატურას დაახასიათებს და არა ჩვენს ყოფას.

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ქართულ სინამდვილეშიც უაღრესად დიდი მნიშვნელობის კულტურულ-ესთეტიკური ფაქტორის მოწმეები ვიყავით და ვართ. ჯერ იყო და, ჩვენს თვალწინ გადაიშალა კოტე მარჯანიშვილის რეისორული ტელანტი, რომელსაც ვერცდღა ის. ახმეტელის ენერჯია ამოუღდა. ვერიკო ანჯაფარიძის და თამარ ჭაუჭავაძის, უშანგი ჩხვიძის და აკაკი ხორავას, შ. ლამაშიძის, ს. ზაქარაიძის, აკ. ვასაძის, ვ. გოძიაშვილის მიხედვითაა, მიზნარ-მოხვრა და ქცევა ჩვენი ახალგაზრდობის გატაცებისა და შეგნებული თუ შეუგნებული მიზანების საგანი გახდა.

ჩვენს საზოგადოებას მრავალი მხატვარი უნახავს და მრავალი მომღერალი, ღირიერი და კომპოზიტორი მოუსმენია. ფაქტია, რომ ჩვენი საზოგადოება გაიტაცა ვახტანგ ჭავჭავაძისა და მოხიბლა სხვადასხვა მხატვრულმა ანსამბლმა. ჩვენ სულ ახლანაშ ვიყავით იმის მოწმეები, თუ როგორ შეხვდა საზოგადოება ლადო გულიაშვილის ხელოვნებას და ვახტანგ გორგასალის უკუდავსაყოფად გამართულ საკონ-

კურსო გამოცენას. ჩვენს თვალწინ ყალიბდება ენერჯი და ფართოვდება მრავალპირი მხატვრული თვითმოქმედების წრე და ვუნდა. პირდაპირ გასაოცარია ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესი სამხატვრო, მუსიკალური და თეატრალური სასწავლებლებისადმი... აი, რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენი ხალხის ყოფაში. და თუ ამას დავუშვებთ მეცნიერულსა და ლიტერატურულ დისკუსიებს, პოეზიის გატაცებასა და მწერლობის გაგრძელებულ სურვილს, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ ამკვარ ინტერესთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ლაბარაკი ჩვენი თანამედროვეობის ასე თუ ისე სრულსა და სწორს ასახვაზე.

მაგრამ შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართულს პროზასა და დრამატურგიაში თავისი გამობატურება მხოვე სულიერი კულტურის ამ უზნიშვნელოვანესმა ფაქტობა? გვაქვს თუ არა იმის საშუალება, რომ მივთვითოთ მხატვრული ნაწარმოებებზე, რომლებშიც ნიშნულად იქნება ამა თუ იმ მხატვრული ქმნილების და მხოლოვანის შევსება?

წარსართის ცალკეული ხელოვნანი მთელი არსებით იყვნენ დაკავშირებული თავიანთი დროის ხელოვნების მოღვაწეებთან: საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებში ისინი იმორმებდნენ, ასწორებდნენ, ეკამათებდნენ ანდა უარყოფდნენ ურთიერთს. თავიანთი შემოქმედებით ისინი ერთიმორის პარალელურად კი არ მიიმართებოდნენ, არამედ ერთიმორისთან შეხებაში მოდიოდნენ და ურთიერთის უფო არსებობას გულსიმბოდნენ. მათი თხზულებების პერსონაჟებისათვის არსებობდა თანამედროვე მშობლიური ლიტერატურა და ხელოვნება. შეგვიძლია თუ არა ჩვენ საკმაო არადენობით დავასახელოთ ნაწარმოებები, რომელთა პერსონაჟების ცხოვრებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირის ფიქრსა და მსჯელობას ჩვენი მწერლობის და ხელოვნების ნიშნულზე? შეგვიძლია თუ არა ისეთ თხზულებებზე მივთვითოთ, რომელთა პერსონაჟებისათვისაც ჩვენი მწერლობის რომელიმე სახეს შთამაგონებელი მნიშვნელობა ჰქონოდაც, რომლისათვისაც მათ მიეძაოთ და რომელსაც ისინი გააკოლოდნენ? შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავასახელოთ ისეთი თანამედროვე ნაწარმოები, რომელშიც ჩაჩვენები იქნება პერსონაჟის გარდაქმნის პროცესი ლიტერატურისა და ხელოვნების გავლენით?

ჩვენ ამ თვლითაც უნდა შევხედოთ ჩვენს მწერლობას და თუ აღმოჩნდება, რომ საგრძნობა ამ რიგის ლიტერატურის საკლებობა, მაშინ იძულებული ვიქნებით ვადიაროთ, რომ კიდევ ბევრი ენერჯია უნდა დაიხაროს, რათა ცხოვრების ასახვის ამოცანამ ნამდვილად განსაზღვროს ხელოვნთა შემოქმედებითი გზა.

როგორც ჩანს, მიუხედავად გარკვეული სიმარტივისა, უაღრესად რთულია პრინციპი — „ხელოვნებამ უნდა ასახოს ცხოვრება“. ამ სიტუაციის სისი იწვევს, რომ ხელოვნებამ თავისი წარმომშობი ცხოვრების ასახვასთან ერთად, საკუთარი შემოქმედებითი როლიც უნდა გვიჩვენოს. მან უნდა ნათელყოს, რომ ფართთა ცხოვრების ასახვის ჩვენი პრინციპი: იგი ცხოვრების გარდაქმნასაც გულსიმბობს, რადგან ხელოვნება ვაგვეულებოთ როგორც მიზანყავა და როგორც ქმნადობაც.



ქანრული ქანდაკების ოსტატი

გიორგი ტყეშელაშვილი, ბორის კანდელაკი



ანდაკების დარგში გარკვეული ადგილი უჭირავს სხვადასხვა მასალაში განხორციელებულ ე. წ. „მცირე პლასტიკას“, ქანრულ ნაწარმებებს, რომელიც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახეობაა და დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში. ამიტომაა, რომ ეს დარგი უშუალოდაა დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მძერწაკები, კერამიკოსები, ლითონზე, ხესა და ძაღზე ჭრის ხალხური ოსტატები თავანაში ხელოვნებით აღამაზებენ ხალხს ყოვას, ზრდიან მის გემოვნებას, ავითარებენ მშენიერების გრანოზას.

ქანდაკების ეს დარგი რუსეთსა და კავკასიაში განსაკუთრებით განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რეალისტური ხელოვნების აღმავლობის ხანაში, რაც თავის მხრივ განაპირობებდა ამ ეპოქაში მოწინავე საზოგადოებრივი იდეების გავრცელებას, უზარალო ხალხის ცხოვრებისა და ყოფისადმი გაზრდილმა ინტერესმა.

XIX ს. 80-90-იან წლებში თბილისში მცირე ფორმის სკულპტურის დარგში მუშაობდა პოლინელი მოქანდაკე ფელქეზი ხოლოროვიჩი, რომელიც ქმნიდა პატარა ზომის ქანდაკებებს ქართული ცხოვრებიდან. მის მიერ გამოქმნილი ადამიანებისა და ცხოველების ფიგურები დიდი ექსპრესიითა და ოსტატობით ხასიათდებიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოლოროვიჩის შემოქმედებას შალღ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე, რომლის კაბინეტს ამუშევრებდა მისი ნამუშევრები (აქვეაა და ნამუშევრების ნაწილი სპ. ლიტ. მუზეუმში ინახება). ხოლოროვიჩი მიეკუთვნება ავგიტეე რამდენიმე ბუხტი — პირველი პორტრეტული ქანდაკები თბილისში, — დიდი რუსი მწერლების — ბუშინისა და გავროლის (რომლებიც ბალეშოა დიდმწიფი), დ. უსთინისა და დ. ერისთავის (მთაწმინდაზე).


არც ერთ შემთხვევაში, რომ სასწავლებლად მასთან მივიდა ნიჭიერი კბუკი აბელსანტერ თარხნიშვილი, რომელიც იმხანად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა.

ა. თარხნიშვილი დაიბადა 1875 წელს, გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში. ბავშვობიდანვე იყო გატაცებული ქანდაკებით, ხოლო გიმნაზიაში სწავლისას თავისუფალ დროს ძირწვას აწვდიდა. მის ნამუშევრებს ყურადღება მიჰქცია გიმნაზიის პედაგოგმა გედევანიშვილმა, რომელიც დაეხმარა კბუკს მოწუხოზილიყო ხოლოროვიჩთან. თარხნიშვილმა მოქანდაკესთან სულ სამ თვეს დაჟყო, მაგრამ დაკვირვებულმა და კულტურულმა პედაგოგმა ამ მცირე ხანში ბევრი მისცა ნიჭირ მოწვევას. ახალგაზრდას კიდევ უფრო გაუღვივდა სურვილი დაუღებლად მიეწვის ხელოვნებას.

ოჯახური პირობების გამო ა. თარხნიშვილი პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად. აქ შედის რუსეთში მშენიან განთქმულ ტექნიკურ საბავს ცენტრალურ სასწავლებელში, რომელიც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტთა შალღკვალიფიციური



აღ. თარხნიშვილი
უსინათლო რბეული
გლები



მოქანდაკე ალ. თარხნიშვილი

კადრებს ამახლებდა. ექვს წელიწადს სწავლობდა ამ სასწავლებლის არქიტექტურულ კლასში პროფესორების ჩიოვლისა და ბუტლიშვილის ხელმძღვანელობით. პეტერბურგში ა. თარხნიშვილი უახლოვდება ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, — მასთან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს — ივანე ჯავახიშვილს, კოტე მავაშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, პროფესორ ა. ცაგარელს, ბუბულიცის ნიკო ნიკოლაძეს და სხვ. რომლებიც ეხმარებოდნენ კბუკს როგორც მეტრიალურად, ისე მორალურად.

1898 წელს ა. თარხნიშვილმა წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი, და მას მიეკუთვნა სწავლული მხატვრის წოდება. მისმა სარმა ნამუშევრებმა — საათის მოდელმა (ბრიანჯაო) და დღეღობური XV-ს დროინდელი სტილის ჭაღმა გამოიღებზე პრემია მიიღო და შექმნილ იქნა სასწავლებლის მიერ (ისინი აქ დღემდე ინახება).

პეტერბურგის მხატვრული საგანმანათლებლო განყოფილებაში ნიკოლაშვილმა ახსნა არქიტექტურულმა ანსამბლემმა, ერმიტაჟისა და რუსული მუზეუმის უმდიდრესი ძეგლებში შესწავლამ დიდად განავითარა ახალგაზრდა შემოქმედის გემოვნება და მისი ინტერესი ცალკეული დარგებისადმი, კერძოდ დეკორატიული არქიტექტურისა და პორტრეტული ქანდაკებისადმი.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში ა. თარხნიშვილი ქმნის რამდენიმე საინტერესო ეანრულ ნაწარმებს. ზოგე მათგანი ექვე, ხოლო ზოგიერთი მხატვრის მუშაობურ სოფელში — ახალქალაქში გაიყვდა. პეტერბურგშივე გამოქმინა ა. თარხნიშვილმა ილია ჭავჭავაძის პატარა ბუხტი, რომელიც 50 ევგენშვილარად ჩამოიხსნა თბაშირში და 1897 წელს თბილისში იქნა გამოგზავნილი სარეალისტულიად. ამავე წლებში ი. ჯავახიშვილისა და ა. ცაგარელის დაკვეთით მოქანდაკე გამოქმინა შოთა რუსთომის პორტრეტი, ა. ცაგარელის მიერ 1888 წელს იტრუსალიის ჯვრის მონასტრის XII საუკ. ფრესკიდან კალაჯზე გაკეთებული ნახატი მხებდვით. თბაშირისაგან ჩამოსხმულ ეს ბუხტი თვით ცაგარელმა შეიმინა*. გამარჯვლებული და თბილისში გამოგზავნილი იქნა ენისკოპოსისა და სწავლულის გაბრიელ ქიქოძის (ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის აბტორი. მისი შრომა და ვაიოცა რუსულ ენაზე პეტერბურგში) ბუხტი და წმინდა ნინოს პარტიკული.

ახალგაზრდა მოქანდაკის უკვე ამ პირველ ნამუშევრებში ჩანს ავტორის დაკვირვებელი მიდგომა აღამინათა ხასიათისა და ინდივიდუალური ნიშნების გადმოცემისადმი, მოქანდაკის მტკიცე ხელი, რაც




ალ. თარხნიშვილი მახუცის პორტრეტი

შემდგომ ნაშუავერებში კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ნაშუავე-
ლოში დაბრუნებისას (1900 წ.) ა. თარხნიშვილი ძირითადად პორტ-
რეტულ ბიუსტებზე მუშაობს. 1902 წელს ქმნის ილია ჭავჭავაძის
ბიუსტს ნატურადან (ნატურალური ზომის). ცნობილია მწერალმა
ე. ვახაშვილმა ბიუსტი ჩამოსახვევია და შემდეგ ვადასცა თბილისის
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 1902-1907 წლებს მიე-
კუთვნება მხატვრის დის—ინჟინერ ვ. დროკოვას, გენერალ ზ. ჭავჭა-
ვაძის, ლ. მესხიშვილის და სხვათა პორტრეტები. 1914 წელს მოქან-
დაცულ კვლავ გამოიქრება ილია ჭავჭავაძის ბიუსტი და საჩუქრად გა-
დასცა საქართველოს თეატრალური მუზეუმს; შემდეგ ავრტივებ ის-
ტორიულ პირობა პორტრეტები (სოლომონ II, პატარა კახა—ერცყველ
მეორე) და მრავალი თანრული კომპოზიცია — „ძველი თბილისის მო-
ქალაქი“, „გორელი მოქალაქეები“ და სხვ.

ამავე პერიოდში თარხნიშვილი ხელმძღვანელობს თბილისის მნიშ.
ვნილოვან ნაგებობათა ფასადებისა და ინტერიერების დეკორატიულ-
არქიტექტურული გაფორმების სამუშაოებს. 1900 წელს არქიტექ-
ტორ კ. ტატიშვილის დაავადებით ავითებს ახლანდელი შ. რუსთავე-
ლის სახ. თეატრის ფასადის მოდიელს (სიმაღლით 1, 1/2 მ.), რომლის
მიხედვით განხორციელდა თეატრის ფასადი. 1905-06 წელს არქი-
ტექტორ სიმონ კლიაშვილის მიწვევით თარხნიშვილი მუშაობს სა-
თავადაზნაურო გამოსაჩინის (ახლანდელი ი. ბ. სტალინის სახელობის
სახ.) უნივერსიტეტი შენობის არქიტექტურულ გაფორმებაზე, ხოლო
1909 წელს მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს კინოთეატრ

ალ. თარხნიშვილი ქართული ორნამენტები



ალ. თარხნიშვილი ელ. ჩერჭიბიშვილი და ვ. აბაშიძე
სპექტაკლში „ჯერა დაიხონენ, მერე იქორწინეს“.



„აპოლოს“ (ახლანდელი „ოქტომბერი“) არქიტექტურულ-დეკორა-
ტიული გაფორმების სამუშაოები.


საბჭოთა პერიოდში ა. თარხნიშვილი გაორკეცებული ენერჯით
განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას; ბიუსტებიდან გადადის ბარე-
ლიელებზე, რომლებსაც დიდი ოსტატობით ასრულებს. პირველ
რიგში აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, შავეა დღაიანის,
მკო საფაროვა-აბაშიძის პორტრეტი-ბარელიეფები. 80-40-ან წლებში
ა. თარხნიშვილი ქმნის მრავალ ნაწარმოებს თანრულ ქანდაკებაში; ეს
არის ძველი თბილისის ტიპები, გლეხები, საბჭოთა საქართველოს
ადამიანები-კოლმურენები. მოქანდაკის შემოქმედებაში მნიშვნელო-
ვან ადგილს იჭირს აგრეთვე თეატრალური თემატიკა — მსახიობები
როლებში, სცენები სპექტაკლებიდან. ეს ნაშუავერები დღეანტულა
სხვადასხვა მუზეუმებში — თბილისის თეატრალური, გორის ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სხვ.

პარალელურად ა. თარხნიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბი-
ლისის ისეთ მნიშვნელოვან ნაგებობათა არქიტექტურულ-დეკორა-
ტიულ გაფორმებაზე, როგორც არის საქართველოს სსრ შიჯარობის
სახლი, საქვლიაქმონის სასულსული და სასაზრო თეატრი, სა-
ქართველოს მწერალთა სახლი და სხვ. ა. თარხნიშვილს ეკუთვნის გო-
რის პედაგოგიური ინსტიტუტის ფასადისა და ინტერიერის, ხოლო
დეუთეში — სადგურის გაფორმება.

ა. თარხნიშვილს გარკვეული დეწლი მიუძღვის მებრწვათა და
მოდილისტთა კადრების აღზრდის საქმეშიც. მისი მოწვევები, რომ-
ლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მუშაობენ, აშუღავნიდენ

იტატობას და გემოვნებას შენობაში მხატვრული გაფორმებისას.
მსოფლიო მოქანდაკე იქვს ათეულ წელზე მეტია იღვწის ქართულ-
და სახვითი ხელოვნების სარბიელზე. იგი იმსახურებს იმას, რომ სა-
ქართველოს მხატვართა კავშირში მოაწილოს მისი ნამუშევრების გა-
მოყვანა, ხოლო თვით ნამუშევრები ჩამოსხას თანამოზრისას ან ლიო-
ნისაჲს. მათ სიამოვნებით შეიძინენ რაგორ ჩვენი თანამემამულენი,
ესე ჩამოსული ტურისტები და ექსკურსანტები.

* რედქციისაჲს. იმის გამო, რომ «ვეფხისტყაოსნის» დ. კარიკა-
ზილისეულ გამოცემაში მოთავსებული რუსთაველის ბიუსტის ავ-
ტორის სახელის ინიციალი სწორედ არ იყო დაწერილი, დიდხანს გა-
დურდევდნენ ირგებამ ამა ბიუსტის ავტორის ვინაჲშია. ახლა საბო-
ლოდ გამოირკვა, რომ ბიუსტის ავტორია არა ნ. თარხნიშვილი,
არამედ ა. (ალექსანდრე) თარხნიშვილი, რომელმაც, რედქციის
თხოვნით, ჩვენს ჟურნალს შემდეგი წერილობითი ცნობა მოაწოდა:
„1900 წელს ანატოლტერბოლში ჩემთან შევიდა ივანე ჯავახი-
შვილი და გადმომცა პროფ. ალექსანდრე ცაგარის თხოვნა — გამე-
ყვინა ბილი ქართული პოეტის შოთა რუსთაველის ბიუსტი. ი.
ჯავახიშვილმა თან მომიტანა ცალკეუბ ნახატი რუსთაველის სურათი,
ა ცაგარის მიერ ჯავახის შინაბატრის ბოდიდან გადმოხატული
შემდეგ მე და ივ. ჯავახიშვილი ერთად წყვილთ პროფესორ ა. ცა-
გარელთან ა ცაგარელზე მესაუბრა, ამიწერა, თუ როგორ იყო მიზა-
რული იტრუხალში. შოთა გრძელი წვეთი, როგორც ქორდა
ქნულა, ტანისაჲსი. მისი ნათქაჲსი და მისეუბ ჩინაბატლან თხა-
ნი ვაგეიყო რუსთაველის ბიუსტი ვინაც ცალკეუბ, 40 სანტიმეტრის
სამაღლითა; შემდეგ კი თანამოზრის ჩამოსახსი და ალექსანდრე ცაგა-
რელს ვადავიციე.
შოთას ბიუსტის ფოტოგრაფიულქაჲთა „ვეფხისტყაოსნის“ თავის
გამოცემაში დაბედა დავით კარიკაშვილმა, რომელსაც ჩემი სახელი
დავუწერა და სახელის ინიციალის „ა“ (ალექსანდრე) ნაცლად
„ნ“ დაწერა. შემდეგ როცა დ. კარიკაშვილმა მხახა, მოიხარა შენი
სახელი არ გამახსენდა და „ნ“ დაწერეო, არ გეწყინოსო.
ჟურნალ სასპეციალ ხელოვნების“ 1958 წ. № 8-ში გამოქვეყნებულ
რუსთაველის სურათი არ მინახავს, ახლა მას პირველდ ვხედავ.
მოქანდაკე ალექსანდრე მახვილის ძე თარხნიშვილი. 1959 წლის
10 თებერვალი“.



ალ. თარხნიშვილი შალვა ღალიას პორტრეტი

ირაკლი გამრეკელის სახლი-მუზეუმი

ლონდა მებურიშვიდი

ამას წინათ თბილისში ძერკინისკის ქუჩაზე (№ 14)
გაიხსნა ხელოვნების დამასახურებელი მოღვაწის ირაკლი
გამრეკელის სახლი-მუზეუმი. მუზეუმის შესასვლელთან
მოთავსებულია მემორიული დაფა წარწერით: „ამ სახლში
ცხოვრობდა გამოჩენილი მხატვარი ირაკლი გამრეკელი“.

აქ ქმნიდა ირაკლი გამრეკელი თავის თეატრალურ-
დუკორაციულ ტილოებს, აქ აუშუშავებდა ესკიზებს ბრწყინ-
ვალ სპექტაკლებისას, რომლებმაც რუსთაველის სახელო-
ბის თეატრის მხატვრული სახე გამოიკვეთეს.

ირაკლი გამრეკელის მუზეუმი დიდ დარბაზიან შენო-
ბაში როდია მოთავსებული. მას ორად-ორი ოთახი უჭირავს,
თუცა მისი მემკვიდრეობა ჩვენი თეატრალური ხელოვნე-
ბის ფსადულებელ საგანძურს წარმოადგენს.

ირაკლი გამრეკელმა ორსაზე მეტი დადგმა განახორ-
ციელა როგორც რუსთაველის, ისე სხვა თეატრების სცენა-
ზე. მის მაღალმხატვრულ ნამუშევრებს საქართველოს გა-
რეთაჲ იცნობდნენ. ახალგაზრდა მხატვრის დეკორაციების
ესკიზები და მათეტიბი ჯერ კიდევ 1929 წელს პარიზში
გაიგზავნა, ხოლო 1938 წელს მსოფლიო გამოფენის სტენ-
დებს ამუშავებდნენ ნიუ-იორკში.

მუზეუმში ექსპონირებულია 70 ესკიზი. პირველ ოთა-
ხის ერთ-ერთ კუთხეში გამოფენილია ირ. გამრეკელის
თეატრალური პერიოდის ნამუშევრები: „ქალი ფორთოს-
ლით“ (1921 წ.), „იფიანობა“ (1921 წ.), „გოდება“

(1920 წ.), „სევდა“ (1923 წ.), „მე და ცირკი“ (1923 წ.),
„აჩრდილთა სამყარო“ (1920 წ.), „სალომეა“ (1920 წ.)
და სხვა. ეს იყო ძიებით აღსავსე პერიოდი, როცა
რევოლუციური ცხოვრების გადმოსაცემად მხატვარი
იმ დროს გაბატონებულ, შემდეგში თვით ავტო-
რის მიერ უკუგდებულ, პლასტიკურ ფორმებს მიმარ-
თავდა.

ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „სალო-
მეა“, რომელიც 1922 წელს ე. მარჯანიშვილს უნახავს ვა-
მოფინაზე, მოსწონებია და მისი ავტორი ჯერ მოსკოვის
ახალ თეატრში, ხოლო შემდეგ კი რუსთაველის სახე-
ლობის თეატრში მიუწყევია სამუშაოდ. ამავ ოთახშია
„ჰამლეტის“ და სხვა სპექტაკლების ესკიზები, რომლებიც
გამოირჩევიან ნახატის ლაკონიურობით, სცენური ვანლა-
გების მიხედნილობით და არაჩვეულებრივი პლასტიკურო-
ბით.

უყურებთ დეკორაციულ ესკიზებს, ათვალერებთ დაღვ-
მის მათეტიბს და გაოცებთ ი. გამრეკელის შემოქმედებითი
გაქვებზე, ვეფინებზე, კომპოზიციის გრძობაზე.

სახლ-მუზეუმის სტენდზე მოთავსებულია „ზაგაშის“,
„ლატავრას“, „ლამარას“, „თუნუღლის“, „რდევის“,
„პუგენიოვლის“ და სხვა სპექტაკლების ესკიზები. აქვეა
„ინტერანოსის“ დეკორაციის ესკიზის რამდენიმე ვარიან-
ტი. სურათზე მხედავთ ფსკებმაგარ მუხას, რომელიც „სო-

ციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ხალხის უძლეველობის სიმბოლოს წარმოადგენს".

მხახველზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს სპექტაკლ „ანზორის“ სცენა, ლეკთა აულის ოსტატური განლაგება, რომელიც სცენური მოქმედების ფართოდ ვაშლის საშუალებას იძლევა. ი. გამარეკელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადვილი უჭირავს სპექტაკლ „ოტელოს“ გაფორმებას, რომელიც გამოირჩევა ნიუანსების სიმდიდრით, პანორამებითა და ჩამოსხმული კომპოზიციით. „ოტელოს“ სურათების ესკიზები გიტაკებთ ფერების იშვიათი შეხამებით, ჭერბადობით, მდიდარი კოლორიტით, ღრმა ემოციით.

ფექტური სპექტაკლ „რდევას“ დეკორაცია კრების ერთიანტეტურებს მხატვარმა მონუმენტური სახე მისცა — მამულებლის ყურადღების ცენტრში მოათავსა კრებისური და არა ზღვა. გეგმავდა რა სცენის სივრცეს, ირ. გამარეკელი ცდილობდა შეეძინა ისეთი დეკორაციები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ გამოხატვით და ნათელი მიზანსცენების ჩამოყალიბებას. მხატვრულად ღრმად არის გახსნილი სპექტაკლი „არსენაც“, რომელმაც ჩვენი ქვეყნის თეატრალური და ლიტერატურული საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

მხატვრების მიერ დამუშავებული ესკიზების საუკეთესო ნიმუშები გვაკრძობნიებენ მოქმედების ატმოსფეროს. მხატვრის კომპოზიციები იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მათში გამოყენებულია არქიტექტურული ფორმები, შესრულებულია ეპოქის ფაქიზი გრძნობით. დრამატული ნაწარმოების გაგება ეხმარებოდა მხატვარს მოცა კომპოზიციის ორგანული შერწყმა რეჟისორულ ჩანაფიქრთან.

შესანიშნავია „დაისის“, „აბესლომ და ეთერის“, „ბოვან ხმელნიცის“, „ნაპერწყლიდან“, „მთების გულის“, „კიკიძის“, „პატარა კანის“, „ლაღო კეცხოველის“ და სხვა დადგმების ესკიზები, რომლებიც მოწონებენ მხატვრის შემოქმედებითი ჩანაფიქრების სიმდიდრეს.

ირაკლი გამარეკელის სამუშაო ოთახში ამშვენებს სახელგანთქმული მხატვრების — ნიკო ფიორსმანიშვილის, ლაღო გულიაშვილის და ალექსანდრე ბაგეჩუქ-მელიქოვის ნამუშევრები. ლაღო გულიაშვილის მიერ შესრულებულია ირაკლის მუდღის — ელენე ვანჩაძის პორტრეტი. სპეციალურ კარადებში განლაგებულია მხატვარი მასალა. აქ ნახათ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ ილუსტრაციებს, ფანქრით ნახატ სურათებს, რომელიც ირაკლის შეუსრულებია ათი წლის ასაკში. აქვეა ყურნალ-ვაჭურები, პროგრამები, „საბატიო ნიშნის“ ორდენი, რომლითაც 1936 წელს დააჯილდოვეს ი. გამარეკელი დეკორაციულ ხელოვნებაში მიღწეული დიდი წარმატებისათვის. ვიტრინაზეა ყურნალი „H₂SO₄“-ის ეგზემპლარი, რომელიც ი. გამარეკელმა გააფორმა. ამ ყურნალის გაფორმებით მხატვარმა ეროვნული ხარკი გადაუხადა ფორმალიზმს, მაგრამ სულ

მალე მან იგი უარყო და დაადგა ცხოვრების რეალისტურად ასახვის გზას ქართულ დეკორაციულ ხელოვნებაში.

მხატვრის სამუშაო მაკიდაზე ყურადღებას იპყრობს სპექტაკლ „ერწინის ვიზორის“ ესკიზი. ამ წარმოდგენის გაფორმება მხატვარს არ დასცალდა. აქვეა სურათი ირაკლი გამარეკელის საყვარელი მწერლისა და პირადი მეგობრის ა. ნ. ტოლსტოისა, წარწერით: „ჩვენი მომავალი დიდი ეთნოზიგი მუშაობის საწინდარად“, მიკლა ბაქანთან და ა. კორნიეიჯთან ერთად გადაღებული ფოტო ა. კორნიეიჯი დიდად აფასებდა მხატვრის ნიჭს, ირაკლი გამარეკელის მუდღისადმი მიწერილი კერძო ბარათში იგი წერდა: „Иракий Ильич глубоко постиг исторический смысл героической борьбы украинского народа и нашёл замечательное образное решение спектакля «Богдан Хмельницкий»“.

სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მუზეუმს გადასცა კოტე მარჯანიშვილის სურათი წარწერით „ირაკლი გამარეკელის სახლ-მუზეუმს უძღვნის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ძვირფასი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის სურათს, რომელიც დიდად აფასებდა ირაკლი გამარეკელის უსაზღვრო ნიჭიერებას“. სახლ-მუზეუმში ყურადღებას იპყრობს ერასტი ვანჩაძის მიერ შესრულებული ირაკლი გამარეკელის ბიუსტი.

ირ. გამარეკელის სახლ-მუზეუმის გახსნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა თეატრალურ ცხოვრებაში. როცა ამ გამოფენას ეცნობით მადლობის გრძნობა გაიყრობთ ი. გამარეკელის მუდღის — ელენე ვანჩაძისადმი, რომელმაც ამ მუზეუმის ორგანიზაციით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების უანგარო სიყვარული და საქმის ცოდნა გამოიჩინა, მუზეუმში საშუალებას აძლევს ჩვენი და შემდგომი დროის თაობებს გაეცნონ დიდი მხატვრის შესანიშნავ ქმნილებებს, შეისწავლონ მისი საინტერესო გზა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა საქართველოს კულტურის ზრდასა და განვითარებასთან.

ირაკლი გამარეკელის სახლ-მუზეუმის გახსნას დიდის ინტერესით ღვებდა ფართო საზოგადოებრიობა. მუზეუმის გახსნის დღეს ძერჯისკის ტუნაზე თავი მოიყარეს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, თეატრისა და მხატვრების მოყვარულმა მრავალმა ადამიანმა.

სახლ-მუზეუმში გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვერეიკო ანჯაფაროძემ. სიტყვებითა და მოკონცერტებით გამოვიდნენ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი — საქ. სსრ სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ზესო ქლენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დიმიტრი დავაძე და სხვ.



თანამედროვე სლოვაკური ოპერა თბილისის სცენაზე

გულბო ტორაძე

(ე. სუხონის „კრუტინიავა“ დადგენის გამო)

ჩეხოსლოვაკიისა და ქართველ ხალხთა კულტურული ერთობა და თანამეგობრობა მრავალ ათეულ წელს ითვლის და მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ფაქტითაა აღბეჭდილი. მიოგორონი თუნდაც ცნობილი ჩეხი მომღერალი და ლოტბარი იოსებ რატილი და მისი მოღვაწეობა საქართველოში, სადაც მან მეორე სამშობლო პოვა, ადამიანი, რომლის სსოვნაც სათუთად შეინახა მადლიერმა ქართველმა ხალხმა. მიოგონით ისეთი ფაქტები, როგორც არის ე. დოლიძის „ქეთო და კეთი“ პირველი დადგმა საზღვარგარეთულ სცენაზე (ბრადა, 1952 წ.), ან კიდევ ქართველ შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების ღირსამახსოვრო წარმატება ოქროს ბრადში: აქ პირველად ვახდენენ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებში მარინე იაშვილი და საქართველოს სახელმწიფო კვებრანტი. ვაგისენით ჩეხი არტისტების მუდამ მხურვალე სიმაპითი მიღებული გამოსვლები თბილისში — დაწვეული სახელგანთქმული იან კუბელიცი და ვათაგენი მომღერალ გ. ვაგლიატი, რომელმაც ამ რამდენიმე თვის წინ მონაწილეობა მიიღო სწორედ სარეცენზიო სპექტაკლში — თბილისის საოპერო თეატრის ახალ დადგმაში.

ახლანან ჩეხოსლოვაკიისა და ქართველ ხალხთა კულტურული თანამეგობრობის ისტორიაში კიდევ ერთი ახალი და სანატრესო ფურცელი ჩაიწერა. ზ. ფლიაშვილის სანჯლოსი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე პირველად საბჭოთა კავშირში დაიდგა მოძვე ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი კომპოზიტორის ეუგენ სუხონის ოპერა „კრუტინიავა“ („მოჩვენი“). ფაქტი მრავლისმეტყველი და სასიარულოა (ჩა ხანა) ადრე ვეიხილავს ჩვენ საოპერო სცენაზე არა თუ უცხოელი, არამედ საბჭოთა — არაქართველი თანამედროვე კომპოზიტორის ნაწარმოები!

თეატრის არჩევანი არ იყო შემთხვევითი. „კრუტინიავა“, რომელიც პირველად 1949 წ. დაიდგა ბრატისლავაში, ჰქონდა ევროპული მასშტაბის მხატვრული რეზონანსი. ამჟამად „კრუტინიავა“ სრულფასოვანი სცენური სიკოცნებით ცხოვრობს არა მარტო ჩეხოსლოვაკიაში, სადაც იგი ყველა საოპერო თეატრში იდგმება, არამედ ავსტრიაში, გერმანიაში დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. მზადდება მისი დადგმები პოლონეთსა და რუმინეთში.

„კრუტინიავას“ ავტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის საპაზის ლაურეატი — ეუგენ სუხონი (დაიბადა 1908 წელს) თანამედროვე ჩეხოსლოვაკიის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მის კალამს, ზემოხსენებული ოპერის ვარ-

და, ეკუთვნის გმირულ-ისტორიული შინაარსის ოპერა „სევიკთალევი“, სიმფონია „მეტამორფოზები“ და სხვ.

კომპოზიტორის დიდი ნიჭი, მშობლიური ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნა და მაღალი პოეტურობისა და განსაკუთრებით ნათლად გამოვლენდა მის ცენტრალურ ნაწარმოებში — „კრუტინიავაში“, რომელიც, უცხოელი სტევილისტების პროვოზით, თანამედროვეობის ერთ ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ საოპერო ნაწარმოებად იქნება აღიარებული ევროპაში.

„კრუტინიავა“ მოფიქრებულია მძაფრ დრამატულ, კონფლიქტურ ასპექტში. ოპერის მოქმედება მიდის ბურჟუაზიული რესპუბლიკის პერიოდის სლოვაკურ სოფელში. ლიბრეტო ოსტატურადაა შედგენილი მ. ურბანის ნოველის („ზემო წიკელითან“) საფუძველზე, ცნობილი ჩეხი მონადერლის სტეფან პონა მიერ (სხვათა შორის, ეს უყანა-კნელი იყო ონდრეის როლის პირველი შემსრულებელი „კრუტინიავაში“).

მოგვახსენებ „კრუტინიავას“ მოკლე შინაარსს: ზურგში მოხდენილი ვერაგულად მოკვლევს ახალგაზრდა გლეხი — იანკო. მის სიცოცხლეს — დარბ კატრენას ძალით მიათხოვენ ბენ სოფლის შეძლებული ბობოლას შვილს — თავმოწოწონდრეის. მოკლულის მამა — მოხუცი შტელინა, რომელიც ამაოდ ეძებდა სამართალს პოლიციაში, გადაწყვეტს მას კუთარი ძალეობით იპოვოს მეკლელი და მოსთხოვოს მის პასუხი. ცხოვრება თვითონ ეხმარება მას ამ საქმეში... ვაგიდა დრო. ონდრეი ბედნიერია, მას ვაგი შექმინა. მალე იგი თავისი შვილის სახის ნაკვთებში იცნობს მის მიერ ტყეში ვერაგულად მოკლული მეტოქის იანკოს იერს. შემწრუნებელი ონდრეი თავისდაუნებურად მიაშურებს მეკლელისს ადვილს, მას სტანჯავს სინდისი და კომპარული მოჩვენებები. ამ დროისათვის მოხუც შტელინას უკვე ხელთ აქვს ონდრეის დანაშაულის ეჭვმიტანიული საბუთები, და იგი შურისძიებისკენ მოუწოდებს ხალხს, მაგრამ ეს საბჭოთი აღარაა. ონდრეი თვით აღიარებს დანაშაულს. მოხუცი შტელინა ბედნიერია: მას შვილიშვილს ჰყავს და ამით მან იპოვა მიზანი ცხოვრებაში. ბედნიერია კატრენაც, რომელსაც მოკლე დროის მანძილზე ორჯერ გადახდა მწვავე სულიერი დრამა.

ბოროტმოქმედებით შეუძლებელია მოიპოვო ბედნიერება, სიმართლე უძლეველია — ასეთია ოპერის ძირითადი ეთიკური იდეა.

მიუხედავად ღრმად ტრაგიკული შინაარსისა, ე. სუხონის ნაწარმოები მაღალი და ნათელი ჰუმანისტური დედააზრის მატარებელია. ესაა რწმენა სიცოცხლეში და კეთილი საწყისის საშოლო გამარჯვებაში. ამ იდეის გან-



მტკიცებას ხელს უწყობს ხალხის როლის თანამიმდევრული წინ წაიწოვეთ ოპერაში. ხალხი აქ როდია ბასიური მოწმე დიშნადარი ამბებისა, იგი უმაღლესი, მორალური მსჯავრმდებელია, რომელიც შეფასებას აძლევს გმირთა საქციელს. ხალხური ცხოვრების ცოცხალი და კოლორიტული სურათები (I, III, VI სურათები) საჭირო კონტრასტს ქმნიან დრამატულ სცენებთან, ხაზს უსვამენ მათ მძაფრ ემოციურ ხმოვანებას.

კომპოზიტორი, რომელიც არსად არ მიმართავს ხალხური მელოდების ციტატური დაბეჭდვების მეთოდს, ქმნის ნათელი ეროვნული კოლორიტის მუსიკას. აი, რას ამბობს თვით კომპოზიტორი: „ოპერა „კრუტინაევში“ მე საშუალება მქონდა უხვად მესაზრდოვარ ჩვენი ეროვნული მუსიკის უზრტი წყაროთი, მე ყურს ვუვლებდი სლოვაკურ მეტყველებას, სლოვაკურ ხალხურ სიმღერას, ვაკვირდებოდი სლოვაკურ ეროვნულ ცეკვებს, ჩვენს წინაპართა ჩვეულებებს, სლოვაკური სოფლის ცხოვრების ღრმა შესწავლის მხრით მე ცვდილობდი მუსიკალურ ფორმაში გადმომეცა კარაბატების კალთებთან მოსახლე ხალხის ნაღველი და სიხარული, ზრუნვა და ოცნებები მათი მიმემ სოციალური ჩაჯვრის პერიოდში. მე მონარული ვარ, რომ ამ ოპერაში მოვახერხე ჩვენი ძვირფასი სამშობლოს, ჩვენი საყვარელი სლოვაკიის ერთი ნაწილის დახატვა“.

მოუხერხდა ყანრულ-ხალხური საწყისის ასეთი მნიშვნელობა, ოპერაში, ბირველ რიგში, მინაც მისი დრამატული სცენები იქცევენ მსმენელის ყურადღებას. ასეთებია, მაგალითად, განხეთქილების სცენა ონდრეის, შტელინასა და კატრენას შორის (მეორე მოქმედების მეოთხე სურათი) და, განსაკუთრებით, ოპერის ნამდვილი კულმინაცია — ონდრეის კომპარის შემადრწუნებელი სცენა.

„კრუტინაევში“ ე. სუხონის არ მისდევს საოპერო ფორმის ტრადიციულ „ნომრულ“ სტრუქტურას. ნაწარმოები მოფიქრებულია, როგორც მუსიკალური დრამა, რომელშიც დამთავრებული, დამრგვალებული ვოკალური ეპიზოდები მოქმედების გამჭოლი განვითარების საერთო პროცესში წარმოიქმნიან, მაგალითად, ონდრეის არიოზო „მე ზღენიერი ვარ“, კატრენას ნანა, შტელინას მოწოდებები.

ოპერის ვოკალური სტილი ეწყარება მოქნილ, საკმარისად მრავალფეროვან რეჩიტატივს, რომელიც მკაფიოდ ასახავს გმირთა განწყობილების ცვლას, მათი მეტყველების ინტონაციურ სიმდიდრეს.

ამ ოპერის ფერადოვანი, თანამედროვედ ხმოვანი საორკესტრო პარტიტურა შეესაბამება მუსიკის დაძაბულ დინამიურ ტონუსს.

თბილისის საოპერო თეატრი, კარგა ხანია, „კრუტინაევში“ დანერგესდა. თეატრის მთელი საშემსრულებლო კოლექტივი, სპექტაკლის ავტორები — სსრკ სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი და რეჟისორი-დამდგმელი — ხელღონების დამსახურებული მოღვაწე მ. კვალაიაშვილი ნამდვილი შემოქმედებითი გატაცებით მუშაობდნენ და კარგადაც მოამზადეს შესრულებული.

ე. სუხონის ოპერის შესრულება (ეს თანაბრად ენება

ვოკალისტებსაც და ორკესტრსაც) დიდ სიძნელებს შეიცავს. მათი დაძლევა მხოლოდ მაღალპროფესიულ შემოქმედებით კოლექტივს ძალუძს. ამ შემთხვევაში ეს გარემოება ღრმავლენა იმითაც, რომ მ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის პრაქტიკაში არ არის დამკვიდრებული ახალი საოპერო ხელოვნების საშემსრულებლო ტრადიციები. შეიძლება ითქვას, რომ თეატრმა არსებითად კარგად ჩააბარა ფრიად სერიოზული გამოცდა და შექმნა მრავალმხრივი საინტერესო სპექტაკლი.

„კრუტინაევს“ როდუმაც სიმფონიურებულმა პარტიტურამ ნიჭიერი და ტექნიკურად ინტერპრეტატორი პპოვა დირიჟორ ო. დიმიტრიადის სახით. ორკესტრი მისი ხელმძღვანელობით მწყობრად, შუთახმებულიად ჟღერს. შეენიშნავივით ოლიონდ დირიჟორის ერთგვარ მიდრეკილებას ფორსირებული ხმოვანებისადმი.

დადებით შეფასებას იმსახურებს მ. კვალაიაშვილის ნამუშევარიც. რეჟისორმა შეძლო სპექტაკლის ყველა მხატვრული კომპონენტის ერთ მთლიანობაში მოყვას, ხალხის — მასის აქტიური როლის გამახვილება. აღსანიშნავია, რომ „კრუტინაევს“ დადგმა რეჟისორისთვის ერთგვარად „სამართლიან“ იყო — მას 60 წელი შეუსრულდა. როგორც მუდამ, ამჯერადაც მ. კვალაიაშვილის ნამუშევარი პროფესიული კულტურით გამოირჩევა.

მწყობრად ჟღერს გუნდი (ქორმისტიკები ე. ტერიშვილი და გ. ზუზრიაძე). კარგია მხატვარ კ. კუკულაძის დეკორაციები და აგრეთვე ცეკვების დადგმა, რომელიც თეატრის სტუმრს, ბრატისლავის ეროვნული თეატრის ბალეტებისტივის მთლან ვერისს ეკუთვნის.

სპექტაკლის საუკეთესო საშემსრულებლო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ნ. ანდრუაძის გამოსცხლა ოპერის ცენტრალური როლი (ონდრეი). იგი ბრწყინვალედ ძლევს ამ პარტიის ვოკალურ და სცენურ სიძნელებას. სასიხარულოა, რომ ნიჭიერი მომღერალი იზრდება პარტიიდან პარტიამდე. ონდრეის როლში წარმატებით გამოიღოს რესპ. სახალხო არტისტი ნ. ბელაშვილი, ამავე პარტიაში მოხდა ახალგაზრდა მომღერლის ო. ფხაკაძის დებიუტი. მაღალი მუსიკის ღირსია შტელინას როლის შემსრულებელი ო. მუშკელიანი, რომელიც გარეგნულად მკაცრი, მაგრამ მოსიყვარული მოსულის დახატვრებულ სახეს ქმნის. ამავე როლში წარმატებით გამოიღოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. გრგორაშვილი და ახალგაზრდა მომღერალი ი. შუშანიძე. კარგ შთაბეჭდილებას სტუმრებს მოსიყვარული, მრავალტანჯული კატრენას როლში რესპ. დამსახურებული არტისტი ე. შმაღაცილი.

თბილისში დაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის საოპერო თეატრის ახალ ნამუშევარს. ჩვენი სურვილია მომავალშიც კვლავ ვიხილოთ და მოვისმინოთ ახალი, თანამედროვე ნიჭიერი ნაწარმოებები — ოპერები და ბალეტები მ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

ე. სუხონის „კრუტინაევს“ დადგმა თბილისში, ცხადია, სიღრმად წმინდა მხატვრული მნიშვნელობის ფარგლებს და დიდ საზოგადოებრივ აზრს იძენს.



„კოლხეთის ციხის კარ“

გიორგი სამხარაძე



ხსნება ფარდა... მოჩანს იმერეთის სოფლის პეიზაჟი. მაღალ ხეებს ამაყად გადაყვლილი მიწროაფი ვეება ტოტები. შორს ციმციმებს ლურჯი ცის კაბადონი, აქა-იქ თეთრი ნისლით მიმოფანტული. ყველაფერი იცინის, ფუტკაჲს, გულს სჭვალავს სახეიმო განწყობილებით. ივრინობა გაზაფხულის ცხოველმყოფელი სუნთქვა... მაგრამ ამ მღვმარე სოფლის სურათს ჯერ კიდევ თან არ ახლავს ადამიანის მხაფერი, ცოცხალი არსების მოძრაობა, ომხანიანი შეძახილი უშიხოდ კის ლამაზი ვარემო მაინც უტყვი და მოსწყენია.

აი, ისიც... შორიდან მოისმის ახალგაზრდების ყიყინი. სცენაზე გავუ-გავუფად, ხელიხელადახვეული შემოდინს გოგო-ბიჭები. ზოგიერთი მათგანს საჭილო ტანსაცმელი აყვია. მათ შორის გამოირჩევა ბუკებგანიერი, სოფელში ყოჩად ბიჭობა. წოდებული გამებჩრებელი ხაჟიმია. იგი გაბჭობილი ამაყად დააბიჯებს საჭილო მოედანზე და თავს აწონებს ბარბაზს საგანელოდის ლამაზ ქალშეილს თალი-ნი. ახალგაზრდების შეძახილი წაქეზებული თავიმი-წინე ხაჟიმმა მიწაზე ზედიზედ გამხალარათა ბუკებით ყმაწვილები. იგი კიდევ უფრო გათამამდა, მაგრამ ჭახუქე-ბი უარობენ მასთან შეჭოდებას.

აჯერ გამოჩნდა ზურგზე წორბარამოცილებული, სიღარი-ბესა და მოყვამგირებობი წოდებოყვეტილი მექი ვამაკი-ძე, რომელსაც დამცინავი ხორხოცი თხლებიან სოფელში ახალგაზრდები. გამოწვევი შეძახილები უფრო მატუ-ლონს, როცა საჭილო მოედანზე გამარჯვებამი გულდა-ეკრებელი მექი შეიღის. ეს სიცილა და არსუქობის ხაჟიმობი. მექი და ხაჟიმია სიძულვილით და დაუნდობლობით შე-ეუჯანბნენ ერთმანეთს. აშკარაა მექის უპირატესობა. მან მძლავრად ჩაბოლუვა თავისი მეტოქე, მაგრამ ხაჟიმმა ისარ-ეგებლა მომენტით და ბეჭეუ კბილებით დაეჭვრა საცოდავ ბიჭს. მწარედ თავიდაურჯილი მექი წიქვა. ყმაწვილები დაიშაღნენ, საეიანთ სახლებს მიამურეს, ხოლო მექი დიდ-ხანს ევლი იმავე ადგილას, ცხარე ცემვლებით ტირიდა თალიკის თვალში შერცხვანას, თავისი მოჭრას, ბირად მწელბდობას, საქეყნო დამცირებას. გაიძვრა ხაჟიმმა ერთხელ კიდევ უსინდისოდ დასცინა მიკატანს ერემო ბირ-ტახისა „ნაშეიშობი“, სხვის შემყურეს, ალალი გულის ბიჭს მექის.

ბირეულსავე სურათში შემქმნილი ჭილილი სიკეთესა და ზორტებას შორის, ახალსა და ძეილს შორის, საქეტკალის მიუღე მანძილზე უფროლაუფრო მძაფრდება, სულ სხვადა-სხვა კლასობრივი მისწრაფებებისა და სოციალური ინსტი-ტუტების ადამიანებს აბამს მოქმედებაში; მკაფიო მხატვრე-ული საუბრებით, ხატკანებით, შესანიშნავი დილოგული-და ოსტატურად გააზრებული სიტუაციებით თვალწინ გვიშლის ჩვენი საუბუნის ოცდაათიანი წლების ქართული სოფლის სურათებს.

თავი შეხსშეილის სახელობის სახელმწიფო დრამა-ტული თეატრის. სამხატვრო საბჭოს ვადამწვეტებლება სიტყვის შესანიშნავი ოსტატის კონსტანტინე ლორთქი-ფანიძის რომანის „კოლხეთის ციხის“ გასცენიურებისა და ფართო მაცურებლისათვის ჩვენიების შესახებ ყოველ-მწიფე გამართლებულია. მიწისწარ შეიძლება ვივარაუდო-თ, რომ ეს საქეტკალი მკაცრად ადვილს დაიჭერს თვატ-რის რეჟერტურში. ამის საწინდარია საქეტკალის მაღა-ლი დილოგი ფორელობა და ბიების სცენური განსახიერე-ბის მაღალი ბროფესიული დონე.

კ. ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ციხის“ ერ-თი ბირეული დიდი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ასა-

ხულია საყოლმეურნეო მშენებლობის ბირეული ნაბიჯები, იმ დროის ადამიანთა რთული ხასიათები, ვენებები, მის-წრაფებანი, საზოგადოებრივი შეხებულებანი, შინაგან-დრტიგება, სინდელე, სიხარული, ტკივილები და გამარჯვე-ბის იმელები.

რომანის მხატვრულმა დირსებებმა უზრუნველყო ბი-ესის დიდი წარმატება. ინსცენირების ავტორები კ. ლორ-თქიფანიძე, აკაკი ვასაძე და ლევან სანიკიძე, ეურდნობიან რა ნაწარმოების სიუჟეტის მიზნარებას, ქმნიან სცენურად სრულყოფილ ბიებს, რომელიც მდიდარია სიმართლით გამოყვითლი ბუნებრივი ხასიათებით, საცენიო მოტივი-რებული მწკავე სიტუაციებით.

ისე როგორც რომანში, დრამატურგიულ ნაწარმოებ-შიც კიდევ უფრო ცხადად და რელიეფურად გამოჩნდა სა-კოლმეურნეო წყობილების ჩახახახვა და განეითარებას-თან დაკავშირებული სინდელური, ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობანი, ის დიდი მოძრაობა, რომელსაც, კულა-კობის თავგანწირული შემოტევისათან ერთად, წინ გადაე-ღობდა გლეხობის ფსიქოლოგიაში და შევგნებამი საუკუნე-ებით გამბტკიციებული კერძომესაკუთრები სულისკვეთება.

იმერეთის ერთ-ერთი სოფლის — ზემო ციხის გლეხო-ბის ცხოვრების მავალითზე განზოგადებული კლასობრივი ბრძოლის გამმძაფრება, რაც საერთოდ დამასათყებელი იყო იმ წლებში საქართველოს ყველა კუთხისათვის. ბიე-სი ბრეწიყვალად წყობილების ნაჩვენები შეჯახება ბირად, ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრებაში, რაც უშუალოდ თან სდევ-და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესს. ამ ბრძოლებში მარდლებობა საბჭოთა გლეხობის კლასობრი-ვი შეტევაზე, ორთხილობა მოწინავე ადამიანთა ნებისყოფა.

ცოცხალ ადამიანთა სახიერ წარმოდგენაში, სცენაზე ხორცშესხმულ პერსონაჟებში კიდევ უფრო მკაფიოდ გამო-იკვეთა კლასობრივად მოწინააღმდეგე ურთიერთთან მტრულად განწყობილი ტიპები და ხასიათები. ერთის მხრით მთელი თავისი პრინციპულობით, შინაგან რწინე-ბით და შეუდრტკილი ხასიათით მაცურების წინაშე წარს-დგუნენ კომუნისტის ტრასის ხაზარად, მექი ვამაკიძე, ბაჭუ-ვა გარდისანიძე, მათ ირველი დარაზული დარბი ბაჭო-ზა, მეორეს მხრით — ჯერ კიდევ დამეჭვებული საშუალო გლეხობა — ასან მარჯველად და გიორგი ვეიკოიანი, მესამე მხრით — ახალი სოფლის მტრები ბარბაზს საგანე-ლიძე, ერემო ბირტახია, ვასსაცენილი დახუნდარა, ხა-კომია ტრუა დაშინანი, გელოვანი, კირილი, თალიკი, ნესტორი და სხვები.

საქეტკალი დამაჯერებელი, რეალისტური ხერხებით წარმოსახული ვაფაერებელი ბრძოლა ძეგლსა და ახალს შორის, ნაჩვენებია სოციალისტური სოფლის მტრების პროოკაციები, ტრირი, მოსყიდა, ცილისყამება და სხვა ბნელი მაქინაციები სასოფლო-სამეურნეო არტელის ორ-განიხავის ჩასაშლელად. სცენაზე ვედიდაც ცოცხალ სა-ხეებს, კარვად მოფერებულ ცხოვრებისეულ კონფლიტს, რაც მძლავრ იმპულსს აძლევს სცენური მოქმედების გან-ვიითარებას.

ლიტერატურული ნაწარმოების გასცენიურებასთან დაკავშირებული საყოველთაოდ აღიარებული სინდელე ამ შეთხვევაში დაძლეულია, და ჩვენ საქმე გვაქვს თითქმის ახალ, ორიგინალურ სასცენო ქმნილებასთან, რომელიც მძაფრ კოლიზიებში წარმოვიდგინეს ქართული სოფლის ახლო წარსულს, გუშინდელი დღის რთულ და საინტერესო ინსტრუქციას. მისცენიურის ავტორებმა წინ წამოსწიეს რომანის

იღურა მოიხსენიება — მაყურებლის მხედველობის ფო-
ტუსში მიზანსახალგაზრდა მექის ზრდის, მისი შეგების
გარდაქმნისა და ფორმირების პროცესი, მეტყველი ფერე-
ნი დაღვინატეს და დავარდნებუნს შთაიერ გემრის თა-
ვადასაღის სიპართლემი, მისი გამოფხიზლების კანონ-
ზომირებანი. პიესანი ხაზსახეშლითა ის გარემოება, რომ
პარტიის ხელმძღვანელობით, მოწინავე გლეხობის აქტიუ-
რი მხარდგურით, გამარჯვებას ზეიმობს ახალი სოფელი,
და ამ სიხარულის მონაწილეა მექი, რომელიც საშუაოა
ეპოქამ კაცობის გზაზე, დიდ სამოქალაქო სარბიველ გა-
მოყვანას.

დაკვირვებულ თვალს შეუშინეველი არ დარჩება ინ-
ცენიერების ზოგიერთი ნაკლი, კერძოდ, სპექტაკლის მრავ-
ალფერადობა. პიესანი თვრამეტი სურათით, თვრამეტი
ხსენადასვსა გარემო. ნუთუ მოუხერხებელი იყო მათი შემ-
კირება, პარალელური სცენების ორგანიზაციით სურათე-
ისი მინიმუმამდე დაყვანა?

მეორე შენიშვნა შეიხება ტრასის ხაზარაპის როლს მე-
ქის სულიერი ამაღლების საქმეში. რომანში ტრასის
მზრუნველობა, მექისთან მიქროდი ურთიერთობა, მისი ბე-
დით დაინტერესება ბერად უფრო დამაკრებელია, ვიდრე
პიესანი. თუ რომანში მათი ურთიერთობა ძირითადია,
პიესანი ეს ხაზი ძალზე შესუსტებულია. მექისთან უფრო
ხშირად ვხვდებით დახუნდარას, ხაჭოშიასა და სანგებს, ვიდრე
ტრასის, რომელმაც ახალი ცხოვრების მშენებლობაში ჩააბ-
დატაკი და ახსარადაცდებული სოფლის ტულ ბიჭი.
ამიტომაცაა, რომ ახალი საკულტურენო ცხოვრების მო-
წინამძღვევ ტინები, ან გაურკვეველი შეხედულებების
ადამიანები სცენაზე უფრო ხოცესმსხული და აქტიურე-
ბი არიან: სწორედ ისინი ქმნიან ძირითად სიტუაციებს,
ხოლო ტრასისა და მისი პარტუჯერი ამგვარი აქტივობით
არ გამოირჩევიან.

ამავე დროს უნდა შევნიშოთ, რომ მძლავრი ჭიდილი,
რაც სპექტაკლს აღმაველი ბათოსით ვასხვებ, ფინალური
სცენაში ვეღარ ინარჩუნებს კულმინაციური აქტების ძალ-
ს. იღურაი ჯერადობა და მხატვრული სიძაიერე აკ-
ნა მექის მიერ ხაჭოშიას მოქალაქის ეპიზოდს, რითაც
მოაგრძელებს რომანში გაშლილი დაუნდობელი ბრძოლა.

მოუღებლად ამისა, „კოლხეთის ცისკარი“ ქუთაისის
თეატრის სცენაზე დიდად სასიხარულო მოვლანია, ნიჭიერი
რამსტრეტი კოლექტივის ახალი შესანიშნავი წარმა-
ტებაა. ქუთაისის თეატრმა შესძლო შექმნას ძალზე სიან-
ტურესი, შთანთქმებული, დიდი იღურ-მორალური ზე-
მოქმედების სპექტაკლი, რომელიც ახალ, თვითმყოფე სიტ-
ყვას წარმოადგენს ბოლო დროის საშუაო თეატრალური
ხელოვნების განვითარებაში.

„კოლხეთის ცისკარი“ დადგმა განახორციელა სსრ
კავშირის სახალხო არტისტმა, ჭრატლიური პრემიის ლაუ-
რატმა აკაკი ვასაქიმ. იგი, როგორც რომანის ინსცენირე-
რების ერთ-ერთი თანაგორი, უკვე სპექტაკლის დადგამ-
დე დროს იყო შექმნილი გმირთა სულიერი სამყაროში,
განცდილი ჰქონდა მათი ხასიათი, მათი სოციალური და
სუბიექტური მიდრეკილებები. ამასთან ა. ვასაქიმ, რო-
გორც ჩინებულმა მსახიობმა და დიდი კულტურის რეჟი-
სორმა, თავისი მდიდარი გამოცდილება ჩაასყარა სპექტა-
კლში.

სპექტაკლი ყველა კომპონენტით ერთ ძირითად და არ-
სებითი ელემენტს — დამახასიათებელ მტრინებრივ
გვიჩვენებს ჩრატლიური სოფლის ცხოვრება. მისი აღმანაწი-
ბეკურად შენიშნული ინდივიდუალობანი, ხაზი გაუსვას
დასაკუთრებულ ვითარებას ში-ანი წლების ქართული
სოფლის ცხოვრებაში. რეჟისორმა მკაფიოდ მეტყველი ფერ-
რებით, კოლორითა და ტიპოური ხასიათების ნიუანსირე-
ბით, ადამიანურ გნებათა მოტივირებით, შესძლო რომან-
ტონშით ალასავე ანაღლებული სპექტაკლის შექმნა.

დადგმის ავტორი არც ერთ მომენტში არ ღალატობს
სინაღვლილს; იგი გაურბის გარეგულ ექვიტებს, გმირთა
იფუსვასან პორტრეტულ ნახატებს და აქცენტს გადააქვს
შინაგან ფსიქოლოგიური სიპართლუზე. ქუთაისის თეატრის

ცენაზე ჩვენ გვინახავს ა. ვასაძის დადგმები, აღბეჭდილი
მალდი კულტურით, ტრატის გრანობით, ტიპიურ სახეში
გამოკვეთის ოსტატობით, მაგრამ „კოლხეთის ცისკარი“
დადგმა მათგან მანაც გამოირჩევა უფრო მაღალი რეალიზ-
მით და ქეშვარითი ქართული კოლორით. სცენაზე მოქ-
მედებენ ადამიანები, რომლებსაც ხშირად შეგვიდრავთ
სოფლის ზოგობში, ვანგსა და ვენახებში, კრებებზე, სა-
ხალხო სივრცეებზე, საზოგადოებრივი თუ პირადი უკმა-
ყოფილების გამოხატვის მომენტებში.

„კოლხეთის ცისკარი“ მხატვრული გამოგონება ეკუთ-
ვნის სტალინური პრემიის ლაურეატს დიმიტრი თავაძეს.
დასურებელი გულის სიღრმემდე ხილავს ფონი, რომელიც
მან შექმნა მასხიობის არტისტობით შესაძლებლობების
გამოყენებისათვის. დასურებლის თვალს იტყვებს იმერე-
თის სოფლის წარმტყვი პეიზაჟები. იშვიათი მხატვრული
გემოვნებითაა წარმოსახული მღინარის ხელი, ნახი დროე-
ლებით ალავალაკ აქრელებული ცის ტანტონი, შუგან
მცენარეებით დაშფუტებული სოფლის ხელები, სცენაზე
გადაქმნილი მუხის ტრატები და ა. შ. ზამირის ნაწდგო
იღურაში მუხის უკანასკნელი მოქმედების ბოლო სურათი
შორებულ მთებზე მოჩანს კრიალა თოვლი, ხოლო სცენაზე
დადგმულ მცენარეებს ამშვენებს პირველი თოვლის ფა-
ფუკი ქულები.

და თავისი დამახასიათებელ ნოთობრივ გარემოცვაში
აქვს მოქმედი ერემო პირტიპანის სამიკრონი, ბარანაა
საკანდილის ოჯახი; მშვენივრადაა გადასწყვეტილი ტუ-
ჩასა, დახუნდარას, ხაჭოშიასა და სხვათა ჩაცმულობა, უზა-
ვალა გრანობები. და თავისი „კოლხეთის ხელები“ განა-
კვებები უაღრესად თვალსაჩინო წვლილი შეაქვს.

იმერულ საზღვრე ჰანგებზე აგებული კომპოზიტიორ
რევაზ ლალიძის მუსიკალური გაფორმება ზემდინფებით
მუსტად ესიტყვება სპექტაკლს, მოქმედ პირთა სულიერი
ფუნდამენტისა. ორგანოსის ხან ნახ და იმეღანა, ხან მოუ-
ხარე, ნაღვლიან ჰანგებში დასურებელი გრანობს სოფლად
მიმდინარე კლასობრივ ბრძოლის პერიოდტებს, მუსიკის
მედგარ ხნეში მოისმის ტრასის, მექისა და ახალი სო-
ფლის მოთავსა გამარჯვების რწმენა; მუსიკის მუხებზე
ჰანგები ვეაწყურებენ კლასობრივი მტრების სულიერი შემ-
ფოთებას და განწირულებას.

...ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან მექიმ ახალი
ტრატკოტი გამოიგვანა და ზემოთისა გზას გაუყვანა. მექი
„ცდლობდა დაღივ, ცოტა მოწყვენილი სსხვც ჰქონდა,
ვითომდა მთელი ჩემი ცხოვრება აბ ტრატკორზე გამიტა-
რებიათ, მაგრამ ორბირის გზა რომ გაათავა და ტრატკოტი
მალღაკის ველზე გაიყვანა, მექიმ გულში დაღუბუნებულ სი-
ხარულს და გზისცა. ეს სიძღერა არა ჰგავდა არც ერთ
სიძღერას, იმერეთში, რომ ოდესმე თქმულა. ამ სიძღერას
არც სიტყვა ჰქონდა, არც ნაწდგოთა ექილი, არც დასაწყისი
და არც დასასრული... ამ სიძღერას ვინასოდეს ვერ გაი-
მეორებდა კაცი, — წერს კ. ლორთქიფანიძე და ამის შე-
საბამისად სპექტაკლში ჯერის მუსიკაც.

ბნელი დამევა. ტრატკოტის ორი თვალისმოშვრელი
შექი ჰკვეთს წყვედალს და თანდათან იწი მოიწვევს.

ტრატკორზე მჯდარი მექი არ ჩანს, მაგრამ მოისმის
მისი ლაღ და ომხიანი სიძღერა. იგი შეხზარის მისის
დილას; მისი სიძღერა თავს ვეღება მანქანას, ახლა რომ
ამ ემორჩილება მის მარჯვენას. მექის ეს სახეობი გან-
წყობილება საამოდ ჯღერს სცენაზე. სწორედ ამ მომენტში
ხაჭოშიას ხელით გასროლილი ტყვია მუსყვეტს მექის
პირველ, ბედნიერად დაწყებულ სიძღერას.

ხალხური სიძღერების ლობტარებაში სიმონ კუხიანიძემ
და ბიძინა დოღობრიძემ იმერული სუფრული მელიოდი-
ებით თავისებური ელფერი მისცეს და გარკვეული ეთნო-
გრაფიული კოლორიტი შეუქმნეს სპექტაკლს.

სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის საუკეთესო ძა-
ლები, საშუალო თაობისა და ახალგაზრდობის ნიჭიერი
წარმომადგენლები. ზემოცხების პირველადი ორგანიზაციის
მიღვის საკოლმურენბეო მოძრაობის მეთაურის ტრასის

როში გამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შოთა ხაჯალია. ხალხისათვის თავდადება, პარტიის საქმისადმი ერთგულება, პირდაპირობა, სიმტკიცე, დამაინტრიგო სიტოთ და კეთილშობილება — კომუნისტის ამ საუკეთესო თვისებები წარმოადგენდა მსახიობმა ეს პერსონაჟი. ტარასის გულისხმიერება და ვაჟკაცური ბუნება განსაკუთრებით ნათლად გამოიხდა რეჟისორულად შექმნილად წარმოსახულ სოფლის მიტინგზე და არტლის წესდებულ ხელმოწერის სცენაში.

ახალი ცხოვრების დავეციერებისათვის მძიმე ბრძოლა ხაზარაძის დასაგრეობის ბაჭუ ვარდისანიძე (კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი) და ოთხობდე ღარიბი გლეხი, როგორც რომანში, ისე პიესაში ხშირია ლაბარაკი პარტუტრედზე, მაგრამ არა ჩანს მისი შიორგანიზებული როლი. ტარასი განმარტებულია. ამისაკომის თავმჯდომარე — კომუნისტი ტუტა და შინაინი არა თუ ენაბრება, პირებით, ხელს უშლის, კენკვალდება მას. ყოველივე ამის გამო, ცოტა არ იყოს, სტემატონის იერი დასკრავს ხაზარაძის სახეს.

„კოლხეთის ცისკარი“ ცენტრში მოქცეულია სხვატაქვსა და სიბრეგეში აღზრდილი მეტი ვაჟაიძის ციხეადა. სატეტალის ყველა სურათით ვხედავთ მექის, ვხედავთ დაიქრებულს, შურაყვიციფილს, სიყვარულს და მეგობრობაში გაწილებულს, გაუხარულს. მექის ანსახიერებს სრულიად ახალგაზრდა მსახიობი ნიკოლოზ წიკლოური, რომლის შეფიქმელებითს ცხოვრებაში პირველია ასეთი წაწყვეტი და სერიოზული როლი. მან ცხოვლმყოფილი მხატვრული შტრისებებით გვიჩვენა თავისი ახალგაზრდა გმირის ხასიათი, შეგვიხატა და ნებისყოფის ჩამოყალიბების რთული პროცესი. პირველსავე სცენაზე, როცა ის ხაჯალიასთან გამართულ ჭიდაობაში დამარცხებული გამოიდა, უსასიხელდ სურათმდე ე. წიკლოური მეტი მათურების სიმართლის აძივრავს თავისი გულბრუნვილობით, შინაგან სიმართლით, შრომისმყოფილობით, ფიზიკური ძალეოვებითა და მორალური უწყვიკვლიებით მსახიობი ღრმად იხელება მექის სულში, ხაზს უსვას ადრინდელ ხელზე მომსახურებით წელში გატეხილი, შიშისა და შიშობილი გაზრდილი ობოლი ყმაწვილის უსინარულობას, შუღასულთ თავმოყვარეობას, ადამიანური ღირსების შეგინებას, სიყვარულიში იმედაცარებას.

მექის ხასიათი განსაკუთრებით დამავრებლად გახსნა ე. წიკლოურიმას თაღისობათ, ხაჯალიასთან, ღლიფანსთან, დახუნდარასთან შეხვედრის, სამიკიტონში მუშაობისა და სოფლის მიტინგის სცენებში. იმ მომენტებში, როცა მექი ბარანაზა საგანდობის მეთაურობით შექმნილი ანტისამპოთა შეთქმულება მზის სინათლეზე გამოიტარდა და მიტინგზე შეზღერძოლა კულაქური ელემენტებს, დაიწყო ვარდენა მექის ხასიათით, რაც მხატვრული ტაქტიტი და ზომიერებით გვიჩვენა მსახიობმა.

ტარასი ხაზარაძის ერთგული თანამებრძოლის — კომკავშირული ორგანიზაციის მდივის ბაჭუ ვარდისანიძის როში გამოვიდა მსახიობი გიორგი კახიანიძე. ის სხებ ძალზე უფერული და გამოუკვეთავი დარჩებოდა, რომ ბაჭუს ერთგულია სინტეტურულ შეხვედრა არ ჰქონდეს ახალი სოფლისადმი სკეტბტურად განწყობილი თავის მამასთან. სრულად აქ მივცა საბუღალბა ახალგაზრდა მსახიობს ეჩვენებინა ბაჭუ ვარდისანიძის სულიერი ტრაგედიმდე და უსაზღვრო ერთგულებაც საკომპიურნეთ ცხოვრებისადმი.

ღარიბი გლეხები გიორგი ჯიშკარიანი, კირლე მიქაძე, ვიციცი, რაველი — ის ატევიდა, რომელივე დაყრდნობით ტარასი ხაზარაძე იწყებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბებას. მაგრამ ეს გლეხები, როგორც ეს სიმართლია გახსნილი სანეტკალში, ეჭვით და ღლი ყოყპანის შეხვედრე დამებ პირველ ხაზებს, რადან ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არიან კოლმურნების უბრატესობაში. მისი აზრებლანობაში. რეჟისორი ა. ვასაძე განსაკუთრებული სიღრმხილით ადრეობია აქ სახეების გამოყვანას. რეს. დამს. არტისტებმა კახიონ აბსაძემ (გიორგი

ჯიშკარიანი) და ვარლამ ჩხიკვაძემ (რაველი), მსახიობებმა ალექსანდრე ჩიქვინიძემ (კირილე მიქაძე), ბარნაბ კოკლეამ (ვაგუცი) ღლტკი გლეხების კოლორეტული სახეები შექმნეს. განსაკუთრებით ეს ითქმის კ. ახესაყვასა და ალ. ჩიქვინიძეზე, რომლებიც დაუფიქრებლად არიან ორ სცენაში: პირველი, როცა სასაღალავო ტრასის ხაზარაძესა და ბაჭუ ვარდისანიძეს არტელის აგვარგანინობაზე ესაუბრებინა და მეორე — როცა ტუტა და შინაინის კანინტეხი ემზადებინა არტელის წესდებულ ხელის მოსაწერად. ამ სცენებში მათი მოქმედება, მომავალში დავეხება და შიში აღტევილია მსუფუოთი იუმორით, რაც გულიანად აციენებს დარბაზს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საშუალო გლეხის ასთან მარკველაის როში მსახიობი ალექსანდრე ქელბაქიანი. კ. ლორთქიფანიძე ჩვეული ისტატობით გვიხატავს გამრჯულ გლეხს ასლანს, კერძო საკუთრების ღლი მოთაყვანეს, რომელსაც ჭირისდღესავით სძულს მიკრძილივით, უწინარები და ზარბაძები. ახალი გზის სიკეთეში დავეციერდი ასლანი ყოყმანის და მერყეობს, მაგრამ ტარასიმ კარვად იცის, რომ არღე იქნება თუ გვიან, მარგველაც კოლმურნების წიერი გახდება. მსახიობმა ალ. ქელბაქიანმა სწორად მოხასული შტრისებით და ინტონაციებით განვავციფინა საშუალო გლეხის სულიერი ტყვივლიები. მანველია მისი თამაში ყველა მომენტში, განსაკუთრებით კი, გლეხების თავიერობაზე, რომელსაც თავად მარგველაც თავმჯდომარეობს. ზოლოს გატეხა მისი წინააღმდეგობა ცხოვრების უღმბობლმა ლოკავამ და ისიც გატეხივით ემბება სახალხო შრომის ფრხხვლში.

ასეთივე დავეციერული, კერძომესაკუთრული სახესიკვებითი გამსტვალვითი გლეხების ნეტარების სუსტ ტემპრამენტითა და სიმართლით ძერწავს მსახიობი მიხეილ სხანგიე. შვილთან ატეხილმა მისმა დავამ, მიტინგზე მისმა ვაჟცხელბებლმა ბაბოსადა მათურებლმა ერთსულივანი შიროვნება დაიმსახურა.

რეაქციულ ელემენტებთან გათქვეცილი პარტიული კაცის — ტუტა და შინაინის როში რეს. დამს. არტისტმა ვახტანგ მეგრულიშვილმა თავისი ნიჭის სრულიად ახალი მხარე გამოხატვინა. მსახიობმა ტუტას საინტერესო შინაგანი და გარეგული პორტრეტე გამოძერწა, სიმართლით გვიჩვენა ამბასკომის ვადავაკერებულთ თავმჯდომარის სულიერი ავლა-დიდება, ზნეობრივი სიმდაბრე, ჩაჩირობა. ვ. მეგრულიშვილის ტუტა და შინაინი ინდივიდუალბადა განწყობილი ტარასი ხაზარაძის და პარტუტრედის მიერ წაიწყებული უღიფილი საქმისადმი, იოლად ვხვება მტრების ბაღუში, მათთან ეჭივობის და უდარბილად ატარებლ დროს, ეს დოლბადა სატუთა მუშაში მუშად მათურწე იყურება. თავს იწინებს კონტრეფოლუსების წინააღმდეგ ბრძოლით და სრულიად არაფერი გავეტეხა იმ სიახლის ქორღვისა, რომელიც სუსტად დაიწყო, მაგრამ ღლიდი მომავლისათვის არის დაბადებულ.

რეს. დამს. არტისტტი შოთა პირველი მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით და სირმით ხატავს სოფლის ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენლის ბარანაზას სავანელიის სახეს. შოთა პირველის სწორი ინტერპრეტაციით მათურბლის თვალწინ არის ბოროტი და გაიმეკრა ბარანაზა სავანელიძე, რომელიც მთელი თავისი მანკიერებით უკვე ვანარულ ძველ საპარკის ანსახიერებს. მსახიობი არსად, არც ერთ მეგობრებთან არ დღატეხის სიმართლის გრწმობას, ზუსტად გამოხატავს სოფლის წურბელის ბატონკაცურ ბუნებას, მის დაიქვება, ირონიულ დამოკიდებულებას სამპოთა ხელისუფლების ყოველი მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი. სახელმწიფო აპარატში შემებრდა, შინდღლი დამიტრი გელგოვანთან, მიქაძეს პირტეხასთან, ხაჯალიასთან და სხვა ვარგურანებთან ერთად იგი გააფრთხილთ გრძნის კოლმურნებისა და მისი ენარკულ უღიყინატეხებს. შოთა პირველმა გვიჩვენა ბარანაზას სავანელიის სულიერი ტრამეა. ახალთან ბრძოლაში მისი სასიყვლილო განწყურლება, მისი იოხებით, თუ რა გზით მოისყვად, მოატყვად, გადაიბირა და კოლმურნების წი-



ნაღმდეგ ააშხედრა მართა გორდაძე (მისი წყალობით სხვა ქალებიც) და ღარიბი გულუხოსის ზოგერთი წარმომადგენელი.

განსაკუთრებით მძაფრად გვაგრძნობინა მსახიობმა კულაკების განადგურებით გამოწვეული ბარნაბას სულიერი ტკივილები.

მიეტან ერემო პირტახიას წენობრივი სახე და ხასიათი მკვეთრად ირკვევა მექისტან, ხაკომისთან. დახუნდარასთან და ბარნაბასთან მის ურთიერთობაში. პირტახიას როლი განასახიერა მსახიობმა ვალერიან გვენცაძემ, რომელმაც მონახა გასაღები ხარბი, უსულგულუი, გაუმიძღარი ჩარჩის თვისებათა სწორი გამოხატვისათვის. მსახიობმა სოციალური საფუძვლები მოუძებნა ერემოს მტრობასა და ვერაგობას.

დახუნდარას — ამ სოფლის მაწანწალას როლს რეს. დამს. არტისტის იბოლიტე ხეჩიას სახით, უღავოდ სწორი უპირადი შემსრულებელი გამოუჩნდა, ძნელია სიტყვიერად მოიციეს ზემოქმედების ის ძალა, რომელსაც იგი მაყურებელზე ახდენს. მას თითქმის გამუდმებით ვხვდავთ სცენაზე, იგი ყველგან არის, ყველაფერში ერევა და ქმნის, მართლაც, კომიკურ სიტუაციებს, რასაც მხურვალიდ ეხმარება დარბაზი. ეს დამთხვეული მესაფლავე, უსიხელო, უქნარობას მიჩვეული, იმდენ თავგებობას იჩენს, რომ მექისტანს არიგებს, კერძო მესაკუთრეობისავე აქეზებს. ი. ხეჩიას ვერ მოუნახავთ სიყალბეს ვერც მიზანსცენებში, ვერც მიზნა-მოხერაში და ვერც მიმიკაში. მას ყველაფერი გამიზნული, წინასწარ გაზომილი და მათემატიკური სიზუსტით გაანგარიშებული აქვს. ი. ხეჩიას სცენები მექისტანს, სამიკტინოსში, სასაფლაოზე, განცხადების დაწერისა და მიტივზე გამოსვლის დროს, ღრმა კვალს სტოვებს ჩვენს ცნობიერებაში.

„ყოჩაღი ბიჭის“ ლაზუნდარა ხაყომიას როლს ახალგაზრდა მსახიობი ერ. სვანაძე ასრულებს. სვანაძე, რომელსაც მოწონილი სხეული და კარგი მეტყველება აქვს, პოლოზებს დამახასიათებელ შტრიხებს ხელაღებული, ყოყლოჩინა, განებებერებული და ნამდილი ხულოჩინს სახის დასახატად. მსახიობი ხაყომიას წარმოავლინებს გაბოროტებულ მტრად, რომელიც მონაწილეობს ყოველგვარ

ბნელ საქმიანობაში, ბუდიდან ამოგარდნილ, მტრად ნელ ქმადნილად, რომელიც მუდამდღე ლოთობს და ცინიკურად დასცინის სოფლის მოწინავე ახალგაზრდებს.

ბარნაბა საჯანელიძის ლამაზი ასტლის თალიკის როლში გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი თამილა ლახნიშვილი. თალიკო ვახდა მიხეზუ შულღოსა და მეტოქეობისა მექისტან და ხაყომიას შორის. უღედოდ გაზრდილი, მამის მგლური ბუნების და მის ბნელ ზრახვათა მოწამე და მონაწილე თალიკო მსახიობმა დავითანაიათა, როგორც ცინიკერი, თავგასული, გამოწვევი, მძაბული მორალის ქალიშვილი. იგი აღშფოთებას იმსახურებს მასზე გაკვირებით შეყვარებულ მექისტანს მედიდური და ამპარტავნული დაწოვილებულიებით. ასეთია თ. ლახნიშვილის წარმოსახვითი თალიკო. მაგრამ მსახიობმა თითქმის მაინც დააჯლო რაღაც ამ ქალიშვილის სახეს, რომლის სილაბაზემ და გარეგნულმა მოხიბვლელობამ აძლენი შფოთა და დავიდარაბა დაატრიალა სოფლის ყმაწვილებში. თალიკის როლის შესრულებას კიდევ ესაბიერება დახვეწა, უფრო ნიშნობილივი ფერებით გაძლიერება.


რეს. დამსან. არტისტმა თამარ კიკნაძემ მხატვრული სიმართლით გამოკვეთა მტრების მიერ მოსყვანილი ღარიბი ქალის მართას სახე. მექიზე უმიღდოდ შეუვიტებული დოფინის უმწიკვლობა, განცდების სისპეტაკე, კედამოსილება გვიჩვენა ახალგაზრდა მსახიობმა ციალა ზერიძემ.

სექტაკლის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტან მსახიობებს გრიგოლ ნაცვლიშვილს (ყჩაღი ფერემ დვალისწილი), გრიგოლ კიკელაძეს (დიმიტრი გელოვანი), ნათელა საღარაძეს (მამიკო), ირაკლი ბალიაშვილს (ვენე), ც. ოთიაშვილს, ი. სიხარულძეს, გულ. კიკელაძეს და სხვ.

სერ. კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის ხელმძღვანელობით ნიჭიერი და შრომისმოყვარე კოლექტივი ყოველი ახალი დადგებით სასიხარულო წარმატებებს აღწევს ამის ყველაზე მჭერმეტყველური დადასტურებაა კონსტანტინე ლორთქიფანიძის პოპულარული ნაწარმოების „კოლხეთის ცისკარის“ ბრწყინვალე გამარჯვება მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

„კოლხეთის ცისკარი“, როლში: ასლან მარგველაძე — მსახიობი ალექსანდრე ქელაქიანი. ბარნაბა საჯანელიძე — რეს. დამს. არტ. შოთა პირველი. დახუნდარა — რეს. დამს. არტ. იბოლიტე ხეჩია.





პ. კობახიძის „როცა ასეთი
იქცეოდა“ ლიდა მათი-
სოვა — მ. ჩახავა (საქ. სსრ
ღამსახ. არტისტი)



ტოშევი — კ. საკანდელიძე

კაცი მანტიით — ს. ზაქარიაძე (სსრკ სახალხო არტისტი)



მიქია — ლ. ტყეშელაშვილი





ახალი სექტაული ბავშვებისათვის

(„არტანუჯელი ჭაბუკი“ ქუთაისის თოჯინების თეატრში)

ბავშვ ხმადაე



ახსლოებით 13 წლის წინათ ქუთაისში ჩა-
მოყალიბდა თოჯინების საბავშვო თეატრი.
ჩვენი ქალაქის მოზარდებმა მისი სახით კარ-
გი საჩუქარი მიიღეს. თეატრმა ბევრი საინ-
ტერესო დადგმა უჩვენა უმცროსი და სკოლამდელი ასა-
კის მასურებლებს — განახორციელა თავის სცენაზე ქარ-
თველი საბჭოთა მწერლების, რუსი და ევროპელი დრამა-
ტურგების საუკეთესო პიესები. თეატრმა, რომლის
ბევრმა სექტაკლმა დიდი სიხარული მოუტანა ნორჩ მა-
ყურებლებს, უკვე მოიპოვა ქუთაისელი ბავშვების სიყვარ-
ული, ვააცნო მათ ჩვენი მდიდარი და საინტერესო სი-
ნამდვილე, აჩვენა, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინა-
რები თავისუფლებისათვის, თვალწინ გადაუშალა უცნო-
ბი და უნახავი დროის ამბები.

როგორც ცნობილია, თოჯინების თეატრის რეპერტუა-
რისათვის დამახასიათებელი „კანი“ ზღაპარია. აქ რეჟი-
სორსა და მხატვარს საშუალება ეძლევა ფრთები შეას-
ხან თავიანთ შემოქმედებით ფანტაზიას, განახორციელონ
სცენური ვეფექტები, მოქმედი პირის სხვა მოქმედ პირად
გადაქცევა, გაფრენა, საცნების მიერ შეხების აღგმა, აჩვენ-
ონ, როგორ მიიპარება ზამთარი, როგორ მოიღოს ვაზაფ-
ხული — ხეებზე კვირტებისა და ფოთლების გამოხვლა,
ფრინველი, და ადამიანთა ფრენა საცნებთან ერთად.
ზღაპრების გასცენიერებას მნიშვნელოვან ყურადღებას
აქცევდა და აქცევს ქუთაისის თოჯინების თეატრი.

ახალი საბავშვო სექტაკლის „არტანუჯელი ჭაბუ-
კის“ ავტორები არიან მწერალი რუთა ბერძენი, რეჟისო-
რი ლ. შენგელია, კომპოზიტორი გ. კემულარია, მხატვარი
გ. ბერძენიკიძე და მოქანდაკე გ. მიზანდარი.

ეს თომოქმედებია სექტაკლი ასახავს მშრომელთა
ბრძოლას თავისუფლებისათვის, ბოროტი ძალების დათრ-
უნებას, სიმართლისა და სიკეთის გამარჯვებას. ავტორს
უზღად გამოუყენებია მდიდარი ქართული ფოლკლორი,
მწველი საზოგადოებრივი გამოქმედებები, ბავშვებისათვის მისა-
წვდომი მხატვრული ხერხები. ბიესა დაწერილია ადვი-
ლად გასაგები ენით, თვით ამბავი მეტად აქტუალურია —
„მფარველობა ბავშვთა ასაკობრივ თვისებებზე“.
მწერალს რ. ბერძენის დაუსახავს კეთილშობილური მი-
ზანი — ხელი შეუწყოს ნორჩ მასურებლებში გამძლეო-
ბის, ამაყობის, დამკვიდრების წინაშე ქედღერებლო-
ბისა და მტკიცე ნებისყოფის გამოუმუშავებას. უნდა ითქ-
ვას, რომ „არტანუჯელი ჭაბუკი“ რ. ბერძენის პირველი
აქისაა და, იქნებ, ამით აიხსნებოდეს მისი პირველი დრამა-
ტურგიული ნაწარმოების კომპოზიციური ნაკლი. ბიე-
სას სტარდება უფრო მამფერი კონფლიქტი. იღვრება კარ-
გად მოქმედებელი ბიესის ფინალს არ გააჩნია ამაღლე-
ბული, ეფერება სიტყვიერი მასალა.

„არტანუჯელი ჭაბუკის“ ამ ნაკლოვანებათა მიუხე-
დავად, ქუთაისის თოჯინების თეატრმა, შექმნა შინაარ-

სიანი სექტაკლი; ბავშვთა აუდიტორია შეუნდებელი ინ-
ტერესით უყურებს და ისმენს ყოველ სცენას, განიცდის
გმირთა თავგანსჯას, გულმან მიაქვს მათი განცდები.

სექტაკლის ცენტრში დავს უბრალო მშრომელი ადამი-
ანი, პურის მცხოვრელი არტანუჯელი ჭაბუკი ჯამბაკური.
მისი სამშობლო მტრებმა დაიპყრეს; მათ მეთაურობს სუ-
ლელი ხანი. მან და მისმა ხელქვეითებმა საქართველოში
შემშლილი და სიღატაკე გაამუდგეს. აქ ჩასულმა ეგვიპტელმა
მცენიერმა გულდასამით შეისწავლა ქართველი ხალხის
ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები და გადს-
წყვიტა, რომ საბავშვო გადაუხადოს ხანს. რაღაც სას-
წაულით მოაჯადოებს მას; მიჯაჭვული ჯამბაკური კი
მხოლოდ მაშინ შესძლებს თავის განთავისუფლებას, თუ
მას მზეთუნახავი ქალი შეიყვარებს. პურის მცხრებელმა
გაიმარჯვა. გამარჯვებაში მას მნიშვნელოვანი დახმარება
გაუწიეს თანასოფლელებმა. მშრომელმა ხალხმა თავის
ხელში აიღო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე.

ბიესის გასცენიერებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა
გაუწევია რეჟისორი ლ. შენგელიას. მას სწორად აქვს გა-
გებული ავტორისებელი ჩანაფიქრი; მსახიობ-თოჯინათა,
კომპოზიტორისა და მხატვრის მივლი მუშაობა მან და-
უქმემდებარა ერთ აზრს: ბოროტსა სძლია კეთილმან, არ-
სება მისი ვიქილანო.

მასურებელს ადევნებს სექტაკლიდან გამომდინარე
კეთილშობილური აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენმა უნა-
პრებმა ბევრი ომი გადაიხადეს, ბევრი სისხლი დაღვარეს
და ბოლოს ხანგრძლივი ბრძოლა მშრომელთა გამარჯვე-
ბით დაავიკრვინეს. ჩვენი მიწა ჩვენ გვეკუთვნის, მას ვე-
ლარაინი წავგართმევს, — ამ რწმენითაა გამსჭვალული
სექტაკლის ფინალი.

თოჯინებთან ერთად სცენაზე მოქმედებს ცოცხალი
ადამიანი, მაგრამ ეს მომენტე იმდენად ორგანულია სექტ-
აკლისათვის, რომ უხერხულობის გრძობას არ იწყვეს.
ცოცხალი ადამიანის და თოჯინების მოქმედება შეხმა-
ტკბილად უნდა, მათ უთითორობაში არ იგრძნობა რაიმე
შეუსაბამობა. დეკორაცია, მუსიკა და სექტაკლის ყოვე-
ლი კომპონენტი შეხამებულია ერთმანეთთან. სექტაკ-
ლის რეჟისორის შრომა წარმატებით დაკვირვინდა.

არტანუჯელი ჭაბუკის ჯამბაკურის როლში გამო-
ვიც ახალგაზრდა მსახიობი ს. ტურაბულიძე. ის თა-
ვისუფლად მოქმედებს პატარა სცენაზე, სასცენო ბუნებ-
რივად მეტყველებს და რეალისტურად გამოხატავს მისი
გმირის თავგანწირულ სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

ასევე შეუზღუდველია ყავნ ყურების როლის შემსრუ-
ლებლის, ახალგაზრდა მსახიობის ნოდარ კემულარიას
ხმა; მისი მეტყველება საუკეთესოდა შეხამებული თოჯი-
ნის მოძრაობასთან.

ვეზირის როლში საინტერესოა მსახიობი აკაკი ყურის
შვილი. ვეზირის თოჯინა მასურებელს წარმოუდგენს

რთულ სახეს, რომელიც თავისი მჭევრე ხმით შიშის ზარს ჰკვრის, ვარშემოყვით. სწორად აქვთ გახსნილი სულხანისა და ახმელ-ბეგის როლები მსახიობებს მერი სანიკიძესა და თამარ ჭელიძეს. ნინო-თოჯინის შესრულებაში თავი ისახელა ამ თეატრის ნიჭიერმა მსახიობმა ქაქამა რ. თავილიშვილმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მსახიობი რაფიელ თოდუა. მისი ეგვიპტელი მქონიერი ცხოვრებისეული სიმართლით გამოირჩევა. რ. თოდუა საუკეთესოდაა დაუფლებული თოჯინის ტარების ტექნიკას, იცის გმირის ხასიათის გახსნის ხელოვნება.

სპექტაკლში ყურადღებას იქცევენ აგრეთვე შორეხა, გლახუა ხარაჩისა და ალაზას როლების შემსრულებლები ეთერ თოდუა, შოთა ფხაკაძე და ნინო ქაჯაია.

ქუთაისში თოჯინების თეატრის მუშაობას არ გააჩნია დიდი შემოქმედებითი ტრადიცია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას თეატრის მსახიობთა (თოჯინების) მოძრაობის ზოგიერთი უჩვეულობა. სცენის სივრცეზე მსახიობებს არ აძლევს საშუალებას დაიცვან მანძილები თოჯინათა შორის. ჯერ კიდევ ძლიერ ბევრი და ხანგრძლივი შრომაა საჭირო, რომ თოჯინები დამანიჭებესებურად მოქმედებდნენ, რომ მათ მოძრაობაში ეჭვი არ შეიტანოს მეტად

ფიზიკური თვისის მქონე პატარა მასურებელმა, რეჟიზორებმა და მოძრაობდნენ თოჯინების თვალეზი, ხელები, ბაგეები და მთელი სხეული. თოჯინების თეატრის ბევრ მსახიობს დასჭირდება ხანგრძლივი, დაუღალავი ვარჯიში, რომ მთლიანად დაეადაპირდეს ნორჩი მასურებლის ეს-თეტიკური მოთხოვნები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსახიობთა დიქციას, რადგან თუ ე. წ. დიდ თეატრში სავალდებულოა სწორი მეტყველება, საბავშვო თეატრში ეს მით უფრო აუცილებელია. ალექსეი ტოლსტოისა არ იყოს, საბავშვო თეატრში ისე უნდა ითამაშო, როგორც დიდისაგვის, მაგრამ ბევრად უკეთესად. ეს ნათქვამი განსაკუთრებით ეხება მსახიობთა მეტყველებას. ადრე თეატრის ჰყავდა ორკესტრი, რაც სპექტაკლის მსვლელობას, სპექტაკლის იდიის გავებას ხელს უწყობდა და მასურებლებში მეტი ხალისი შეჰქონდა. ამ საშუალებას თეატრი ამჟამად მოკლებულია. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. უკეთ უნდა მოეწყოს ელექტროაპარატურა.

მომავალში თოჯინების თეატრმა დასაღვმელად უნდა შეარჩოს უპირატესად ჩვენი თანადროულობის ამსახველი პიესები, უფრო მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს ქუთაისელ მწერლებთან და შექმნას მაღალ-იდეური და მაღალ-მხატვრული სპექტაკლები.



აფხაზეთის ეროვნულ თეატრს ოცდაათი წელი უსრულდება

ნელი ეშბა



აფხაზეთის ეროვნულ თეატრს მალე 30 წელი უსრულდება. რამდენი სახელოვანი ფურცელი შეუძლია ჩაწეროს მან თავისი არსებობის ისტორიაში, 30 წელი აფხაზეთის თეატრისათვის მცირეც არის და ბევრიც.

აფხაზეტს არ გააჩნდათ ეროვნული პროფესიული თეატრის ტრადიციები. მათ თავიანთი თეატრი შექმნეს საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხორციელდება ლენინური ბრძანული ნაციონალური პოლიტიკა.

ეკლანი და ძნელი გზა გაიარა თეატრმა მანამდე, სანამ იგი პროფესიულ ნაციონალურ თეატრად ჩამოყალიბდებოდა.

არს რეჟისორ ვ. ი. დომოგაროვს, რომელმაც დიდი შრომა გასწია თეატრის დაარსებისათვის, და ქართული სცენის გამოჩენილ მოღვაწეს აკაკი ხორაგას, რომლის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ და სწავლობენ აფხაზი სტუდენტები თეატრალურ ინსტიტუტში, ამ ორ შენაღობაზე ადამიანს უნდა ვუმაღლოდეთ აფხაზეთის თეატრის შემოქმედებითი ბირთვის შექმნას. მათმა მოწაფეებმა ღირსებულად დაიცვეს პროფესიული მსახიობების სახელი. დღეს ისინი სცენის ოსტატები, სახალხო და დამსახურებულ არტისტები არიან და თეატრის შემოქმედებითი გამარჯვებების გზით მივაყვ.

აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ თბილისში კიდევ ერთხელ გამოავლინა ახალგაზრდა თე-

ატრის სიციცხლისუნარიანობა. წარმატებით ჩაიარა სადეკადო სპექტაკლებმა (შექსპირის „ოტელო“, სუმბათაშვილ-იუჟინის „დღალტი“, შ. ფაჩალიას „გუნდა“).

სცენის ოსტატებმა: ლ. კასლანძიამ, აზიზ აგრაბამ, შ. ფაჩალიამ, მ. ზუხუბამ, ა. არგუნ-კონოშოვამ, რ. აგრაბამ, ე. შაჰირაბამ და სხვებმა ქართველ მასურებელთა აღიარება პოვეს.

თეატრის რეპერტუარში შედის როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური პიესები. მართკ ის, რომ თეატრმა მასურებელს უჩვენა ევრაიიდე „მედა“, ლაპარაკობს თეატრის მზარდ გემოვნებაზე და შემოქმედებით შესაძლებლობებზე.

გაბეულად იყენებთ თეატრის თანამედროვე დრამატურგიას, სცენად ვეიჯენებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დაძაინებას. პიესები შ. ჭკალას „ვინ არის ჩვენს შორის ყრუ“, ხ. ჯოაჰას „სახლი № 12“ და სხვა, აფხაზური თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით სარგებლობენ.

თემის მხრივ მეტად საინტერესოა ვ. აგრაბა და ს. ჩანას „გამარჯვება“ (რეჟისორი ა. აგრაბა) და გ. რადინის „ეკლანი გზა“ (რეჟისორი ვ. სურიაშვილი). ეს ორი სპექტაკლი ასახავს აფხაზი ხალხის ცხოვრებას საბჭოთა ეპოქის სხვადასხვა პერიოდში. სამწუხაროდ ეს ორი პიესა დრამატურგიული თვალსაზრისით



არ არის თანამედროვე და არც ქმედითა სცენური გადაწყვეტის მხრივ.

„გამარჯვება“ გაღმრვეცემს პირველი კოლმუერნეონის ჩამოყალიბებას აფხაზეთში, კულაკებთან ბრძოლას და ადამიანებში სოციალისტური შეგნების თანდათანობით გაღვივებას.

„ეკლიანი გზა“ გვიჩვენებს ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებას, მის მიწოდებას და ადგილს ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემები საინტერესო არიან პირობებამატრად, ისინი ბოლომდე ვერ არიან განვითარებული ავტორთა მიერ. პიესებში მოცემული სახეები დუნე და ყალბია, სიტუაციები — უმოქმედო, ამიტომ როდევ სპექტაკლი გამოვიდა უფერული, უინტერესო. ვერც რეჟისორებმა ან. აგბამ და გ. სულაშვილმა გადაწყვიტეს სწორად სპექტაკლები, ვერ მიზნებს საჭირო ტონი და ვერ გაიტაცეს მყურებელი ადრორი თემებით და მათი გადაჭრები.

პიესაში „ეკლიანი გზა“ აღებულია ორი, ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული თემა. ერთი მოვითხრობს ახალგაზრდა ქალიშვილის კამას ზედზე, მის პირველ ქმარ ნაზიმზე ცხოვრებაში, შეცდომებზე, იმედების გასრულებაზე.

კამა მოტყუვდა თავის პირველ სიყვარულში. მშობლებმა, როცა შეიტყვეს კამას ორსულობა, ზურგი შეაქციეს მას. კამა მიემჯავრება მოსკოვს, შედის სამედიცინო ინსტიტუტში, ამთავრებს კიდეც, თან ზრდის ეაციშვილს. მის სასოგოში ბევრი მეგობარი ჰყავს, რომლებიც ეხმარებიან კამას სწორი გზის მოძებნაში. 14 წლის შემდეგ კამა ბრუნდება მშობლიურ ქალაქში. წერს წიგნს, რომელსაც უბეჭდვენ კიდეც. მშობლები იცნობენ შვილს. კამა თავის ბედს უკავშირებს ადამიანს, რომელსაც იგი უყვარდა ჯერ კიდევ ბავრატთან შეხვედრამდე. ამრიგად, კამა სრულფასოვანი მოქალაქეა თავისი ქვეყნისა.

მეორე თემა პიესის არის საიდასა და ხაჯარათის (კამას მამა) თემა. ავტორი აღარებს კამას და საიდას ერთმანეთს. ხაჯარათი უკვალოდ დაიკარგა ფრონტზე. ეველას ჰკონია, რომ დაიღუპა. საიდას დაეკარგა მისი დაბრუნების იმედი. მან არ იცის კამას დამოკიდებულება ბავრატთან და შეუყვარდება ეს უკანასკნელი, მიჰყვება მას ცოლად. მაგრამ მალე დინანახავს, რომ ეს არ არის ჰუმანიტარული ბედნიერება. პირად ცხოვრებაში მანაც ვერ პოვა ბედნიერება.

14 წლის შემდეგ ხაჯარათი ბრუნდება. იგი ტყვედ იყო, მერე ამერიკაში გაგზავნეს და ბოლოს ვაშლში გაპოტუხავს აფხაზეთის საზღვარზე.

ხაჯარათი არ არის გამცემი, ის მესაზღვრეებს უაშუშების შეუერთებაში ეხმარება. ხაჯარათი ისე სასხლოა, ახლობლებთან. მასთან არ არის მხოლოდ სიყვარული.

სეთია პიესის ორი თემა. რეჟისორმა ვერ შესძლო ეს ორი თემა დაკავშირებინა ერთმანეთისათვის, ვერ გამოყო პიესაში და სპექტაკლში მთავარი, ძირითადი. ამიტომ სპექტაკლი ზედმეტი, უმოქმედო დეტალებით დაიტვირთა. ზოგიერთი სცენა გაჰინაურებულია, რაც სპექტაკლს უნეტერესოს ხდის, ხაჯანმულაა წერილობრივი მომენტები. მაგალითად, რეჟისორმა იმის გადასაყვამად, რომ შეჰმანქნა ქალს მიოწონა კამას წიგნი და მიიღო ღამე, გათ-

ნებაზე ბეჭდავდა, სცენაზე გამოიყვანა ქალი, რომელიც მთელი 20 წუთის განმავლობაში უკაცუნებს მანქანას. კამს სცენის უსახურება და პირობებულობა მით უფრო საწყენია, რომ მიხვე რეჟისორმა „მედიაში“ ბევრი საინტერესო ხერხი მოიგნა. ხაჯარათის ხაზი პიესაში და სპექტაკლშიც დაუჯერებლად, გამოვიწინად ქლეს.

როგორც ავტორმა, ისევე რეჟისორმა ხაჯარათის ხასიათის გამხსნელ სცენებში ვერ მონახეს დამაჯერებელი ფერები.

დაუჯერებელია ისიც, რომ კამა, რომელიც 14 წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, კარგა ხნის განმავლობაში ყველასგან გამოუცნობი რჩება. მართალია, თეატრში არსებობს განსაზღვრული პირობითობა, მაგრამ ყოველი პირობითობა უნდა იყოს გამართლებული. სხვაგანაირად მყურებელი არ მიიღებს, არ დააჯერებს იმას, რასაც მის პიესა და სპექტაკლი უმტკიცებს. რეჟისორს და ავტორს ერთად რომ ემუშავათ პიესაზე, დაემთავრებინათ იგი, სპექტაკლი უდავოდ უფრო საინტერესო იქნებოდა.

მართალია, სპექტაკლი მთლიანად მონოტონური, უინტერესო გამოვიდა. მაინც არ შეიძლება არ აღინიშნოს მსახიობების ა. არგუნ-კონოშოკის (კამა), ნ. ავიძბას (ილია არშმა), მ. კოვეს (ჯენია), მ. კობახიას (პეტროვნა) კარგი თამაში. ა. არგუნ-კონოშოკი კამას როლში ხიზლავს მყურებელს განსაკუთრებით სპექტაკლის მეორე ნახევარში, როცა ის მოსკოვში ჩასული ებრძვის სიძნელეებს, ეძებს თავის ადგილს ცხოვრებაში. არგუნ-კონოშოკი გვიჩვენებს თუ როგორ იწრთობდა მისი გმირის სული დაბოკონებებთან ბრძოლაში. თუ სპექტაკლის დასაწყისში ის სუსტი ნებისყოფის გოგონაა, სპექტაკლის დასასრულს ჩვენ სცენაზე ვხედავთ მოწიფულ ქალს, რომელიც ვერ მორბავა ბედის უკუღმართობაში.

თამაშის უშუალობითა და გულწრფელობით ყურადღების იქცევს არაფეე ახალგაზრდა მსახიობი ნ. რუკანასკია საიდას როლში. დასაწყისში იგი უმანკო არსებაა, რომელიც ცხოვრებაში პირად ბედნიერება ეძებს მხოლოდ. თავისი თამაშით მსახიობმა დაარწმუნა მყურებელი, რომ საიდას აქვს უფლება იყოს ბედნიერი. და თუმცა მსახიობს სპექტაკლის მეორე ნახევარში არ ეყო ოსტატობა გაღმოვეც ცხოვრებაზე რწმენადაკარგული, მორალურად დაღვეული თავისი გმირის ფსიქოლოგია, საიდას სახე მაინც იწვევს მყურებლის მიხეათიას და ამაშია სწორედ ახალგაზრდა მსახიობის გამარჯვება.

უშუალობით და გულწრფელობით გამოირჩევა მსახიობი მ. კობახია. უსიტყვო თუ პასუსხავებ როლში იგი ყოველთვის ახერხებს გამოსახოს მეტყველო ფერები სახის გამოსაკვეთად. მსახიობმა ბეტროვნა უაღრესად გულკეთოდ აღამიანად წარმოვიცხასა. მისი შესრულებით მყურებლის წინაშეა ადამიანი, რომელიც ცხოვრების აზრს კამასა და მის შვილის სასარგებლო საქმიანობაში ხედავს.

* * *

ეკრიბილეს „მედია“, რეჟისორისა და მთლიანად კოლექტივის შემოქმედებით შესამდგომლობის უდავო დასატურება.

მყურებელს სათანადო განწყობილებას უქმნის ვეებერთელა ფარდა ეკრიბილეს გამოსახულებით და წარწე-

რით, რომ დღეს საუკუნეების სიღრმეიდან ჩვენს თანამედროვე თეატრში თავისი "მედიანი" მოვიდა გენიალური ბერძენი დრამატურგი ევრიპიდე და თავისი ქმნილებებით აღმავალდეს მასურებელს.

ჩვენივე მეტად ახსობრელია "მედეა": ევრიპიდემ თავის ნაწარმოებში გამოიყენა ჩვენი შორეული თანამემამულე — კოლხეთის ასული.

დღემდე შავი ზღვის ფსკერიდან ნაპირზე წყალს ამოაქვს ათასობით წლის ძეგლები, რომლებიც ადრატურებენ კოლხების ახლო ურთიერთობას ძველ ბერძენებთან. ევრიპიდეს გმირები ტემპერამენტით ჩვენი ახლობელი და ნაცნობი არიან.

თეატრის კოლექტივს ძალიან დიდი და მუყაითი შრომა გაუწევია იმისათვის, რომ შექმნა მონუმენტური სპექტაკლი. რეჟისორ გ. სულაიშვილს ახლებურად წაუქიზაბეს და სურნარად გაღაფუყვებია ტრაკედი.

ტრაკედიის მთავარი გმირია ხალხი, რომელიც სპექტაკლში გამოყვანილია კორინთელი ქალების ქორის სახით. სწორედ ქორო-ხალხი გადმოსცემს დრამატურგის აზრს.

იესა იწყება შესანიშნავი პროლოგი. მასურებელი მედეას გამოჩენამდე გრძობს მისი მდგომარეობის მიუღსამნივლებას. გამზრდელი (მსახ. გ. დბარი) ნამდვილი ოსტატობით გვაუწყებს მედეას სასოწარკვეთილებას. მისთვის მედეა დამატრული და განაწამები ქალია. დბარი სწორად გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას მედეასა და მისი შვილებისადმი.

სპექტაკლი ასე იწყება: მედეას ტირილით აღეღებულ ქოროს გამზრდელი უყვება უზედური ქალის მწუხარებას. ქორო გულწრფელად განაცდის მედეას ტიანჯას. მაგრამ როგორც ბერძნულ ტრაკედიებშია მიღებული, იგი უძღვრია შესცვალის რაიმე. გამოჩნდება კრონტი. ხალხი აღშფოთებულია. ეს აღშფოთება გადაეღება მასურებელს, რომელიც გრძობს სამწუხარო ამბების მოახლოებას. ქორო ევერტება კრეონს არ განდევნონ მედეა კორინთიდან. როცა მედეამ გადაწყვიტა შვილების მოკვლა, ქორო ცდილობს ხელი ააღებინოს ამ საშიშვლად გადაწყვეტილებას. არ გაჭრა ევერტება. მედეამ განზრახვა შეასრულა და ქოროც განიხატებს ხალხის უსაზღვრო მწუხარებას. ქორო სპექტაკლის ცოცხალი, მფთქები ნერვისა. ამაშია სპექტაკლის წარმატების საიდუმლოება.

მეტად გამოხმატკველად: მართლად ატარებენ სცენებს რ. აგრაბა — გამზრდელი (მეორე შემადგენლობაში დ. მიქეპაბია), ნ. ავიზბა — კრონტი, მ. კოვე — ეგოსი, ასევე ქორის წამყვანი ე. ტუტბა, ნ. რუფანსკაია, მ. კასლანძია, მ. ფანალია.

თავიანთი უშუალოდობით ამაღლებული არიან ყველაზე ახალგაზრდა მსახიობები გ. ვამგია და გ. კიჩბა (მედევს და იაზონის ვალები).

თეატრმა სპექტაკლში ბირველად გამოიყენა მ. ზუზბას როგორც ტრაკედიის მსახიობის მეტად დრმა მონაცემები; რომლებიც აქამდე სამწუხაროდ, არ იყვნენ მთელის სისრულით გამოყენებულნი.

მსახიობმა ქალმა შექმნა ნამდვილად ძლიერი, მონუმენტური სახე. სწორად გაიგო და გადაწყვიტა ტრაკედის ძირითადი ამოცანა — შეურაცხყოფილი სიყვარუ-

ლის თემა. ზუზბას მედეას ერთიანი ძალით შეუძლია სიყვარულიც და სიძულვილიც. ძლიერს, ამაყს და მტკიცე ნებისყოფის ზუზბა-მედეას არ შეუძლია შეურაცხვის იაზონის ღაწრულ დღლატს. იაზონისადმი ყოვლისმძლე სიყვარულმა დაატყვევინა მედეას სამშობლო კოლხეთი, ჩააღვინა ალატტი მანისადმი, მოაკლევინა ქმა, მოამოქმედებინა ბევრი სხვა ბოროტება, მაგრამ იაზონმა ვერ დააფასა ესოდენ დიდი მსხვერპლი. იაზონის საქციელს შეურაცხყო მედეა სულის სიღრმეში, შეურაცხყო მისი სიყვარული, რომელითაც გამსჭვალული იყო მთელი მისი არსება.

მ. ზუზბა ისეთი ოსტატობით ატარებს იმ სცენას, როცა იგი შეიგნებს თუ რა ტყუილ-უბრალოდ გაიღო მსხვერპლი იაზონის სიყვარულისთვის, რომ მასურებლის მიუღი თანაგრძობა მედეას მხარზე გადადის.

ევრიპიდის შემოქმედების ენტრში ღვას ადამიანი, მთელი მისი გმირული ალტყინებით, მერყეობით და უძლურებით. სწორედ ადამიანი მისი გრძობების ნაირნაირი ელფერი, ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლით ადამიანის სულის მოძრაობასა და წინააღმდეგობაში. ყოველივე ეს აწუხებდა ევრიპიდეს და პოევებდა ასახვას მის შესანიშნავ ქმნილებებში.

ზუზბა ჩაწვდა თავისი გმირის როულ ფსიქოლოგიას. კოლხეთის მეფის ამაყი ასული მუხლბეზე დაჩოქილი ევერტება კორინთის მეფე-კრონტს; არ გამაქეყო კორინთიდან. ის მწარად ჩივის იაზონის დღლატის გამო და ამაყად უარს ამბობს მის დახმარებაზე.

ასე თანდათან მწიფდება ზუზბას მედეას გულში შურისძიების გრძობა.

იი, ის ნერვულად მიიკრავს შვილებს მკერდზე და ამით გვაგრძობინებს დედობრივი სიყვარულის უდიდეს ძალას; უცებ მედეას შეაძრწუნებს საშიშელი ფიქრი და ხელთ მიიშობრებს შვილებს: "წადით, წადით ჩქარა!"

კარგად ახერხებს ზუზბა-მედეა თავისი განზრახვის დამალვას, როცა გარეგნულად დამშვიდებული ღვას იაზონის წინაშე, როგორც ქმრის შორჩილი ცოლი, ანდა, როცა ბავშვების ხელთ იაზონის გადასცემს სასარგლ საქარეს ახალი ცოლისთვის. აქ მხოლოდ წუთით გზედვით გამარჯვების საშიშელ დომილს შურისმაძიებელი ქალის სახეზე. მასურებელი უნებურად შემუთოდება სცენაზე მყოფ ხალხთან ერთად. ეს მხოლოდ ერთი წუთით და მერე ზუზბა-მედეა ისევ მშვიდი, მორჩილი ამაყად ხრის თავს იაზონის წინაშე.

რამდენ მოუთმენლობას გამოხატავს მისი გამოხედვა მაცნეს მთლოდინში!

გამოჩნდებიან ყრმა ელჩები, ბავშვები ცელქობით გაიზინენ სცენაზე. მედეას თვალებში სასტიკი ვანარჩენი გამოკრთის. მოგლენ მაცნენი, უყვებიან უზედური დედოფლის წამების და სიკვდილის ამბავს. სსახლში მომხდარი ამ საშიშვლი ტრაკედიის თხრობის ფონზე ღისონანსად ქლერს მედეა-ზუზბას მოზიემე სიცილი.

ასე გამძინეარებულ ზუზბა-მედეას ისეთს, როგორსაც ევრიპიდე გვიხატავს, არ შეუძლია შეგრდეს უკანაგულ. მისი უზედვრობის მთავარი მიზეზი იაზონის შურა მალაღ არ არის ვანადგურებული. და მედეა ზუზბას ბოლომდე მიჰყავს შურისძიება... იაზონი მარტოდმარტოა, არ გაანა ცხოვრების მიზანი.



ჩვენს წინაშეა დარღვიან გატყევილი ქალი, მოწვიმე, მაგრამ უბედური, სამშობლოს მოწყვეტილი, უოჯახო, მიუხედავად ყველფრისა, რაც მედემ ჩაიღინა, მაყურებელი მთლიანად მის მხარეზეა. ეს მსახიობის დიდი გამარჯვებაა, მან სწორად, ნიორ-ნაირი ფერებით დავიხატა ვერაიხდეს გმირის ქალის სულის მოძრაობა.

არა ნაკლებ საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მეორე ცენტრალური გმირის იაზონის საზე. შ. ფაჩალიას არა ერთხელ გამოუმკლავებია თავისი ოსტატობა. ამ ახალ როლში მსახიობი დიდი სიყვარულით მიუღდა თავის გმირს. მისი იაზონი ხან თვითკმაყოფილი ეგონებოდა, ხან სასტიკი და უმადური დესპოტი, რომელსაც ავიწყლებოდა, რას უნდა უმადლოდეს იგი მეღვას.

ფაჩალიამ ამოწურაველ ვახსნა გმირის ყველა სუსტ მხარე — პატივმოყვარეობა, გულტკეობა, მისი მდაბალი და წვრილმანი გრძნობები. ასეთი იაზონი, რასაკვირველია, ვერ შეაფასებდა მეღვას გრძნობის სიღრმეს. ფაჩალია მეტად ძლიერად გადმოგვცემს მამის დიდ სიყვარულს შვილებისადმი.

ბავშვების დანახვისას ქედმაღალი, გულცივი იაზონი გადაიქცევა მოსიყვარულე, ბედნიერ მამად, ბედნიერი ღიმილი გამოკრთის მის თვალებში. ...მედემ ყველაზე მეტად იცის, რა გაამწარებს იაზონს.

რა უზომო მწუხარებით, სასოწარკვეთილებით, რა დიდი ოსტატობით ატარებს ფაჩალია-იაზონი ფინალურ სცენას. მომხდარი უბედურებისგან წელში გატყევილი იაზონი მიდის მარტო, ხვალისდელი დღის იმედდაკარგული.

კომპოზიტორ ა. ენებუას მუსიკა გადმოგვცემს ვერაიხდეს ტრაგედიის მთელ გამას, მუსიკა ისევე, როგორც ქორი, ორგანულად ერწყმის სპექტაკლს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ტრაგედიის შესანიშნავი აფხაზური თარგმანი, რომელიც ი. ჩოჩუას ეკუთვნის, სცენიდან ისმის და მაყურებელს ხიბლავს კეთილზმოვანი მეტყველება.

რეჟისორმა და მსახიობებმა საინტერესო სპექტაკლი შექმნეს.

საწყენია მხოლოდ ზოგიერთი ნაკლი, რაც სპექტაკლს თან ახლავს. თეატრში სათანადო სიმაღლე ვერ დავსვინებთ განათება, რაც თავის უარყოფით კვალს აჩვენებს რეჟისორის ნაშუქვარს და მთლიანად სპექტაკლს.

კოსტუმების და დეკორაციების გადაწყვეტა შეიძლება უკეთესად. გამოიკალის შეადგენს ბუტფორია, რომელიც სიყვარულით შეუსრულებია ი. პობოვს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, სპექტაკლი მთლიანად საინტერესო მოვლენაა არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

მაღელვარის აფხაზური დასი შეიქმნა ახალი პროფესული კადრებით — საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებს აფხაზი სტუდენტების ჯგუფი.

სცენის გამოჩენილი ოსტატის, სსრკ სახალხო არტისტის პროფესორ აკაკი ხორავას ხელმძღვანელობით სტუდენტები ეუფლებიან სცენურ ოსტატობას. ვასულ წელს უმაღლესი თეატრალური სასწავლებლების დათვლიერებაზე აფხაზური ჯგუფი მოსკოვს გაემგზავრა და მაყურებელს უჩვენა ა. ცვარდის „ციმბილი“. ბრესან მიიწონა სპექტაკლი, ხოლო სტუდენტებმა ე. კოლინიამ, ს. ავუმამ, ჩ. ჯენიამ და სხვებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

აფხაზური განყოფილების უმცროსთა ჯგუფს პროფ. ა. ფალავა ხელმძღვანელობს. ამას წინათ ამ ჯგუფმა დაღვა ა. წერეთლის ერთმომქმედებანი ვოდევილი „ბუტიაობა“. სტუდენტებმა ცოცხლად, უშუალოებით, მომხიბლავი სიფაქიზით, და ტემპერამენტით წარმოსახეს წერეთლის ვოდევილის პერსონაჟები. სტუდენტებმა (ს. ავუმა, ს. ჩუაზ, ლ. გიცმა, შ. გიცმა, ო. ლავილავე) ცხადყვეს, რომ უახლოეს მომავალში აფხაზური დასი შეიქმნება ნიჭიერი ახალგაზრდებით.

ამჟამად ა. ხორავა თავის გაზრდილებთან ერთად ამზადებს სალიბლომო სპექტაკლს — რანეტის „უღებ შილს“.

აფხაზეთის ეროვნული თეატრი შემომქმედებითი აღმაშენების პერიოდში იმყოფება. მისი შემდგომი გამარჯვების საწინდარი ხელოვნებისადმი აფხაზი თეატრალური ახალგაზრდობის მხურვალე სიყვარული.



ქართული მკვირვებელი

ნიკოლოზ კვიციანი

ქართულ მკვირვებულებების ისტორიის სათავე უძველესი ხანიდან მომდინარებს, მაგრამ იგი უკარგეს შემთხვევად და სისტემაში მოყვანილია. ამიტომ ქართველ მკვირვებელთა მიხედვით ქართული მკვირვებულება მტკიცედ დასაბუთებულია.

სწორედ ეს საბაზო მუშაო დაუბნავს მკვირვებულების ისტორიას და დასაბუთებს ქართულ მკვირვებულებას. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ნიკოლოზ კვიციანი ანალიზს გაუკეთებდა ყველა იმ საისტორიო დოკუმენტს, რომელიც ქართულ მკვირვებულებას ეხება, და შედეგად მიიღო საკონკრეტო შედეგები ქართული მკვირვებულების ისტორიის შესახებ. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მეორე განყოფილება იწყება ბიოგრაფიებით, მკვლევართა და მასწავლებელთა ბიოგრაფიებით. მკვირვებულების ისტორიის შესახებ მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სხვა საკონკრეტო მუშაოები სისტემაშია დასაბუთებული. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ეს მასალა ძირითადად წარმოდგენილია იმ მკვლევართა ბიოგრაფიებით, რომლებმაც მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები შეასრულეს.

ამავე წარმართა წარმოდგენილი ქართველი მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მეორე საკონკრეტო მუშაოები მკვირვებულების ისტორიის შესახებ. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მეორე საკონკრეტო მუშაოები მკვირვებულების ისტორიის შესახებ. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

უფრო ახალი წარმოდგენილი მკვირვებულების ისტორიის შესახებ. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

წარმოდგენილია იმ მუშაოების ისტორიის შესახებ, რომლებმაც მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები შეასრულეს.

მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

ამიტომ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოები. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ნიკოლოზ კვიციანი მტკიცედ დასაბუთებდა ქართულ მკვირვებულების ისტორიის შესახებ მუშაოებს.

ეს მუშაოები მკვირვებულების ისტორიის შესახებ. ამის დასაბუთება მკვირვებულების ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

1 ბიულეტენი ინტელიგენციის „გორი მკვირვებელი“. გვ. 69. 1954 წ.

სერგო ქობულაძის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“

მერი კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას თავისი ისტორია აქვს. ამ ნაწარმოების პირველი ილუსტრაციები ძველი ქართული მინიატურისტიკი იყვნენ. ჩვენამდე მოღწეული დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ სამი ხელნაწერი XVI-XVII ს. ს. ეკუთვნის. სწორედ მინიატურისტიკმა ამოკრიბეს ბოემიდან ეპიზოდები, რომლებიც არაერთხელ გამოიყენეს ბოემის შემდგომმა ილუსტრატორებმა. მინიატურისტიკმა გამოამყვანეს თავის სათუთი, თითქმის პეინტური დამოკიდებულება ბოემის ტექსტთან. დაწერილებით ასახეს რა ბოემაში მოხსენიებული დეტალები მინიატურებმა შემოვიინახეს შოთას პორტრეტად მიჩნეული გამოსახულებაც. მხატვარმა გააკრიტიკა თავის ალბომში ამ მინიატურის ასლი გამოაქვეყნა, უფრო გვიან კი მის მიხედვით რიონშივლამა გააკეთა პორტრეტი, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა ჩვენში, თითქმის დაკანონდა და საფუძვლად დაედო რუსთაველის უამრავ პორტრეტს.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების მიერ ეტაბად შეიქმნა მხატვარ მ. ზინის ნახატები ჩათვალის. XIX ს. ბოლოს ქართველ ხალხში ვალდებულმა ნაციონალურმა თვითშეგნებამ, იმ დროს წარმოებულ სხვა კულტურულ ლონისმიებებთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემისა და დასურათების საკითხიც წაიყენა. 1888 წ. ვ. ქ. ქართველიშვილისეული გამოცემებისათვის დიდი მუშაობა გასწავა გრაფიკრმა გ. ტატიშვილმა, რომელმაც ძველი ქართული ძეგლების ორნამენტებით შეამკის ეს გამოცემა. ილუსტრაციების შესრულება კი მიანდეს უნგრელ მხატვარ მინია ზინის, რომელიც მამინ რუსეთის მეფის კარის მხატვარი იყო.

უცხოელ მხატვარს ბოემის შინაარსი დაწერილებით ვაცნეს. როგორც ჩანს, ის ძველ მინიატურებსაც იცნობდა. მხატვრის მიერ შესრულებული ნახატების ვარიანტების დიდი რაოდენობა ცხადყოფს, რომ სამუშაოში იგი გაიტყა. გულწრფელვობა ჩანს მის ალბომზე გაკეთებულ წარწერაში: «Тифлисскому литературному обществу. В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу, с. Петербург, 10 марта, 1899 г. Зини».

მ. ზინიმ ნახატებისათვის თითქმის იგივე ეპიზოდები შეარჩია, რაც მინიატურისტიკებმა. ამ ნახატების თანამიმდევრული დათვალიერება ბოემის აბულების წარმოდგენის საშუალებას იძლევა. მხატვარმა ილუსტრაციებში ასახათით ამბავი, ბოემის სიუჟეტური მხარე. ნახატებს თხრობითი ხასიათი აქვთ. მხატვარი გარკვეულად ამხვილებდა ყურადღებას ყოფის ამსახველ სცენებზე. ეს ნახატები მოწოდებს, რომ ევროპული მხატვარი მიზნობრივად იყო აღმოსავლური ევროპიკით. ილუსტრაციებისათვის აღმოსავლური იერი უნდა მიეცა მავრულ არქიტექტურას, აღმოსავლურ სამოსელს, რომლის გვერდით ზოგჯერ ვხე-

დავთ საქართველოში იმ დროს შერჩენილ ქართულ ტანსაცმელსაც (მაღალი ქუდეები, ქულაჯა და სხვ.).

ამ ნახატებში ბოემას დაეკარგა საგმირო ხასიათი, ფილოსოფიური სიღრმე. გმირების თავგადასავალს — სიდიადე, შემორჩა რომანტიკული ლეგენდა, ღამაში ფაბულა. რუსთაველის ბოემა ყოვლისმმლე სიყვარულსა, მეგობრობასა და გმირობის შესახებ ვადაიქცა რომანად საინტერესო თავგადასავლებით. აღსანიშნავია, რომ ზინის ნახატების სერია დღესაც რჩება ყველაზე სრულ სერიად ფაბულის გადმომცემი ეპიზოდების სიმრავლის თვალსაზრისით.

მ. ზინი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, თანამედროვე ილუსტრაციების შემქმნელი პირველი მხატვარი იყო. მისი ნახატები, რომლებიც საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვეს, „ვეფხისტყაოსნის“ ერთადერთ ილუსტრაციებად დარჩა ვიდრე XX ს. 30-იან წლებამდე.

მ. ზინის ნახატების შემქმნელს თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა მხატვრები კვლავ შეეცადნენ რუსთაველის ბოემის ილუსტრირებას.

1937 წლის დეკემბერში ქართველმა ხალხმა იზეიმა შოთა რუსთაველის ბოემის 750 წლისთავი. ამ თარიღისთვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1934 წელს. შეიქმნა საექსპოზიციო საიუბილეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები. ამ დროს დაიწერა მრავალი გამოკვლევა რუსთაველის ბოემის ენის, ეპოქის, მსოფლმხედველობის შესახებ. მოხზადა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები, ბოემა ითარგმნა რუსულსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის შესასწავლად მოეწყო ვაიხრები დმანისის, ნაქალაქებსა, გეგსასა და გულდარეში. შეგროვდა მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა საქართველოს მუზეუმში მოწყობილი გამოფენისთვის.

რუსთაველის იუბილეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ძველი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით. ისევე, როგორც ფირდოუსის, ბუშკინის, აკაკის და ილიას იუბილესების დროს გამართული დღესასწაულები, იგი გამოხატავდა ახალ დამოკიდებულებას კლასიკოსებისადმი. — ყურადღება მიექცა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისებას. რუსთაველის იუბილე საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა.

რუსთაველის იუბილემ ქართულ სახვით ხელოვნებაში გამოავლინა სრულიად ახალი, ნაციონალური მხატვრული ძალები. რუსთაველის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდნენ ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურაძე, შ. შიქატაძე, ლ. გრიგოლია. ვეფხისტყაოსნის დასურათებაზე მუშაობდნენ ლ. გულიაშვილი, თ. აბაქელია,

ირ. თოიძე, ს. ქობულაძე. ეს მხატვრები და მოქანდაკეები ლ. გულდაშვილისა და ი. ნიკოლაძის თხილისის ნახატვრო აკადემიის ყოფილი სტუდენტები იყვნენ. ამ პერიოდში ჩატარებული დიდი სამეცნიერო-მუსაოზის წყალობით მხატვრებს ხელთ ჰქონდათ მდიდარი დამხმარე მასალა, რომელიც საშუალებას აძლევდა მათ წარმოედგინათ რუს-თაველის ეპოქის კულტურა, ხელოვნება, ყოფა.

საიუბილეო გამოცემებისათვის ილუსტრაციები შეასრულეს თ. აბაკელიამ, ი. თოიძემ და ს. ქობულაძემ¹. თვითველი ავტორი თავისი გზით წვიდა, ილუსტრაციებში ხაზი გაუსვა იმ მომენტებს, რომლებიც მის მხატვრულ ტემპერამენტსა და შესაძლებლობებს უბასუხებდა. ირ. თოიძეს წინ წამოწეული აქვს თხრობითი მხარე, მკითხველს პირველ რიგში ნახატებს აღიქვამს, როგორც პოემის სიუჟეტური ხაზის ფიქსაციას; თ. აბაკელიას ნახატებში, რომლებსაც დეკორატიული ხასიათი აქვთ, ხაზგასმულია ქანრული, საყოფაცხოვრებო მომენტები; ს. ქობულაძის ყურადღება გამახვილდა პერსონაჟების საგმირო ხასიათზე.

ს. ქობულაძის ნახატების სერიაში შევიდა 11 ილუსტრაცია და რუსთაველის პორტრეტი. ნახატები შესრულებულია დიდი ზომის ქაღალდის ფურცლებზე (35×52), გუაშით. ფურცელი მთლიანად დაფარულია მოყავისფრო ან მონაცრისფრო გუაშით, ნახატი კი გამოკვეთილია თეთრათი. განსაკუთრებით ნათელი ადგილები ამოფხვნილია. ფორმები მოდელირებულია თხელი ფუნჯით დატანილი შტრიხებით. ზოგი ნახატი დაფერილია. ფერადოვანი გამა თავშეკავებული და მკაცრია. მხატვარი მზარობს ჩამქრალ ტონებს. ხშირია ყვითილი და ნარინჯი ტანსაცმელებისათვის, ლაქვარდი ან კობალტი—ფონებისათვის. მიუხედავად დაფერვისა, ნახატი თითქმის მონოქრომულია შთაბეჭდილებას სტოვებს. ფორმა მკაფიოდ გამოკვეთილია ბარაულდური შტრიხებით. ფოტოსა და რუბროლექციებზე ეს შტრიხები თითქმის იკარგება, ენწყვისი ერთი შეივრს მუქ და ითი ფერის ლაქებად. ამის გამო რუბროლექციების დროს ნახატი ბევრს კარგავს, ვინაიდან მხატვრის მტკიცე ხელით მოსმული შტრიხების როლს სისტემას, შესრულების ტექნიკას საერთო შთაბეჭდილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს (ნახატები ექსპონირებული იყო რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე ჯერ თბილისში, შემდეგ — მოსკოვსა და ლენინგრადში. ამგვამად ინახება ტრეტიაკოვის გალერეაში).

ილუსტრაციების შესრულებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მუშაობა მასალების შერჩევაზე, აკადემიის დამთავრების შემდეგ, ს. ქობულაძე მივლინებული იყო ლენინგრადში, სადაც გაეცნო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში დაცულ XIII ს. ქართული ტყდური ხელოვნების ძეგლებს. გარდა ამისა, ის აეთებდა ნახატებს საქართველოს მუზეუმის გამოფენისათვის. კოსტუმისა და იარაღისათვის მხატვარი ქართულ და ბიზანტიურ კედლის მხატვრობას მიმართავდა. ამ მოსამზადებელ სამუშაოს მხატვარი ასრულებდა იმ ვატაყვებთან და კეთილსინდისი-



ს. ქობულაძე შოთა რუსთაველი

ერებით, რომელიც საერთოდ მისი დამახასიათებელია შერმოქმედებაში. შუასაუკუნეების ქართული ხელოვნებისა და მი დიდი ინტერესს უღვდვია არქიტექტურისა და ძველ ნივთების ხშირი გამოყენება ნახატებში. არქიტექტურის ხასიათის ღრმად გაგება მხატვრის ნებას აძლევდა თავის სუსულება მიეცა ფანტაზიისთვის და არქეოლოგიზმისთვის თავი დაეღწია. რაც შეეხება კოსტუმს, ქობულაძემ მისარგებლა ძველი მხატვრობის ნიმუშებით, ვადაშუმავა მისაღა და შექმნა დეკორატიული სამოსელი, რომელიც მჭირროდ ეკვრის სხეულს და ხელს უწყობს ფორმების მკაფიოდ გამოვლენას. ამას, როგორც ქვემოთ დაინახავთ, მხატვრის საერთო მიდგომის დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამზადებელი ნახატები, გაკეთებული ამ სერიის ყოველი ილუსტრაციისათვის, მოწმობენ, რომ თვითველი კომპოზიციის შექმნას ხანგრძლივი, შრომატევადი მუშაობა უსწრებდა წინ. ყოველი ფურცლისთვის კეთდებოდა ეკიზი, რომელშიც მხატვარი კომპოზიციის საერთო სქემს პოულობდა. გარდა ამისა, კეთდებოდა ეტიუდები დეტლისათვის. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ფანრისი შესრულებული ეტიუდები ხელებისა, რომლებიც ნახატებში ძალიან როლს მოძრაობაში გვხვდება ხოლმე. მშინ, როცა მხატვარს სხვა მოედლი არ ჰყავდა, ის თავის ხელებს ხატავდა. დამახასიათებელია, რომ ეტიუდებსა არა აქვთ სწრაფი ჩანახატების ხასიათი. ეს სრულიად დათავრებული, ბოლომდე დაწოშებული ფრაგმენტები

¹ ირ. თოიძის ილუსტრაციები დაერთო აკადემიურ გამოცემას ქართულ ენაზე. თ. აბაკელიას ნახატების ერთი ცკლი ჯ. ცაგარელის რუსულ თარგმანს (მხატვრი, ლიტერატურის სახ. გამოცემლობა). ს. ქობულაძის ილუსტრაციები საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ პეტრენკოს თარგმანს.



ს. ქობულაძე

ტარიელი წყლის პირას

რომელთა უცვლელად გადატანა შეიძლება კომპოზიციაში. იმ დროს, როცა მხატვარმა „ვეფხისტყაოსნის“ ნახატებზე მუშაობა დაიწყო, ის ოცდახუთი წლის იყო, მაგრამ უკვე იმთავითვე გამოვლინდა თავისებობა, რომლებიც შემდგომში მისთვის დამახასიათებელი და მისი შემოქმედების გაგებისათვის განმსაზღვრელი იყო. იმთავითვე მკაფიოდ გამოიხატა მხატვრის მისწრაფება ეპიკური თემისკენ, საგმირო სიუჟეტის ასახვის სურვილი; საამისოდ მონუმენტური ფორმების ძიება, გმირების სახეების განზოგადება. უკვე რუსთაველის ილუსტრაციებზე ცოტა ადრე შესრულდნულ, ვემსპირის ტრაგედების ფორმებისათვის მხატვარმა გამოამატა განზოგადების დიდი უნარი, რაც მის ზეგ ღირს ტრაგიზმის უდალეს სიმძაფრეს ანიჭებს.

საზი უნდა გაეცნას კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ს. ქობულაძის — მხატვრის თავისებური ხასიათს გვიჩვენებს: ეს იყო მისი გატაცება კლასიკური ხელოვნებით, კერძოდ, იტალიის რენესანსის ხელოვნებით. კლასიკური ხელოვნების სიყვარული მას ბავშვობიდან დაჰყვა. პირველი მისი ნახატები რადიკალის ნაწარმოებთა რეპროდუქციებიდან გვევლინება ასლები იყო. შემდგომში კი ორიგინალების შესწავლამ ეს გატაცება გააღრმავა, და ძველი ოსტატების სიყვარული მათი საუკეთესო ცოდნა, მათი გაგება დაელო საფუძვლად. ს. ქობულაძის ნამუშევრებში ძველ ოსტატებთან ასოციაცია შეიძლება გამოიყოფის ფიგურების აგების ტექტონურობამ, კონტრასტობა და ზოგჯერ დეტალების იმგვარმა გულმოდგინედ და ოსტა-

ტურმა დამუშავებამ, როგორც მათთან ვგებდება ხოლმე. ს. ქობულაძის ნახატების სრულიად თავისებური ხასიათს განასაზღვრავს მხატვრის მუშაობის მეთოდი — ყოველი კომპოზიციის გულდასმით გააზრება, ყოველივე შემთხვევისთვის უცვლად, ხანგრძლივი წინასწარი მუშაობა კომპოზიციაზე.

კომპოზიციების აგების პრინციპი მონუმენტურობას და პირობითობას ქმნის: მოქმედება უშთაერესად სურათის სიბრტყის პარალელურად ვითარდება, ამავე დროს ფონი თითქმის ყველგან ბრტყელი რჩება, ფიგურები ქვისაგან გამოკვეთილ რელიეფს ემსგავსება. ეს შთაბეჭდილება ძლიერდება თითქმის სკულპტურულად გამოქრწილი, მკაფიოდ დამუშავებული ფორმების წყალობით. აღამიანის გამოსახულების კომპოზიციაში მთავარი ადგილი უკავია. არქიტექტურა, პეიზაჟი გამოყენებულია ან როგორც ჩარჩო, ან როგორც ფონი. მიუხედავად დასრულებული დამუშავებისა, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ. ფიგურები გამოყოფილია და შეკრულია. სახსრების, კუნთების მკაფიო დამუშავებით და მოძრაობის ხაზგასმით, მათ აგებაში გამოვლენილია ტექტონიკა. სხეულის მოძრაობა, ცალკეული ქუსტი, მოზრუნება ხაზგასმული და მკაფიოდ გამოხატულია. არა მარტო მთავარი ფიგურები, არა, მელ ყველა დეტალი ბოლომდე დამუშავებული და თითქმის ჭედურ მკაფიობამდე მიყვანილი. ფორმების ამგვარი დამუშავება აგრეთვე პირობითობის ერთ-ერთი შემქმნელია. ფორმების სკულპტურული გამოკვეთა ქმნის სტატიკურობის, გაქვავების შთაბეჭდილებას. ეს აგების საერთო პირობითობათან ერთად ნახატებს განყენებულ ხასიათს ანიჭებს. ნახატების მონუმენტური ვადაწყვეტა მიმართულია იქითკენ, რომ პერსონაჟების დახასიათებაში ხაზი გაესვას სახეების გმირულ მხარეს.

ს. ქობულაძემ პოემიდან საილუსტრაციოდ ამოკრებილი ეპიზოდების რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანა; მან აირჩია სიუჟეტის საკვანძო ეპიზოდები („თინათინის გაიმეება“, „ტარიელი წყლის პირას“, „ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა“, „ტარიელის ბრძოლა ხატაელებთან“, „ავთანდილი და თინათინი“, „ტარიელის შემბრძოლება ლომთან და ვეფხვთან“, „ნესტანი და ფატმანი“, „ნესტანის წერილი“, „ქაჯეთის ციხე“, „ნესტანის და ტარიელის შეხვედრა“). ნიშანდობლივია, რომ მხატვარს არ უცდია თავის ნახატებში აესახა ავთანდილის თავდადასავალი გულანშაროში ან სხვა ამგვარი „ქანრული“ ეპიზოდები.

ნახატების სერია რუსთაველის პორტრეტის იწყება. პოეტი წარმოდგენილია წერის პროცესში, სავარძელში მჯდომარე. მუხონის პოზა პირობითია. კალთაზე გადენილ ვეფხის ტყეზე დაყრდნობილი უზარმაზარი ფორამბიტ, ძირის ჩამოშვებული კალამიანი ხელი, სხეულის და თავის რთული მოძრაობა ხაზგასმულია ფორმების მკაფიოდ გამოკვეთით. ფიგურა კომპოზიციის ღერძზეა, მას თითქმის მთელი ფურცელი უკავია. მარჯვენა და მარცხენა მხარე გაწონასწორებულია ერთის მხრივ ლირის პეიზაჟით, მეორეს მხრივ თაღოვანი ნიშით, რომელშიაც მოინახი ღდას. ქვემოთ სივრცეს საზღვრავს და ჰქრავს იატაკის სიღრმისკენ დაფენილი ფილები. პოეტის სახის ტიპი ტრადიციულთან ახლოა — წვერისანი სახე და მაღალი ჭედურ. აღსანიშნავია, რომ მხატვარი გარეგნულ, მოტკბო სილამაზეს გაურბის, ადრედას ცხვირს, ამომიგებს სახის ნაკაბებს, სახეს

მკაცრ და სერიოზულ გამომეტყველებას ანიჭებს. ვეფხის ტყაყი — ტარიელის აბრეშუბით აკავშირებს პოეტის სახეს მის გმირთან. ძუნწად მოცეხული პეიზაჟი, არქიტექტურის ფორმების სინატიფე, წამოსასხამის მიძიმედ ჩამოშვებული ნაოჭების დენა, ეფარდება პოეტის სხეულის თავისუფალ და მეილდურ პოზას; ყველაფერი ერთობლიობაში აზრისა და ძალის შთაბეჭდილებას ქმნის.

უფრო გვიან (1938 წ.) მხატვარმა შეასრულა რუსთაველის მეორე პორტრეტი, რომელიც ამჟამად ერმიტაჟში ინახება. ამ პორტრეტზე მხატვარი განსაკუთრებით ხანგრძლივად და სიყვარულით მუშაობდა. მას სურდა შეექმნა პოეტის სახე, თავისუფალი ტრადიციით ნაკარნახევი ნორმებისაგან. უკუაგლო ტრადიციული ატრიბუტები — გრაგნილი, ქუდი, შეკვალა სახის ტიპი — მისი რუსთაველი უწვერულვამო ჭაბუკია. შემოხა იგი კაბით, რომელიც ხშირად გვხვდება XIII ს. ქართულ ფრესკებზე.

შვით შემოსილი ჭაბუკის თავისუფლად მდგომი ფიგურა შეეფერება ჩანს მონაცრისფრო ქვის წყობის ფონზე. აღსანიშნავია, რომ საბჯენის და კაპიტელის ფორმა დამახასიათებელია შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. შემთხვევითი არაა კაპიტელის მოთავსება სწორედ თავის დონეზე — ის თითქოს ჩარჩოდ ევლება სახეს. სახის წინ დატოვებულ არეს ავსებს ნახევარწრიულ თაღში გაშლილი პეიზაჟი — კლდოვანი მთები ციხით. ნახატის კომპოზიციური აგება მკაფიო და სადაა. ფიგურის ვერტიკალს აწონასწორებს არქიტექტურის ვერტიკალები და პეიზაჟი, ამოღტილ პროპორციებს ხაზს უსვამს ტანსაცმელის სწორი, მშვიდი ნაოჭები. სახის მოხდენილი ნაკეთები, მოძრაობის სიმშვიდე, ფიგურისა და არქიტექტურის შერწყმის პარამონიულობა გამოსახულებაში დახვეწილ, რაფინირებულ ხასიათს აძლევს. ერთადერთი გარეგნული დეტალი, იმის მაჩვენებელი, რომ აქ გამოხატული ჭაბუკი პოეტია, არის დიდი წიგნი, რომელიც პოეტს ორივე ხელით უჭირავს. ეს სიმბოლო კომპოზიციაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას იღებს იმის გამო, რომ იგი პორიზონტულ ლაქად ჰკვეთს ფიგურის ხაზგასმულ ვერტიკალს და ამის გამო მაყურებლის ყურადღებას იქცევს. წიგნის მნიშვნელობას ალიერებს ხელების ფრთხილი მოძრაობაც. რუსთაველის ეს პორტრეტი იყო მხატვრის გაბედული ცდა — მოეცა რუსთაველის — პოეტისა და მოაზროვნის სახის თავისი, დადგენილი ნორმებისაგან თავისუფალი ინტერპრეტაცია.

როგორც ზემოთ ვთქვით, მხატვარმა საილუსტრაციოდ ამორტრებილი ეპიზოდების რიცხვი შეზღუდა. ტექსტის ილუსტრაციებს შორის პირველია „თინათინის გამეფება“. ამ სცენაში მხატვარი მიზნად ისახავდა გადმოეცა არა თვით ცერემონიული გამეფებისა, როგორც ეს ირ. თომიქსონანა, ან საჰურტლის გაცემა, როგორც შ. შიჩინათი, ე. ი. ხალხმრავალი, მასობრივი სცენები, არამედ თინათინის და რუსტეანს მეფის ურთიერთობის ამსახველი მომენტი.

კომპოზიციას კრავენ თინათინის და აფთანდილის ფიგურები: თავისუფალ არეებს ავსებენ რუსტეანს და სეფე ქალები: სცენა იზღება ზომიერად გამოყენებული არქიტექტურის ფონზე; თალი ჩარჩოდ ევლება მას. აქ ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, მხატვარი არ ცდილობს შექმნას რაიმე კონკრეტული, ასე ვთქვათ, რეალური ინტერი-



ს. ქობულაძე

სამათა და ნესტანი

ერი, არამედ ფიგურებს უქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მათ გამოყოფას. თინათინის და აფთანდილის დაყენებით იქმნება მაყურებლისათვის პირისპირი. მეორისა შერკით, ეჩნება გარკვეული რიტმი. ამავე დროს აღსანიშნავია თინათინის წამყვანი მნიშვნელობა კომპოზიციაში — იგი მაყურებლისკენა მორუნებელი; მისკენა დახრილი როსტეანი, გარდა ამისა, იგი დამატებითად აქცენტირებულია პილიასტრის ვერტიკალით. პერსონაჟების განცდები გარეგნული ხერხებითაა გადმოცემული — როგორცაა, მაგალითად, თინათინის დახრილი თავი, გულზე მიდებული ხელი. ასევე, გმირების ურთიერთ დამოკიდებულებაზე ჩერდება მხატვარი ნახატში „ნესტანი და ფატმანა“.

ს. ქობულაძე ამ ორი ქალის ურთიერთობის საჩვენებლად არჩევს მეტად „ნეიტრალურ“ მომენტს, მომენტს, რომელშიაც ძალიან მცირეა თხრობითი ელემენტი, მაშინ, როცა ი. თომიქსონანა ფატმანის მიერ ნესტანის ფარულად გამაზვარება ე. ი. ამბის თხრობა, ქობულაძესთან თხრობითი მხარე უკუდგებულა. მხატვარს სურს გადმოსცეს ადამიანური ნაწი გძინობა, რომელსაც ფატმანში იწვევდა უსაზღვრო მწუხარებით შეპყრობილი ნესტან-დარეჯანი. აქაც გმირების გძინობას ეესტევი გამოსახავს. ნესტანის მოძრაობა კეთილშობილად თავგადაცემულ სევდას გვიჩვენებს, ფატმანისა — კი სიფრთხილეს და სიხაჟიერს. აღსა-



წ. ქობულაძე ნესტანის წერილი

ნიშნავია აქცენტები — ხელის მტკეცები მკაფიოდ გამო-
ხატული მოძრაობით. ფატმანის მოძრაობა, წარმართული
ნესტანისაკენ, — ამ უკანასკნელს მთავარ ფიგურად აქ-
ცევს. ამას ხელს უწყობს სრულად სადა ფონი, — მუქი
ფარები ნესტანის შერგს უკან.

ნახატი „ტარიელი წყლის პირას“ მხატვარი გმირის
მოძრაობისა და პოზის საშუალებით განწყობილებას
ქნის. ნახატი არ ჩანს ხალხი, რომელმაც ტარიელი დაი-
ნახა, არ არის ტარიელის ცხენიც კი. მხატვრის მიერ აქაც
სრულიად უგულებელყოფილია თხრობითი მომენტები.
მთელი ყურადღება განაზვიანებულია გმირის ფიგურაზე,
რომელიც თითქმის მთელ ფურცელს ავსებს, მხოლოდ
მარჯვნივ დარჩენილ არეში ჩანს პეიზაჟი, რომელიც ორგა-
ნულად უკავშირდება მთავარ ფიგურას. ფიგურის დიდ
ზომასთან ერთად, დაბალი პორზონტი ხაზს უსვამს ფორ-
მათა მონუმენტურობას; იმის მიუხედავად, რომ კლდეები,
წყალი, მცენარეები ისევე, როგორც ტარიელის ხმლის
ჭრქალი და სხვა დეტალები გულდასმითა და მუშავებუ-
ლი, ფიგურის დომინირებული მნიშვნელობა არ მცირდება.
სამოსელი მჭიდროდ ეკვრის სხეულს და ავლენს გოლია-
ლური სხეულის თვითეულ სასარსა და კუნთს. ტარიელის
პოზა ტიპურია ქობულაძისთვის: ტრონის მობრუნება
მარჯვნივ, იმ დროს, როცა თავი საწინააღმდეგო მიმართუ-
ლებითაა მობრუნებული, ერთი მოხრილი ხელი, მეორე
გაწვდილი, და ფეხების შესაბამისი მოძრაობა, — კონტრა-

პოსტი. ხელების დაძაბული მდგომარეობა, მკმუნვარე სა-
ხე, მთელი სხეულის მოძრაობასთან ერთად გმირის გან-
წყობილება გამოხატავს.

ემოციურობას უსვამს ხაზს ქობულაძე ტარიელის და
ავთანდილის შეხვედრის ეპიზოდში. თოძის და ზიჩის ნა-
ხატებში ორი გმირი შვიდად დგას ერთი მეორის გვერ-
დით. ქობულაძისთან ავთანდილი აჩქარებული ნაბიჯით
მიიმართება ტარიელისკენ. მეორე პლანზე მოჩანს ასმათი.
ცენტრშია ორი ვაკეცის მისასალმებლად გაწვდილი ხე-
ლები. ფიგურების გამომსახველ მოძრაობას იმეორებს ტა-
რიელის ევფისის ტყევის და ასმათის მანდილის ნაოჭების
დეკორატიული, ტალღისებური რიტმი, რომელიც ფიგურე-
ბის მოძრაობის მიმართულებას მიჰყვება.

ასევე გამოხატულია „ტარიელის ლომთან და ვეფხ-
თან ბრძოლა“. ლომისა და ვეფხის სხეულებზე, როგორც
პოსტამენტზე წამომდგარი ტარიელის ფიგურა მკაფიოდ
იქვეყნება მუქ ფონზე. კომპოზიციაში სრული წონასწო-
რობაა — ფიგურები თითქმის სწორფერდა სამკუთხედში
შეიძლება ჩაიწეროს. თვით ძლიერი მოძრაობა მოწესრი-
გებულია კონტრასტული დაყენებით, ასევე წონასწო-
დება აქცენტი — ალაპლაკებული ხმლის დიაგნოზი. მას
მეორე მხარეს უპასუხებს წამოსასხამის გაფრიალებული
ნაოჭები.

ზოგიერთ კომპოზიციაში მხატვარი ზედმეტად გაიტაცა
პათეტურობამ, „გარეგნულმა მხარემ“ შინაგანის ხარჯზე
მოძრაობა, ფორმათა ორნამენტული გადახლართვა, თით-
ქმის თვითმხად იქცა. ასეთებია „ბრძოლა ხატელებთან“
და „ნესტანის მოტაცება“. უკანასკნელ კომპოზიციაში ნა-
ხატი გადატვირთულია აქცესურებით — მიმე კაბიტე-
ლებით გაფრიალებული ტანსაცემის ნაოჭებით, რომლებ-
საც დიდი ადგილი უკავიათ. მხატვარი გაიტაცა კომპოზი-
ციურმა ამოცანამ. ზანჯის ფიგურა მოათავსა პოსტამენტზე,
ნესტანის ზემოთ, და ამით შექმნა დავარისკენ მიმართუ-
ლი სამი ფიგურის დიაგნოზი. ფორმები კონცენტრირე-
ბულია მარცხენა მხარეს, დავარის ფიგურასთან. კომპოზი-
ცია დატვირთულია, სივრცობრივი ორგანიზაცია ძნელად
გასარკვევი, რაც დამაჯერებლობას უკარგავს პათეტკას,
თუმცა აქაც მიღწეულია საერთო განწყობილება — ორნა-
მენტულად დახლართული ფორმები მოუსვენარი დაძაბუ-
ლობის შეგრძნებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ეს ერთ-
ერთი პირველი ნახატი იყო შესრულებს თანმიმდევრების
მიხედვით. შემდეგ, როგორც ჩანს, თვით მხატვარმაც იჯრ-
ძიო მათი სუსტი მხარე და შეეცადა დანარჩენ ნახატებში
მისი თავიდან აცდინა. თავისებურად გადაწყვიტა ქობუ-
ლაძემ კომპოზიცია „ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი
ქაჯეთის ციხესთან“. სხვა ილუსტრატორები გვიჩვენებენ
სამი გმირის თაბორის პირველ პლანზე და შორს — ცი-
ხეს, ან როგორც თ. აბაკელი, — სამ გმირს. ქობულაძეს
პირველ პლანზე გამოაქვს ციხე, ის იძლევა არქიტექტუ-
რულ ფანტაზიას — სათ კლდეებზე მდგარ ციხეს მაღალ
აზიულად კოშკებით.

„ციხეს გზი ევზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწე-
დებან“ — ცაში ირევა ღრუბლები, რაც ციხეს კიდევ უფ-
რო პირველ ეფის აძლევს. ქვემოთ, კონტრასტისთვის სამი
ცხენოსანის პაუწინა შავი სილუეტი მოჩანს, ამით მხატ-
ვარი თითქმის ხაზს უსვამს პერსონაჟების სამგირი საქმის
სიდიადეს.



ს ქობულაძე ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხეში

ილუსტრაციებში განსახიერებელი გმირების ხასიათში. ქობულაძე მთ კეთილშობილებასა და სულიერ სიღლიდეს ავლენს. ამ გმირი ყველაზე დამახასიათებელია ნახატი „ნესტანის წერილი“, რომელიც, საერთოდ, ამ სერიის ერთი საუკეთესოთაგანია. კომპოზიცია სადაა. ყურადღება ნესტანის ფიგურაზეა კონცენტრირებული. მარცხნივ ორმაგი ფართე სარკმლის ღია ფერის ლაქას უბასუხებს მაგიდის ღია ფერის ლაქა. არქიტექტურის სადა დახვეწილი ფორმები შეესატყვისება კომპოზიციის საერთო განწყობილებას. მხატვარი იფარგლება აქსესუარების მინიმუმით — მაგიდა მასზე გაშლილი გრაგნილით, ზალიში ნესტანის ფეხებთან. თვით ნესტანი მუქი კედლის წყობის ფონზეა წარმოდგენილი. ფიგურის ძლიერი ფორმები, შვეილი პოზა მონუმენტურობას შთაბეჭდილებას ქმნის. მონუმენტურია დეკორატიულად შეგრძნობილი ტანსაცმლის ნაოჭები, რომლებიც მძიმედ ფენიანება ქალის მუხლებზე. სახის სწორ ნაკვეთში კეთილშობილება გამოსტკივის. ამ სილამაზის კეთილშობილება განსაკუთრებით ვკაფოიდ იგრძნობა ირ. თითის ნესტანის შპალონურ, შინაგან გამომხატველობას მოკლებულ სილამაზესთან შედარებისა. ქობულაძის ნესტანის სილამაზე ამაღლებული, გმირულია, იგი ზოგად, კრებით სამედიეა აყვანილი.

ეპიკურად შვეილია უკანასკნელი სცენა — „ნესტანის და ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხეში“. ამ ნახატშიც

უკლებელყოფილია თხრობითი მომენტები, არ ჩანან ფრიდონი და ავთანდილი, რომელთაც მაჯუნურთა შექმედვლიანახეს. მხატვარმა არ მიაქცია ყურადღება ისეთ დეტალსაც, როგორც არის მოხდილი მუზარადი (თოიძე ამ შემთხვევაშიც უშუალოდ ტექსტს მიჰყვება). თვით ფიგურების აგების გარდა, არქიტექტურისა და ფიგურების შეფარდება მონუმენტურობას აძლიერებს. გმირების მოძრაობა თავშეკავებულია, მასები ვაწონასწორობული. მთავარი ჯგუფი ფურცლის გეომეტრიულ ცენტრში არაა მოთავსებული — ყურადღებას მისცემ წარმართავს არქიტექტურული ჩარჩო — თაღის რიტი, რომელიც სიღრმიდან პირველი პლანისკენ მოდის და ხაზს უსვამს ნესტანის და ტარიელის ფიგურებს. ამ ნახატშიც თვალაწინაა მხატვრისთვის დამახასიათებელი თვისება — არქიტექტურის და ფიგურების ორგანული დაცემირება, ფიგურის დომინირებული მნიშვნელობის შენარჩუნება.

მხატვარმა პოემის ილუსტრირების დროს სრულიად გარკვეულად შემოფარგლა თავისი ამოცანები. მას არ დაუსახავს მიზანად აესხა პოემა მთელი მისი მრავალფეროვნებით და სიღრმით. ამავე დროს უარყო თხრობითი მიდგომა — თვით სიუჟეტის დაწვრილებით თხრობა და ეცადა შექმნა ზოგადი სახეები, რომლებიც შეესაბამებინა რუსთაველის პოემის საერთო განწყობაზე, საერთო ხასიათზე მხატვრის წარმოდგენას. რუსთაველის პოემაში ქობულაძე თავისას ეძებდა, ისევე, როგორც ყოველი ილუსტრატორი ნაწარმოებში თავისას ხედავს. ქობულაძის ნახატებში გამოძახილს პპოვებს პოემის გარკვეული მხარი — საგმირო, ამაღლებული ხასიათი, მისი გმირების კეთილშობილება, სულიერი ძალა.

რუსთაველის გმირები სრულიად გარკვეულად ინდივიდუალუზღუბული ადამიანები არიან, რომლებიც მოქმედებაში, ურთიერთობაში ხედვასხვადასხვაგვარად ავლენენ თავის დამახასიათებელ თვისებებს. ავთანდილი, რომელიც არაადროს კარგავს საღი მსჯელობის უნარს, პოულობს გამოსავალს ყოველგვარი მდგომარეობიდან, ყოველ მოვლენაში ხედავს კარგ მხარესაც, თავისი ხასიათით გარკვეულად უპირისპირდება ვაგლისთქმას აღვილად ამყოლ ტარიელს, რომლის მოქმედებაში დიდი ადგილი უკავია განწყობილებას. იგივე შეიძლება ითქვას თინათინის, ნესტან-დარეჯანის, ფტამანის სახეებზე. პოემაში ბევრია ეპიზოდი, რომელიც პოემის ეპიკურ თხრობას სიცოცხლეს ანიჭებს, გმირების რაიდულ თვავდასავალს ახლოსა და გასაგებს ხდის ჩვენთვის.

პოემაში ჩაქსოვილია ასპარეზობის, ნაღირობის, დარზაზობის აღწერები, ჩაქსოვილია დიდი გემოვნებით და ზომიერების გრძნობით და ამავე დროს იმ სიყვარულით, რომელიც ფეოდალური ეპოქისათვის, ეთიკეტისა და რთული პატრონყმული დამოკიდებულების დროისათვისაა დამახასიათებელი. ამგვარი ადგილები თითქმის ერთადერთი საშუალებაა იმ საზოგადოების ყოფის წარმოსადგენად. რუსთაველი გმირების ხასიათის გამოკვეთისას, მათი მოქმედებისა და მდგომარეობის ბრწყინვალე აღწერის გარდა, იღვება დეტალებს, რომლებიც გმირების ხასიათისა და განწყობილების აქცენტებებს ახლენ. მას ყურადღების გარეშე არ ჩნება გმირთა კოსტიუმები, სამოსლის ფერიც კი. ასეთია, მაგალითად, ასმათის შავი კაბა, ტარიელის მიერ მიძღვნილი რიდე, რომელსაც ნესტანი არ იშორებს

მიჯნურთან დაშორების დროს. არაერთხელ ნახსენებია ავთანდილის თეორი ტრაქიე და ტარიელის შვიი მერანი. ეს დეტალები პოეტის გმირების ადამიანური თვისებების გამოვლენას ემსახურება.

მხატვარი არ ახდენს სახეების შეგვიორ დიფერენციაციას. ს. ქოშულაძემ დაინახა და ასახა რუსთაველის გმირების საერთო თვისებები; ის, რაც მათ აახლოებს და ამსუვავებს — შეუღრეკელობა, გამბედაობა, კეთილშობილება.

ამ ფიგურებს ფართო და ძლიერი გაშლილი მხრივი, კეთილშობი ტრისები და მელაქები აქვთ. მათი მოძრაობა პირობითი და პათეტურია, სამოსელის დეკორატიული მხივე ნაოჭებით და არქიტექტურული მოტივებით ხაზ-

გასმული. ყოველივე ეს კი უკასხებს იმ პათოსსა და მამა ლს, რუსთაველის გმირების მოქმედებას რომ ასახაობენ. ნახატების ამ სერისას ს. ქოშულაძის შემოქმედლებაში ეტაბური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გამოჩნდა თვისებები, რომლებიც ზოგჯერ სახეს იცვლიან ხოლმე, მაგრამ მანვე, ასე თუ ისე, განსაზღვრული რჩებიან მხატვრის შემოქმედების შედეგად განვითარებაში, ის არის მერიოკული თემისადმი, ეპიკური სიუჟეტისადმი მიდრეკილება, ამ სიუჟეტის ასახვისას პირობით, მონუმენტური ფორმათა ძებნა. მხატვრამ უკვე მამინ გამოავლინა კომპოზიციის აკების ცოდნა, ფორმების გრავიკულად მერწყვის თავისებური ხერხები და მაბალ მხატვრული გემოვნება, რამაც იგი საბჭოთა გრავიკოსების პირველი რიგებში დააყენა.

თვითმოქმედ შემსრულებელთა კონკურსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა და სიცოცხლისტური კულტურის შემდგომი აყვავების ღიადი ამოცანებია დასახული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 1960 წლის 1 იანვრამდე ტარდება რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების — კულტურის სახელების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სასოფლო სამეკთველოების, კულტურისა და დაწესებულების პარკების საზოგადოებრივი დათავლიერება. ამ ღონისძიების ძირითადი ამოცანაა პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად ხელი შეუწყოს ამ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მოწინავეთა გამოცდილების გამოვლენებსა და განზოგადებას, კულტურის დაწესებულებათა შენარიალური ზაზის განმტკიცებას, შენობებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობას, მათს უზრუნველყოფას სპეციალური ინჟინტარი, ინსტრუმენტობითა და სასწრაფო მოწყობილობებით და ა.

ეყობა რესპუბლიკური კონკურსიც, რომლის მიზანია უფრო მაბალ დონეზე აყვავის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მასობრივი განვითარება, ხალხური შემოქმედების იღვრე-მხატვრული დონე, გამოავლინოს საუკეთესო მშრომელები.

როგორც ცნობილია, ძველად ხალხური თვითმოქმედებით დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ ცალკეული პირები — ეთნობარგები, ფოლკლორისტიები, არქეოლოგები, მუსიკოსები, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ-მხატვრული თვითმოქმედების ყოველმხრივი განვითარება. ხალხური შემოქმედების მეცნიერული შესწავლა საბჭოთა წიფის მზრუნველობის საგნად იქცა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში. დღეს მხატვრული თვითმოქმედებისთვის ფართო ასპარეზია გაშლილი

როგორც ქალქად, ისე სოფლად.

ყოველწლიურად იზრდება თვითმოქმედი თეატრალური და მუსიკალური წრეების, მომხდარალთა გუნდების, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების, ხალხურ საკრავთა კოლექტივების, სიმებიან და ჩასატერ ინსტრუმენტთა ორკესტრების რიცხვი. ხალხური სიმღერა, ცეკვა, თეატრალური სახანობა, მოლექსობა, მხატვრული კითხვა, სახვითი ხელოვნება, ამჟვენებენ რა მშრომელთა ცხოვრებას, ხალხის შატებენ მათ ყოველდღიურ შრომამში და ამით დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში გამართულმა ოლიმპიადებმა გამოავლინეს ნიჭიერი ძალები ყოველი სახის მხატვრული თვითმოქმედებაში და იმავე დროს გვიჩვენეს მოძვე ერების — ქართველების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, უკრაინელების, ბელორუსების და სხვათა მეგობრობა და დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობა.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხატვრული-თვითმოქმედ კოლექტივები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოიხიზნებათ აღზარდონ მშრომელები კომუნისტური იდენტობისა და ზნეობის სულსკვეთებით. უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს მრავალი კოლექტივი, რომელსაც შესწევს ძალა თავი გაართვას ამ დიდ ამოცანას.

შინარისანი რეპერტუარი და შესრულების პროფესიული დონით გამოირჩევიან თბილისის, გორის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, სტალინის, თელავის, სოფ. ვილისკინის, ლაგოდეხის, ახმეტის, მონღონის კულტურის სარაიონო სახლების თვითმოქმედი თეატრალური და საგუნდო-ქორეოგრაფიული კოლექტივები. სასურველია კიდევ უფრო განამტკიცდეს ამ კოლექტივების მჭიდრო კავშირი ხელმძღვანელ (ადგილობრივ და ცენტრალურ) ორგანიზაციებთან, დმანისის, თიანეთის, სიღნაღის,


მცხეთის, ხაშურის, ზნაურის, ზესტაფონის, ვანის, ონის, ქედის, აშაშის, გალის რაიონების საკლუბო დაწესებულებებში საკლუბო ყურადღება გაქცევა სასცენო მოწყობილობათა გამჯობებებსა და კონცერტების მხატვრული დონის ამაღლებას. სათანადო სიმაღლეზე არ დგას სპეციალის მხატვრული და მუსიკალური გავრცელება. გულისტიკივით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საკლუბო დაწესებულებებში დაბალ დონეზეა მხატვრული მეტყველების კულტურაც.

თვითმოქმედ შემსრულებელთა კონკურსი სარაიონო, საქალაქო, საოლქო ცენტრები 1959 წლის 1-დან 30 სექტემბრამდე ჩატარდება, ხოლო რესპუბლიკური 1959 წლის ოქტომბერში. საკონკურსო რესპუბლიკური კომისიის მიერ დასტუტებული სიხისა და ვადების შესაბამისად მასში მონაწილეობას მიიღებენ: პროფესიული კავშირების, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობის, უმაბალესი და სპეციალური სასწავლებლების მომღერლები (სოლო, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, სექტეტი, სეგტეტი, ოქტეტი); მუსიკალურ საკრავებზე დამკვერელი (ჩორუსები, ფანდოლი, ჩანჩი, სალამური, გურდესტივი, ჭიბონი, სიონარი, დოლი, დაილიბიტო, ჭუნირი, დუღუტი, ქამანჩა, ტიანური, ახერცა) მხატვრული კითხვის ოსტატები, ხალხური მოლექსობის, მოზაიკები და მოქმედები.


ის ვაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის რაიონების (ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, ბორჯომის, ცხაქაის, ლაგოდეხის, გურჯაანის რაიონის სოფ. ვილისკინის) კულტურის სახლებთან შეიქმნა სახალხო თეატრები, ხოლო ტ. თბილისის საკლუბო საზოგადოება და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი, — ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას კულტურის და ხელოვნების შემდგომი აღმაშენებისათვის.

ჩვენი ვალდია მოვუაროთ და კიდევ უფრო გაავაძლიროთ ხალხური საუნჯე-ვაკა ჩინწლაძე







1




2



2



3



4



6

1. ავტორები: არქ. არქ. ლ. მესხიშვილი, რ. ბაირამაშვილი, დ. შორბედაძე, ა. ჯიბლაძე; კონსტრუქტორები, დ. ქაჯაია, გ. მებუკე, „თბილქალქპროექტი“ შპს-ი. II პრემია.

2. ავტორი: არქ. თ. ჩხეიძე; კონსტრუქტორი ლ. თევზაძე, „საქსაბპროექტი“ შპს-ი.

3 ავტორი. არქ. ლ. მამალაძე; თანავტორები: არქ. არქ. ს. კაციტაძე, ვ. ნასარიძე, ჯ. პაპინაშვილი, ვ. ფიქრიშვილი, გ. ქიაურელი, ვ. ჭუბაბია; კონსტრუქტორები ა. გურჭოვი. „საქსაბპროექტი“ შპს-ი.

4. ავტორი: არქ. ს. რევიშვილი; თანავტორები: არქ. არქ. გ. ჯაბუა, გ. ხიზანიშვილი. „ქალაქმშენსაბპროექტი“ შპს-ი.

5. ავტორი: არქ. ვ. კელია, თანავტორები: ფ. უფარაშვილი, რ. ხატიაშვილი „ქალაქმშენსაბპროექტი“, პერსპექტივი.

6. ავტორები: არქ. არქ. ი. ზაალიშვილი, გ. ჯაფარიძე, „ქალაქმშენსაბპროექტი“ შპს-ი.

7. ავტორები: არქ. არქ. ა. ქურდიანი, ო. კალანდარიშვილი თ. კანდელაკი, გ. ქურდიანი; კონსტრუქტორი დ. ქაჯაია, მხატვარი ე. ანაუყელი. „თბილქალქპროექტი“ შპს-ი. III პრემია.


8. იგივე. ფასადის ფრაგმენტი. შპს-ი.

9. ავტორი: არქ. გ. ლევია (მხატვარი მ. ბერძენიშვილი) „ქალაქმშენსაბპროექტი“. პერსპექტივი. II პრემია.

10. ავტორები: არქ. არქ. გ. გაბაშვილი, ნ. ფირცხალაშვილი, მ. კაკაბაძე, თ. ალავერდაშვილი; თანავტორი ა. მარგველაშვილი, კონსტრუქტორი მ. ცენტრაძე. „სოფლპროექტი“ შპს-ი.

11. ავტორი: არქ. ა. მიწინაშვილი „ეკემბერეწარმო“ შპს-ი.

12. ავტორები: არქ. არქ. ი. მარგიშვილი, ო. პაიქაძე, თ. ფიფქაძე, ე. წულუა, ბ. ხაინი; კონსტრუქტორი ზ. შეველიოვა. „სოფლპროექტი“. ფასადი, III პრემია.



7

კონსტრუქციის საპროექტო სამსახურის სსრ კავშირების პროექტზე

პარილისა და მაისის თვეებში კარგად სანახევრო არქიტექტურულ ცხოვრებაში მეთად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — ჩატარდა კონსტრუქციის სსრ კავშირის სახალხო მუშაობის მიღწევით გამოცემის საპროექტო სამსახურის სსრ კავშირის პროექტზე.


როგორც ცნობილია, ეს გამოცემა გაიხსნა უფროდ სავაჭირო სასოფლო-სამეურნეო გამოცემის ტერიტორიაზე და ამჟამად, ისე როგორც სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების, საპროექტო სამსახურისა და სოფლის მეურნეობის მიღწევების გამოცემა ძველ კავშირებში არის მოთავსებული. არსებული კავშირები (ავტორი ა. ქურდიანი; თანაავტორი გ. ლედევა) აგებული იყო 1939 წელს და თავისი ხუროთმოძღვრული ღირსებებით სავსებით სანაოთიანად იქნა მიჩნეული ერთ-ერთ საუკეთესოდ შთოდ გამოცემაზე. მაგრამ ახლა ძველი კავშირები ვერც გაბარიტებით და ვერც მხატვრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ახლი კავშირების კონსტრუქციის მონაწილეობა მიიღო თბილისის თოქის უცხო დიდა საპროექტო ორგანიზაციამ. სულ წარმოადგინო იქნა 19 პროექტი, რომლებიც გამოცემილი იყო საპროექტო სამსახურის ხელმძღვანელის სახელმწიფო მუშაობის დარბაზებში.


ამსწინათ ხელმძღვანელის მუშაობა სახლში მოეწყო პროექტების საჯარო განხილვა; მინაწილეობა მიიღეს არქიტექტორებმა, ინჟინერებმა, მწერლებმა, მხატვრებმა, როგორც თვით პროექტების არქიტექტორები, ისე განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებები თავანთათვის ვერაფრებზე იმ მინაწილი შემოქმედებითი ძიების რთულ პროცესს, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში. ძირითადად ეს არის ისევე ძველი კარდინალური საკითხი: ნაციონალურ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების საკითხი (სად, როგორ და რა დოზით იქნეს გამოყენებული ტრადიციები).

კონსტრუქციის წარმოდგენილი მასალა მოითხოვს დაკვირვებულ და ფართო ანალიზს. იგი ცალკე კრიტიკულ გარჩევას საჭიროებს. კონსტრუქციის ფორმის არცერთ წარმოდგენილ პროექტს არ მისცა უპირატესობა, არ ვასცა I პრემია. გამოცხადდა კონსტრუქციის მეორე ტური. მასში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პრემირებული პროექტების ავტორები. მე-2 პრემიები მიეცეს ორ პროექტს: I. ავტორები: ლ. მესხიშვილი, ვ. აბრამიშვილი, რ. ბაიარაშვილი, დ. შორბედაძე, ა. ჯობლაძე; კონსტრუქტორები დ. ქაჯაია, გ. მებუჯე; და II. ავტორები: გ. ლედევა (მხატვარი მ. ბერძენიშვილი), გაცემულია სამი მე-3 პრემია: I. ავტორები: ლ. მამალაძე; თანაავტორები: ვ. კაციაშვილი, ვ. ნასიძე, ვ. პაპინაშვილი, ვ. ფიქორიშვილი, გ. შაურტყელი, ვ. ჭაბუაძე; კონსტრუქტორი ა. ვერტკოვი; II. ავტორები: ი. მარგველი, ო. პაპაძე; თ. უფლიძე, კ. წულუაბა, ბ. ხანიანი; კონსტრუქტორი ზ. შვედილი; და III. ავტორები: ა. ქურდიანი, ო. კალანდარიშვილი, თ. კანდეღია, გ. ქურდიანი; კონსტრუქტორი დ. ქაჯაია (მხატვარი ე. ამაშუელის).


პროექტები ახლავებენ ავტორთა მზარდ პროფესიულ ისტატუსს; ისინი უფრო თანამოდ იყენებენ თანამედროვე საამრეწელო მასალებს და თანამედროვე ინჟინერიის, სამამულურ და უცხოური არქიტექტურის მიღწევებს. ფართოდ ჩნდება მხატვრულ-დეკორატიული მომენტები (სულტატურა, კედლის მხატვრობა, კერამიკა, ბარელიეფი და სხვ.). მაგრამ საშუაზაროდ ამასთან ერთად შეინჩნევა ტრადიციების ბრმა, არა კრიტიკულა გამოყენება (ისევე იქნევილი“ თაღლი და სხვ.)



8



9




10



11

12



მუშა ახალგაზრდობის ქართული თეატრების შესახებ

აილა გაჩენილად



დეს, როცა მხატვრულმა თვითმოქმედებამ ესოდენ მასობრივი ხასიათი მიიღო, მეტი არ იქნება გავისწინეთ მუშა-ახალგაზრდობის კომკავშირული ქართული თეატრი, რომელიც 30 წლის წინათ დაარსდა და ცხრა წელიწადი იარსება. ამ თეატრმა თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეში. თეატრის კოლექტივში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ანდრია ბალანჩივაძე, დიდიმ მირცხულავა, შოთა აღსაბაძე, გრიგოლ სულიაშვილი, რევაზ გონიანაშვილი, ილიკო სუხიშვილი, ალ. მიქელაძე, ვანო მურადელი, შოთა მანანაძე, ამბერკი გაჩენილაძე, და ცხაკაია, ა. კირიკიაძე, კ. ლანდია, კ. ჭუმბურიძე, სამუქოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, რომერტ ქართველიშვილი და სხვ.

30-იანი წლები ხასიათდება ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ვითარების განსაკუთრებული სიმძაფრით. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მთელი თავისი სასიცოცხლო ძალებით იბრძოდა მძიმე ინდუსტრიის საფუძვლების შექმნისათვის, კოლექტივიზაციისათვის, კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. ერთის წუთით აკ ნელდებოდა იდეოლოგიური ბრძოლა. ამ პერიოდში გარკვეულ ფენებში ჯერ კიდევ შესამჩნევ იყო უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, იყო აშკარად მტრული გამოსვლებიც, რომელთა ასაკვეთად პარტია ღებულობდა მკაცრ, დადამწყვეტ ზომებს.

პოლიტიკურ-სოციალურ ძვრებთან ერთად თანდათანონათ ხორციელდება კულტურული რევოლუცია. ამ ბრძოლაში პარტიას მუდამ მხარში ედგა კომკავშირი, რომელიც მთელი ახალგაზრდული ენთუზიაზმით და გატაცებით ჩაბმული იყო სოციალისტური მშენებლობის ისტორიულ საქმეში.

კომკავშირი მრავალ ეფექტურ ღონისძიებებს ატარებდა პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად. ერთი ასეთი ღონისძიებათაგანი იყო დაარსება მუშა-ახალგაზრდობის თეატრისა, რომლის სათავეშიც იდეურად მოწინავე ახალგაზრდობა უნდა მდგარიყო. მის დანიშნულებას წარმოადგენდა გაერთიანებინა სასცენო ნიჭით დაჯილდოებული მუშა ახალგაზრდობა (დაზვიან მუშები, ხარატები, ზეინგლები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მოსწავლეები, სტუდენტები და სხვა). თეატრის ყველა წევრი უნდა შესულიყო კომკავშირის რიგებში.

ასეთი სახის თეატრი „ტრამის“ სახელწოდებით, პირველად ლენინგრადში დაარსდა, ხოლო შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში—ქუთაისის რაიონული კომკავშირის ინიციატივით (ამხ-ბის ბუხაიძის, მაღრაძის, უზრეხელიძის, სვანიძის და სხვათა თაოსნობით).

მუშა-ახალგაზრდობის ქართული თეატრი თავისი შე-

მოქმედებით ეწეოდა რა პარტიის იდეების ავტოცია-პროპაგანდას, იმავე დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. კერძოდ, იგი ავტოციაციას ეწეოდა კოლმეურნეობების დაარსებისათვის, თვით შრომობდა და ეხმარებოდა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, აწყოზდა ლექცია-მოსხენებებს; ღია მანქანაზე გამართული საესტრადო გამოსვლებით მოუწოდებდა ხალხს კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრთან გაიხსნა სათეატრო სტუდია შემდეგი პროგრამით: პოლიტიკონომია, სოფლმეჯიო, რიტმიკა, მუსიკა, ისტორია, გრიმი და სხვა. პედაგოგებად მუშაობდნენ ილიკო აბაშიძე, შერბაცკაია, აბაზაძე, ე. პავლოვა-მიქელაძისა.

თეატრის კოლექტივში შედიოდნენ: ალ. მამრიკიშვილი, აკაკი შანიძე, ვიქტორ დვისაძე, კონტ. გიორგობიანი, ალექსანდრა კირიკიაძე, დიდიმ მირცხულავა, გენია სვანიძე, კონტ. ჩიქოვანი, გუგული დვისაძე, ჟენია კახაია, გვიგ ბაქრაძე, ნიკოლოზ დოლიძე, ანკო ირემაძე, სერგო თყობიძე, ვიქტორ ციმაია, შუშანა მესხი, რევაზ გონიანაშვილი, ზოია ლალიაშვილი, ლექსო ბეთანოვი, პიმენ კოკავა, მალვინა ბეგთაბეგოვა, კინწურიაშვილი, კუტიგაძე, ვალოდია იამანიძე, იოსკა ხაჩიზაბოვი, თამარ ქუთაიელაძე, სანდრო რაზმაძე, თამარ ჯუბაძე, ვარლამ მახვილაძე, ჟორა მილორაძე, მარგო აჭარაძე, შოთა ფულარანი, იაშა საღალიშვილი, ევგენი იმედაძე, თამარ მუსერხიძე, შალვა ჟორჯილაძე, ქარცივაძე, სანდრო იბოძე და სხვანი.

თეატრს თავის გარშემო ჰყავდა შემოკრებილი ახალგაზრდა დრამატურგები და ლიტერატურისმცოდნეები.

1928 წელს დაიდგა აფინოგენოვის „მგლის ბილიკი“, პიესა მაცურებელმა კარგად მიიღო. იმავე 1928 წელს თეატრის ხელმძღვანელად დანიშნეს საშა მიქელაძე, რომელმაც 1929 წელს დადგა ლეოვის პიესა: „დღემდე დენიან“. შემდეგ თეატრს დიდი პიესა აღარ მოუშაბდებია, სამაგიეროდ სახელდახელოდ შექმნეს მცირე ფორმის წარმოდგენები და სოფელ-სოფელ მართაედნენ სპექტაკლებს. ამასობაში თბილისში მომზადდა ნიადავი ასეთი თეატრის ჩამოსაყალიბებლად, მისი დაარსების ინიციატორად გამოვიდა რეჟისორი შოთა მანაგაძე.

ახალგაზრდობა მონდომებით შეუდგა საქმეს, მაგრამ მუშაობის გარეშა აფერხებდა შენობის უქონლობა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები სისტემატურად მცვალინებოდნენ საშუალო სკოლის შენობაში (ფუნქციონირების ძირში), სადაც შოთა მანაგაძის რეჟისორობით აშაბედდნენ საყოფაცხოვრებო ავტოკაპის პიესას „641“, აშაბედდნენ იმ იმედით, რომ მალე მიიღებდნენ შესაფერ შენობას სპექტაკლების გასამართავად. დაგებოდნენ კინოთეატრს „სოლის“ შენობას, სადაც ამჟამად მოზარდმაცურებელთა

ქართული თეატრია მოთავსებული, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა.

1929 წლის შემოდგომა მოახლოვდა და სუსხიანი ამინდები დაიჭირა. ახალგაზრდებს უბნა „641“ კარგა ხანია უკვე მზად ჰქონდათ. ერთ დღეს უბნობაში შექუთხულმა კოლექტივმა იეიმში აიღო კინო „სოლის“ შენობა, ახალგაზრდებმა შეამტერიეს კარები და შევიდნენ შიგ. კინოს დირექტორი იძულებული გახდა შენობა დაეცა. ამის შემდეგ ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა და 1930 წლის 25 თებერვალს ტრამელებმა გახსნეს პირველი სეზონი სიმონ ჩიქოვანისა და შოთა მანაგაძის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ბიესით „641“, რომელიც ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებას ასახავდა. ეს იყო თბილისის მუშა-ახალგაზრდობის პირველი სექტაკლი, რომელსაც ეუთობდა შეხვედრე პრესაც და მაყურებელიც.

1931 წლის 29 მარტის „კომუნისტი“ გამოქვეყნდა ბესარიონ ქვენტის წერილი. ავტორი ვრცლად ლაპარაკობდა მუშა-ახალგაზრდობის თეატრის დანიშნულებაზე და მის მიღწევაზე. ტრამელებისათვის ეს დიდი გამარჯვება იყო. მიუხედავად იმისა, რომ წერილი აღნიშნული იყო თეატრის მრავალი ნაკლი, ტრამის ახალგაზრდობა ამ წერილს დიდი აღტაცებით შეეგება და მისგან სტიმულიც მიიღო შემდგომი მუშაობისათვის.

აი, რას წერდა ბ. ქვენტი: „მიუხედავად საკულისხში მიღწევისა, შეუძლებელია ტრამი ამ თავითვე კატეგორიულად მიჩნეულ იქნას ძველი თეატრალური „ცოდებინა“ სახენულ განტვირთულ მიმდინარეობად და პროლეტარული თეატრის უკვე დასრულებულ პროტოტიპად. საქართველოში მუშა-ახალგაზრდობის თეატრს, როგორც ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ერთეულს, მხოლოდ რამდენიმე თვის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მან აწარმოა სარგებანაკითი პერიოდი და ნორმალურ ნიადაგზე დააყენა მასში გაერთიანებული, დაზგებთან და წარმოებასში უშუალოდ დაკავშირებული ახალგაზრდობის სწავლების საქმე“.

ამ ბიესის შემდეგ, რეჟისორ შოთა აღსაბაძის რეჟისორობით საკომმუნისტო თეატრზე დაიდგა ბიესა „ვინ ვის“, რომელიც იმ დროისათვის, როცა კოლმუნერობა ფეხს იდგამდა და ბოლოები გაფორმებით ემბოღნენ წერილ გახუბურ მურწინებათა სოციალურად გარდაქმნას, მეტად აქტუალურად ედერდა. სექტაკლმა დაიღალა მაყურებელი მიიზიდა, და როდესაც კულაკების ხელით მკვდარი კომპარტიული სცენაზე გამოყავდათ, ხალხში ქვითინი და კულაკების მიმართ ზიზვასე წამობანობები ისმოდა. ეს იყო 1931 წელს. სექტაკლში თავი გამოიჩინეს რ. ქართველიშვილმა. დ. ცხაკაიამ, ლ. ზაატაშვილმა, ა. კირკიტაძემ, ი. მახარაშვილმა, დომონიზმა და სხვ. ამ ორი დადგმის შემდეგ შ. მანაგაძე და შოთა აღსაბაძე მუშა-ახალგაზრდობის ქართული თეატრიდან საშუაოდ სხვაგან მიიწვიეს, და ჩვენს თეატრში მუშაობა დაიწყო რუსეთიდან ახლად დაბრუნებულმა კომპარტიულმა დომომდე ანთაქე-ნაკაშიძემ. მის მოსვლამდე ერთხანს სრულიად ურეჟისოროდ ვიყავით და გულმოდგინედ ვეძებდით გამოსავალს ამ მდგომარეობიდან.

ტროცისტული ბანდებისა, ყოფილ გამპარ-მრეწველებისა და კულაკების შემოტევაში, უფრო გაზედული და ფართო ხასიათი მიიღო. საჭირო შეიქნა უფრო აქტიური

მოქმედება მათ წინააღმდეგ. ხელისუფლება ნიჭიერად და მორალურად ხელს გვიმართავდა, საუკეთესო კომპარტიული და ოპანებრივობაზე გველოდა, და ჩვენს მოვალენი ვიყავით გავემართლებინა ნდობა.

სხვა გამოსავალი რომ ვეღარ ვიპოვეთ, მასხობა რობერტ ქარველიშვილის რეჟისორობით, მოგამზადეთ აგენტაციური საესტრადო ნომრები, მოგაწყეთ სცენა ლია ავტომანანაზე. საუკეთესო დაესვით მძლოლი და შეუდექით ახალი ხახის საესტრადო მოღვაწეობას. დეკლამაციით, სიმღერით, ცეკვებითა და სექტაკლით გამოვდიოდით თბილისის ქუჩებში და ქალაქის საგარეუბნო სოფლებში: წყნეთში, დიღომში, გლდანში და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, 1931 წელს, ტრამში რეჟისორად დომომდე ანთაქე მოვიდა. იმისათვის რომ მისი ვინაობა ამ დროს უკვე საკმაოდ ცნობილი თეატრალური მოღვაწის და რეჟისორის დღოდ ანთაძის ვინაობაში არ არყოფიდა, ყოველგვარი გაუცქრობის თავიდან ასაცილებლად, დომომდე ანთაქემ თავისი აღზრდელის მწერალ ნინო ნაკაშიძის გვარი აირჩია, დომომდე ნაკაშიძემ მალე თბილისის თეატრალური მუშა-ახალგაზრდობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა როგორც რეჟისორმა, ხელმძღვანელებმა, ამხანაგმა და გულისხმებრმა მეგობარმა. ტრამელებს უცვაყოფლებს ბაღებს მხოლოდ ის, რომ დომომდე რუსულად იყო გაზრდილი და ქართულ ენაზე გამართულად ვერ მეტყველებდა. მაგრამ თავისთავზე მონდომებული მეცადინეობით დომომ (ასე ვეძიხანდ მას) ნაკლი დასძლია და სასუბით დაეუფლა ქართულ ენას.

1931 წლის 3 ნოემბერს დომომდე ნაკაშიძემ დადაგა ახალი პერიოდა „განგაში“. ეს ბიესა თავდადებით თეატრზე იყო დაწერილი და მეტად აქტუალურად ედერდა. პერსონაჟებმა და თითქმის სულ ახალგაზრდობა იყო გამოყვანილი. კარვად მახსოვს, როგორი ენთუზიაზმითა და მონდომებით ვამზადებდით ამ სექტაკლს. პერიოდს მიერ მაყურებელი დაესწრო ამ მან კარგი შეფასებაც მიიღო. ახალგაზრდა მსახიობებმა როლები წარმატებით შეასრულეს და როგორც წინააღმდეგ ორმა სექტაკლმა, „განგაშმაც“ თავის მოვალეობა მოახდა.

გამარჯვებით წახალისებული ტრამელები უფრო ინტენსიური შემოქმედებისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრის დირექტორი გრიშა შავგულიძე მოაშორეს, და ჩვენი თეატრის საძირკველიც თითქმის იმ დღიდან შეირყა. ვახშირი და უფლოლო და გაჭირვება, უშუალოდ და გაუგებრობა. გრიშა შავგულიძის შემდეგ, თეატრის თავი დაანება მისმა მოადგილემ ამბერკი გაჩილიაძემაც. დირექტორად დაინიშნა არჩოდ დასავლელიც, მაგრამ დიღანას არც ეს დაარჩინელა ამ ბოსტრე. დირექტორის პორთფელი ხელი-და ხელში გადადიოდა. რამდენიმე კვირით თითქმის ხელ-ლას მოუწია დირექტორის კანონიტი ჯდობა, გარდა ქალეებისა. ბოლოს, თეატრის დირექტორობა დააკისრეს ვახტანგ ოთიაშვილს. რომელმაც ვერ გაიკო ამ თეატრის პრინციპები, ვერ გაუძღვა მას, როგორც საჭირო იყო. მისი უფულისყრო და უხალისი მუშაობის გამო თეატრი დაიხურა. ვისაც შეეძლო თეატრიდან წასვლა, თავს უშველა. ხოლო როდესაც ხელმოკლეობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, თეატრში შემორჩენილმა ახალგაზრდებმა გახსნეს პატარა დარბაზი, სადაც რიგრიგობით ყიდდნენ ლუდს

და შემოსულ თანხას ხელფასის ანგარიშში ვვირიგებდნენ, და ფარგლებს თეატრის სხვა ხარჯებს. როდესაც ამ დარა-
ბამაც ვერაფერი გვიშველა, უფრო პრაქტიკულმა ახალგაზ-
რდობამ აელაბარა ჩემოდნების სახელოსნო, რომ
შემოსულის თანხით თეატრი შეენარჩუნებინათ, მაგრამ
ესეც უნაყოფო ღონისძიება აღმოჩნდა. მალე სულ მოგვეს-
პო საარსებო წყარო.

თეატრის ახალგაზრდობამ ვალდევნივით შეგვედგინა
სასტარდო ბრიგადა, ავეყიერე ნებართვა და საგასტრო-
ლოდ წაესვლიყავით. ასეც მოვუძიეთ. რომერტ ქართო-
ლიშვილისა და ანჟამად საქვეყნოდ ცნობილი კომპოზი-
ტორის ვანო მურადელის ხელმძღვანელობით, სახელმძღ-
ვანოდ მოვახარეთ სექტრები, სიმღერები, ცეკვები, მუსი-
კალური ნომრები და 1932 წლის ზაფხულში სამოგზაუ-
როდ წავედით დასავლეთ საქართველოში. შემოვიარეთ ხა-
შური, კასი, ქარელი, ბორჯომი, სურამი, ღარი, ზესტა-
ფონი, სამტრიადა, ოსურეთი, ზუგდიდი, კონიხნუთი, ჩო-
ხატური, მერია, ლიათური, ზვანი და სხვა სოფლები.
ბრიგადაში იყვნენ: რომერტ ქართველიშვილი (რეჟისო-
რი), ვანო მურადელი (მუსიკალური წაწილის გამკე-
ჯანო ბაგრატიონი და გორსკი (ცეკვები, მაგრამ ესენი მოგ-
ზაურობაში არ წამოსულან), მსახიობები: მარო ერისთავი,
შურა კირიტიძე, ოლია მახარაშვილი, ალა გაჩეჩილაძე,
ვალეო ქუმბურძიძე, კოტე კახანაძე, კოლია ხელაშვილი,
კოლია ნიჭარაძე, სერგო დომიანი, შალვა და დავით სვანი-
ძეები, ბაგრატ კობერიძე, ყორა ასატურელი, გოგი ტან-
ძაქერაშვილი (სალამურზე დაამკვრელ) და სხვები.

ამ მოგზაურობას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ „გავუმდიდ-
რებიათ“, მაგრამ შინ მეტად ბედნიერი და კმაყოფილ-
ნი დაბრუნდით.

იმ ხანებში მიდიოდა ფილმი „სამი სიცოცხლე“, რო-
მელსაც დიდი მოწონება ჰქონდა. სურათის მთავარ გმი-
რებს — ესმას, ერემიას და ზაზას ბევრი ახალგაზრდა ზა-
ძაძეს. ეს კინოსურათი გადაღებული იყო სოფელ ზვანში,
და როდესაც ჩვენც იმ ეზოში, იმ სახლში მოგვხვდით, სა-
დავც ეს სურათი გადაიღეს, ვალდევნივით დროებით ჩვენც
ვეყოფილიყავით იმ სურათის გმირები და მათ პოვნებში გა-
დაგველო სურათები. მე ესმა ვიყავი, ვანო მურადელი —
წარბა, ბაგრატ კობერიძე — ზაზა. ამ ფოტოებში, რომ-
ლებიც ერთ საყოფად ფოტოგრაფს გადავამღებთ, მოჩე-
ნებებს უფრო ვგავდით, ვიდრე ნამდვილ ადამიანებს.

ახლა დავუხსრნებდი იმ პერიოდს, როცა ჩვენ სტაციო-
ნალურად ვმოშობდით. თუმცა 1929 წელს იერიში ავი-
დეთ კიონ „სოლოის“ შენობა, მაგრამ ადვანს არ დავრ-
ჩენილვართ უმეზობლოდ. 1929 წლის დამლევს, შენობაში
შემოსახლეს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი,
რომელიც დღემდე ამ შენობით სარგებლობს. მუშა-ახალ-
გაზრდობისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებს რიჯ-
რიგებით ვგვქონდა რეპეტიციები და სექტაკლები. ტრა-
მელებს უფრო ხშირად გვეშლებოდა ხელი მეცადინეობა-
ში, რადგან უპირატესობა მოზარდთა თეატრმა მოიპოვა.
ამ ორი თეატრის დირექციებს შორის ხშირი იყო შეხლა-
შემოსხლაც, და რატომაც ყოველივეს „ტრამი“ უთიზობდა
„მოზარდს“. მოზარდთა თეატრს დასში ჰყავდა კვალიფი-
ცირებული, გამოცდილი მსახიობები; ხელმძღვანელობდა
მას ისეთი რეჟისორი, როგორც ალექსანდრე თაყაიშვილი
იყო. ის უკვე ძლიერი და გამართული თეატრი გახლდათ.

ჩვენ ეს მხოლოდ მაშინ ვიდგამდით ფეხს. მათ სისტემატი-
ურად ჰქონდათ სექტაკლები, ჩვენ კი სამი-თხუთსა წლის
მანძილზე მხოლოდ სამი პიესა დავდეთ. ამიტომ უკუ-
ლობაც ჩვენი თეატრის ხშირი სტუმარი იყო.

ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს მოზარდთა
თეატრის ხელმძღვანელს ალექსანდრე თაყაიშვილს ხში-
რად ვამოყვავდით მასობრივ სენეებში. ზოგჯერ ჩვენი
მსახიობი, უმთავრესად, ვაყები (დავით ცხაკაია, ლადო
ჭიჭინაძე და სხვ.) ვადავიდნენ მოზარდთა თეატრის კო-
ლექტივში და ბოლომდე შეჩინნენ მას.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის თეატრს, მართალია,
ფინანსიური მდგომარეობა მოწესრიგებული არ ჰქონდა,
მაგრამ საქმის სიყვარულით ვასპეკალული ახალგაზრდო-
ბი გაპირებვასაც ადვილად ვიტანდით. მითუმეტეს, რომ
თეატრის პირველი დირექტია საქმაოდ ზრუნავდა ჩვე-
ნებზე. იგი ყოველმხრივ ცდილობდა გზა გაეხსნა ჩვენი
სიდი ხელფინანსიკენ. 1931 წლის შემოდგომაზე, კომპო-
ზიტორ ანდრია ბალანჩიშვილისა და პიანისტ ბაბე ლომი-
ძის თათნობით, ვოკალური და მუსიკალური ნიჭით და-
ჯილდოებული ახალგაზრდა ტრამელები თს. სახელმწიფო
კონსერვატორიაში მივეყვანეს და გამოცდები ჩავეტარე-
ბინეს.

ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა ვოკალურ ფაკულ-
ტეტზე შევიდა, ნაწილი საღიგიორგოზე, საფორტეპიანო-
ზე, სავილონჩელიზე. მამინდელი ტრამელი მუსიკოსე-
ბი დღეს უკვე დიდიხალი არიან ჩვენს ქვეყანაში. მგა, ვანო
მურადელი, ცნობი მიჩნებულა და სხვები. ალა ცოტანიძე-
და დარჩინნ ძველი „ტრამელებიდან“. ზოგი სამამულო
ომში დაიღუბა, ზოგი გარდაიცვალა (შალვა სვანიძე, ბა-
გრატ კობერიძე, მარო ერისთავი, დომიდე ანთაძე და სხვ.).
ტრამელი დავით ბაქაძემ სამამულო ომიდან სამჭოთა კავ-
შირის გმირის წოდებით დავეიზრუნდა და ჩვენ, ძველი
ტრამელები-კომკავშირელები ვამაყობთ იმით, რომ
და ბაქაძემ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის მიერ არის
აღზრდილი.

1929 წლიდან 1938 წლის დამლევამდე იარსება თბი-
ლისის მოშა-ახალგაზრდობის თეატრმა. სხვადასხვა დროს
აქ მუშაობდნენ დირექტორად გრიშა შავგულიძე, მოადგი-
ლედ ამბერკი გაჩეჩილაძე, კომკავშირის კომიტეტის მდი-
ნად გრიშა კამაქიძე, მხატვრულ ხელმძღვანელად შოთა
მანავაძე, დამღმდე რეჟისორებად — შოთა აღსანაძე და
დიომიდე ანთაძე-ნაკაშიძე. დასში შედიოდნენ ქალთაგან
შურა კირიტიძე, პანა ჯობლაძე, მარო ერისთავი, ოლია
მახარაშვილი, ქეთი აღსანაძე, ალლა გაჩეჩილაძე, თამარ
წერეთელი, მარო დობარჯინიძე, სოფიო პაპიაშვილი,
შურა ჭუგანიძე, ანიკო ლაშუარი, ელვიკო სუხიშვილი, ელ-
ვიდებიორე, გუგულინი გუგუა და სხვანი; ვაყებიდან: ყორა
ასატურელი, სერგო დომიანი, ვალეო ქუმბურძიძე, კოტე
კახანაძე, შურა იმერლიშვილი, ნიკო ნიჭარაძე, რომერტ
ქართველიშვილი, ნიკოლოზ ხელაშვილი, გოგი ბარგველა-
შვილი, დავით ცხაკაია, ლადო საღიანშვილი, დავით ბაქ-
რაძე, ლადო ჭიჭინაძე, გოგი ტანძაქერაშვილი, შალვა სვა-
ნიძე, დავით სვანიძე, ბაგრატ კობერიძე, ლეო ზაუტაშვი-
ლი, ყორა ურუსუაძე, გრიშა კამაქიძე, ავქსენტი მარინა-
შვილი, გოგი ბაქაძე, პავლე და შალვა სულხანიშვი-
ლები, ყორა ქიტიაშვილი, გოგი ხუტიაშვილი, ყორა და-
ლაქიშვილი, სერგო ნიაური, დავით სიდაშონიძე, ბ. ვარ-



დოშვილი, ნ. ჯვარშიშვილი, ა. მაისურაძე, ს. ონოფრე-
შვილი, ა. კალანდარიშვილი, კად. ჭკადუა, კატარაძე, კან-
დელაძე, წულაძე, ჯვარაძე, ნ. ყიდშიძე და სხვ.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის ქართულ თეატრთან
1930 წ. დარსდა სათეატრო სტილია, პედაგოგებმა მოწე-
ველნი იყვნენ: კომპოზიტორები ანდრია ბალანჩივაძე (მუ-
სიკალური ნაწილის გამგე), კაკო ანდრიაშვილი, ვანო მუ-
რადელი (პიანისტო), ბაბე ლომიძე (ხმის დაყენება), პე-
დაგოგი ნიკო შიუტაშვილი (მეტყველება-დრეკა), მსა-
ხიობი დიმიტრი მგავია (ვრბობი), ლებედენსკი (რიტმიკა
და პოსტტიკა), შოთა მანაგაძე (მსახიობის ოსტატობა),
აკაკი ფაღვა (ხელოვნების ისტორია), ილიკო სუხიშვილი
და გრ. ჯვახიშვილი (აზრობი და ვეროპოლნი ცემ-
ები).

1932 წელს, დიდი პარტიული და შეხლა-შემოხლის
შემდეგ, თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრმა თა-
ვისი მუშაობა კვლავ ქ. ქუთაისში გადაიტანა. თეატრს ისევ
შოთა მანაგაძე ჩაუდგა სათავეში. მასთან ერთად მოღვა-
წეობდა რეჟისორი ვასო მურდულიაძე. ბევრი თბილისელი
ტრამპლი შეუერთდა ქუთაისის განახლებულ მუშა ახალ-
გაზრდობის თეატრს. მუშაობა ახალი ენთუზიაზმით გა-
ჩაღდა. თეატრის კოლექტივის რომ მეტი ენერჯია მოეკ-
რინა, 1933 წლის ზაფხულში ქუთაისის კომკავშირის რაი-
კომმა იგი ველათში გაგზავნა დასასვენებლად, სადაც
წარმოემდა მკვლელობა მომავალი სეზონისათვის.

ზღიზღად წავიდა რამდენიმე პრემიერა. ქუთაისის
მუშა-ახალგაზრდობის ქართულმა თეატრმა იმდენად ინ-
ტენსიური მუშაობა გაწაღა, რომ ართუო საქართველოს,
რუსეთის თეატრალური აქტივები კი ალაპარაკა. დაიდავა
პიესები: „ჩვენნი ქვეყნის ქალიშვილები“, „ალილია“ „ეს-
კადრის დაღუპვა“, „ვისაა“, „თორმეტი“, „ბერლი“,
„ურბრავლესობა“ და სხვა. ამ დადგმებს პრესა და მასურე-
ბელი გულთბილად გამოეხმაურა.

1934 წლის 23 მარტს „კომუნისტური“ № 69 (8925)
მოთავსდა მწვეა დადიანის წერილი, სათაურით: „მშვენი-
ერი საქმე“, ავტორი გაოცებასა და აღფრთოვანებას გამო-
თქვამდა ამ ძალად შენარჩუნებულ თეატრს წინსვლით.
წერილი საუკუნისათვისა და ამ ფურცლებზე გადმომაქვს
მოთიანისა.

„ხდება ეს ქუთაისში. მუშა-ახალგაზრდობას შეუყრია
თავი და დაუარსებია თავისი თეატრი, მაგრამ იმიტომ კი
არა, რომ რომელიღაც ჯგუფს მოუნდა წარმოადგენების
პირველ თავის გასართობად, როგორც ეს სჩვეოდებოდა წინა
პირობებიდან სცენისმოყვარეებს. არა, აქ არის ვარკვეული
მსოფლმხედველობა კოლექტივისა და მისი ხელმძღვანე-
ლობისა; აქ გამოიწვლია თეატრის შემოქმედება, თეატრი
სუბიექტს ეპოქით და ექვს ახალ სათეატრო ნერვებს: აშ-
ყარებს ეპოქის შესაფერ მხილავებს თეატრში. მოაჯარი აქ,
ჩემი შენიშვნები, იმდენად არა ტრიაპები და მსახიობის
ჩამოსხმვა, რამდენდაც ახალი საზოგადოებრიობის და
მასთან დაკავშირებული საკითხების წამოყენება. მხოლოდ
ეს ხდება არა სქემატურად, არამედ ვასაგებ, სადა, მაგრამ
მხატვრულ თეატრალურ ფორმებში. არის ცდა ერთი გან-
საუთრებული თეატრის შესაქმნელად გამოყენებული იქ-
ნის დაღვანდელი სათეატრო ტექნიკა, როგორც სხვა მრავ-
ალ თეატრში, მხოლოდ აქაც განსხვავებული მიდგომით.

ამჟამად თეატრი წარმოადგენს უთუოდ მძლავრ კო-
ლექტივს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი წევრები

კომკავშირელები, დაზვის მუშები და სტუდენტები არიან
არამედ იმიტომ, რომ მათ აუცილებლად აქვთ სათეატრო
ნიჭი და უნარი.

კოლექტივის ხელმძღვანელობს რეჟისორი შოთა მანაგა-
ძე, რომელსაც საბჭოთა საზოგადოება იცნობს მისი წი-
ნანდელი მუშაობითაც, განსაკუთრებით თბილისის წი-
თელარმიელთა ყოფ. თეატრში. დღესაც დაუვიწყარია მა-
შინდელი მისი მონდენილი დადგმები („პური“ — ქირშო-
ნისა, „ჩვენისათვის პირველი არამია“ — ვიშნოვსკისა და
სხვ.) რამაც თავის დროზე სათანადო შეფასება პოვა პრე-
საში, მაგრამ ამჟამად, მისი მუშაობა ბევრად უფრო და-
ხელოვნებულია, დახვეწილია და გამოცდილებითაა აღსავ-
ლ. ეტყობა, რომ იგი საკმაოდ გაზრდილი, როგორც რე-
ჟისორი და ხელოვანი. მოსკოვში მეიერხოლდთან სამსა-
ხურის და სხვადასხვა თეატრებში მუშაობას თვალსაჩინო
ნაყოფი გამოუღია. მე ვნახე ქუთაისში მათი წარმოდგენა
„ჩვენნი ქვეყნის ქალიშვილები“ მივიტენვსობი. ქართული
სცენისათვის გადაკეთებულ, და თუმცა მე ამ სპექტაკლის
რეცენზიას არა ვწერ, მაგრამ პირუთვნულად უნდა აღვნიშ-
ნო, რომ წარმოდგენა მივიდა აუღიტირამდე, მან გი-
მარჯვა. დარბაზი გაუღწეოილიყო ხალხისი და სიხარუ-
ლით, სცენამ დადმოდენილი ახალგაზრდული სივისკასე,
თვით შტრამაგებსაც ამხნევებდა დარბაზში“.

ვახუე „სიტყვა და საქმეში“ თოქების ოთხი გვერდი
აქვს დათმობილი ქუთაისის ტრამის შემოქმედების ვაშუ-
ქებს. აქ მოთავსებული რეცენზიები და წერილები ქარ-
თული მუსიკის, სათეატრო ხელოვნებისა და ლიტერატურ-
ის განხილვისი მიღვაწეებისა, ისინი მაღალ, დამსახუ-
რებულ შეფასებას აძლევენ ქუთაისის მუშა-ახალგაზრდო-
ბის ქართული თეატრის ენერჯიულ მუშაობას. ბიესა „ალი-
ლისი“ შესახებ პანტელეიმონ ჩხიკავაძე წერდა: „მუშა-
ახალგაზრდობის თეატრმა ქუთაისში, მოკლე დროის გან-
მავლობაში, შესწლი, ოთხი ახალი დადგმით ვაშოსულიყო
მასურეების წინაშე. წინა დადგმებს, სამწუხაროდ, ჩვენ
არ ვართ ვაცნობილი“.

„ალილია“, როგორც თემატური აქტიულობის ისე
მისი სცენიური გაფორმების თვალსაზრისით, ღირსშესა-
ნიშნავი მოვლენა ჩვენს თეატრალურ ფორმტზე-ღერებას
ბ. ჩხიკავაძე — ამ სპექტაკლით თეატრის ხელმძღვანელმა
შოთა მანაგაძემ და რეჟისორმა ვ. მურდულიამ უთუოდ
შესტუმრეს ძველი თეატრალური შტამბის დაღვრვა, მიუხე-
დავად იმისა, რომ სცენაზე ჩვენ არ გხვდებოდ სცენის დამ-
სახურებულ ოსტატებს. მსახიობთა შემადგენლობა ახალ-
გაზრდა მუშებია, მასურეებელი მინცვ ვრბობის ახალ-
გაზრდა სცენის მუშაკთა ანტისტუდენტ ცეცხლს და თავი-
დან ზოლომდე თანასწორად მოწესრიგებული სპექტაკლის
ეპოქინალურ ზეგავლენას“.

მავე ვახუე „სიტყვა და საქმეში“ ტრამის შემოქმედე-
ბას საუკეთესო დახასიათებას აძლევენ მწერლები ღემნა
შენეღვლია და სიმონ ჩიქოვანი:

— „ჩვენნი ღბობის მუშა-ახალგაზრდობა წარმოადგენს
იმ თაობას, რომელიც მოახლოებული უკლასო საზოგა-
დოების მოქალაქენი იქნებან. ახალი ენერჯია, ახალი
ხელვა, ახალგაზრდული რევოლუციონური გატაცება აი რი-
თი მოლიან ისინი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა
ეძლევა მათ შემოქმედებას. ამიტომ იქცევენ ჩვენს განსა-
კუთრებულ ყურადღებას ის კადრები, რომელნიც სულ

მაღლ სათავეში ჩაუდგებიან ჩვენი გრანდიოზულ ყოველ-
დღიურ შემოქმედებით მუშაობას და მშენებლობას. არა
მხოლოდ მანქანამშენებლობაში, არამედ ჩვენი საკუთარი
თავის შენებაშიც. ჩვენი ყოფა, ჯერ კიდევ საკმაოდ დამყა-
ყებულა; ჩვენი ოჯახი დამახინჯებულია ძველი შამა-პა-
პური ჩვეებითა და შეხედულებებით. ეს ერთი უდიდესი
მტერი ჩვენი დიდი მომავლისა და აი, ამ ნაკლს უნდა
დარტყა. ამიტომ არის საინტერესო ჩვენთვის ახალგაზრ-
დობის თეატრი, სადაც ისინი ხელოვნების დარგში ჯერ
გაუწილებელი, მაგრამ ახალი ნიჭითა და უნარით გვიჩ-
ვენებენ სცენაზე იმ გულწინატივით, იმ სიხარულსა და პა-
თოსს, რომლის მატარებელიც ისინი არიან.

ამ მხრით, ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი
არის ერთადერთი მიუღ საბჭოთა საქართველოში და მას
მოვლა უნდა, სათუთი დახმარება და სიყვარული! მათ ეს
უკვე დამისახარეს თავისი ნაყოფიერი მუშაობით („ჩვენი
TOUT LE LONG DU TRAJET, LES PKHOVIENS VENNENT À SA RENCONTRE AVEC LE PAIN ET LE SEL ET LEURS KHEVISBERIS SE PRÉSENTAIENT UNE CORDE DE REPENTANCE AU COU EN DEMANDANT GRÂCE.



LE SPASSALAR, TOUJOURS EN FUREUR, DONNA L'ORDRE DE LES PENDRE AVEC LES CORDES QUI PORTAIENT EN SIGNE DE SOUMISSION.

LA SEMAINE PROCHAÎNE:
KolonKolidzé sera t'il épargné?



C'EST EN FAISANT, ZVIAD RAMASSAIT ET LE BUTIN, ARMES ET ARMURES, ET LES OTAGES QU'IL LIVRAIENT LES KHEVISBERIS. MAINTENANT LES TROUPES DE ZVIAD MARCHAIENT SUR LE CHÂTEAU DE KVETARI.

Les Chevaliers de L'ANMIL

adaptation et dessins de JEAN DORVILLE



ZVIAD, APRES UN DUR COMBAT, S'EMPARA DE LA FORTERESSE D'OTCHANI. IL FIT DE CAPITULER LE COMMANDANT, PUIS MARCHA SUR LE CHATEAU DE KVETARI.

CONSTANTIN ARZAKIDZE AVERTIT KOLONKELIDZE DE L'ENTREE DES TROUPES ROYALES DANS PKHOVI. TROIS JOURS AVANT, MIAMATZE ET TOKHAI DZÉ LUI AVAIENT DIT QUE LE ROI ET ZVIAD MARCHERAIENT CONTRE LUJ. MAINTENANT QUE ZVIAD AVAIT DEVAIÉ, KOLONKELIDZE MIAMATZE REFUSAIT DAIDER LES REVOLTES, PAR CRAINTE



LA CHUTE DE LA FORTRESSE D'OTCHANI-LA DEFAITE DES DIDOÏENS, L'APPARITION DE L'AVANT GARDE DE KAKHAI QUI BARRAIT L'ACCÈS DES MONTAGNES, ET ENFIN LE FAIT QUE LES EPES DE LENNEH FENDAIENT LE FER ET L'OS-REMPUT KOLONKELIDZE DE TERREUR.




CE DERNIER SE PRÉPARAIT DÉJÀ A ENVOYER DES OTAGES A ZVIAD. MAIS A CE MOMENT LES MESSAGERS D'OULIUSTIKHE ARRIVÈRENT POUR LUI ANNONCER, QUE LE ROI, SA SUITE ET UNE FORTE ARMÉE SE DIRIGEAIENT VERS KVETARI.



GEORGES EMPRUNTA UN ITINÉRAIRE TOUT AUTRE QUE CELUI DE ZVIAD IL PASSA LA NUIT DANS LA FORTERESSE DE LARGUICI ET, AU MATIN, S'APPROCHA DU CHATEAU DE KORSATEVELA. MIAMATZE ET TOKHAI DZÉ SORTIRENT A SA RENCONTRE ENTOURÉS D'UNE GRANDE SUITE.



MIAMATZE, TRÈS PATERNEL, ÉTREIGNIT GEORGES ET BAISA, SELON L'USAGE, SON ÉPAULE DROITE. BORBOKHAN PRIA LE ROI DE PASSER LA NUIT AU CHATEAU LE ROI DÉCLINA AIMABLEMENT L'INVITATION ET PROMIT DE S'ARRÊTER CHEZ EUX EN RENTRANT DE PKHOVI.



APRES LE DÉJEUNER GEORGES SE REMIT EN ROUTE, AVEC SON ARMÉE. LA POPULATION, ÉPouvANTÉE, SE REFUGIAIT DANS LES MONTAGNES INACCESSIBLES. DANS LES VILLAGES DESERTÉS, IL NE RESTAIT QUE DES VIEILLARDS-DES MALADES ET DES CHIENS.



A L'ENTRÉE DE LA VALLÉE GISAIENT LES CADAVRES DES ESPIONS DU ROI. LES AIGLES SE DISPUTAIENT AUTOUR DE LEURS CORPS, A MOITIÉ DÉVORÉS PAR LES CARNASSIERS.



LA SEMAINE PROCHAINE. KolonKélidze se choisit sauve

LE MESSAGER DE ZVIAD RATTRAPA LE ROI PRÈS DE GOÏM ZVARE. LE SPASSA LAR LUI, FAISAIT SAVOIR QUE KOLONKELIDZE AVAIT LIVRÉ DES OTAGES, QUE LES DIDOÏENS RÉBELLÉS ÉTAIENT, REJETÉS AU DELA DES MONTAGNES DE PKHOVI-QUE LES HÔMMES DE KAKHAI, ASSIEGEAIENT TDGRVAÏ ET QUE LUI MÊME ÉTAIT A TSKHRAKARI ATTENDANT LES ORDRES DU ROI



DANS LES COULOIRS LES PORTEURS DE TORCHES COURRAIENT. TOUT LE MONDE VOULAIT S'EMPARER DES FLAMBEAUX POUR VOIR EN NEMBI. LE COMBAT DURA JUSQU'À L'AUBE.



MARS LUISAIT ENCORE DANS LE CIEL. LES PORTEURS DE TORCHES ÉTAIENT MORTS. LE COMBAT PRIT FIN. À L'AUBE ON SONNA LE TOCSIN AU CHATEAU DE KVETARI. LES TROMPETTES, DES ASSIÉGEANTS RETENTIRENT.



VERS MIDI LES HOMMES DE ZVIAD ET UN MILIER DE GUERRIERS COMMANDES PAR LE ROI OCCUPÈRENT LES QUATRE TOURS. LE COMMANDANT DE LA FORTERESSE FUT PRÉCIPITÉ DU HAUT D'UNE TOUR.



DANS LA COUR ON PLANTA QUATRE ÉPIEUX ET ON ALLUMA UN BÛCHER. TROIS GUERRIERS SORTIRENT DU CACHOT. L'ERISTAV BEJA MALMÈNE ET L'ATTACHERENT AUX ÉPIEUX.



POIS LE BOURRE AU BORGNE DE TBILISSI FIT SON APPARITION. LA BARBE ÉBOURIFFÉE. LE VISAGE COUVERT D'ÉTAFILADES. SAGUIRA SORTIT DE SA POCHE DEUX DISQUES DE FER À PEINE PLUS GRAND QUE L'ŒIL HUMAIN.



IL LES FIXA SUR DEUX TIGES. LES MIT SUR LE FEU ET ATTENDIT TRANQUILLEMENT QU'ILS ROUGISSENT. PUIS IL LES PRIT AVEC DES PINCES ET, TRÈS CALME, LES APPLIQUA SUR LES DEUX YEUX DE KOLONKELIDZE.



L'ERISTAV DE KVETARI FIT PUEVE D'UN COURAGE ÉTONNANT EN GUISE D'ÉPLAINTÉ. IL NE TOUSSA QU'UNE FOIS. QUAND LES GRIBTES FURENT SÈCHES SAGUIRA RETRA LES DISQUES ET LES LAISSA REFROIDIR. PUIS IL LES REMIT AVEC SOIN DANS SA POCHE.



LE VISAGE HORRIBLEMENT ENFLÉ DE KOLONKELIDZE ÉTAIT DEVENU MÉCONNAISSABLE. L'ERISTAV AUX YEUX DOUCEREUX N'EXISTAIT PLUS.



LA SEMAINE PROCHAINE:
Tokhaïdre voit ses plans déjoués
 LES QUATRE TOURS FURENT DÉTRUITES SUR L'ORDRE DE ZVIAD. LE ROI N'EAUÇA QU'UNE SEULE PRIÈRE DE GOURANDOUKHT. IL NE TOUCHA PAS À LA GRANDE CITADELLE POUR QUE KOLONKELIDZE AVEUGLE ET 99 FEMME PUSSENT Y TERMINER LEURS JOURS.

ს ი ტ ყ ვ ა ფ ი ლ მ ი ს შ ე მ ე ლ ე ბ

თენგიზ აბულაძე

„სხვისი შვილები“ ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნა-
მუშევარია. სურათზე მუშაობის პროცესში ჩემში მომჭიფ-
და ზოგიერთი აზრი, რომელიც მსურს გაავსოიარო ჩვენი
ყურნაღის მკითხველებს.

რატომ გადავიღეთ სწორედ „სხვისი შვილები“ და არა
ვთქვით სხვა რაიმე?!

ამ თემის არჩევანი რამდენიმე მომენტმა განაპირობა.
როცა რეკავ ჩხეიძემ და მე ჩვენი პირველი სურათი —
„მაგდანას ლურჯა“ ვურჩევნეთ საბჭოთა კინოს გამომჩენილ
ოსტატებს ა. დოვეჟენკოს, ი. პირიეცს, მ. რომს, ს. იუტკე-
ვიჩს, ს. ვასილევს, ლ. ლუკოვს, მათ მაღალი შეფასება
მისცეს საერთოდ ფილმს და განსაკუთრებით აღნიშნეს
მისი პოეტური ბუნება.

ერთის მხრივ სურათი ყოფით პლანშია გაკეთებული,
მგარამ იგი ამავე დროს პოემაა. ფილმში ურთიერთს ბუნებ-
რივად ერწყმის ყოფითი წყობა და პოეტური ქვერადო-
ბა, — ვეითხრა აღექსანდრე დოვეჟენკომ.

ამ ჟანრულ თავისებურებათა გამო (თუ არ ვილაპარა-
კებთ ფილმის სხვა მხარეებზე) „მაგდანას ლურჯაში“ თავი-
ნი გარკვეული ადგილი დაიჭირა ბოლო წლების საბჭოთა
ფილმებს შორის.

როცა ფილმზე ვმუშაობდით, რ. ჩხეიძემ და მე წინას-
წარ არ ვგეონდა გადაწყვეტილი რა ჟანრში გადავიღებ-
დით მას. ეს ჟანრი როგორღაც უნებურად, ძალდატანებ-
ლად ჩამოყალიბდა — მასალისადმი ჩვენი მიდგომის შე-
დეგად.

მაგრამ რაკი სურათის სწორედ ეს მხარე იქნა აღნიშ-
ნული მაყურებლის მიერ, მომავალ ფილმზე ფიქრისას,
მსურდა ისეთი თემა მეხოვნა, რომელიც შესაძლებლობას
მომცემდა, რომ იმავე პლანში გადაემყვყვიტა იგი, როგორც
პირველი სურათი. ამით ერთგვარად ვაგრძელებდებოდა და
დამკვიდრებოდა ის კარგი, რაც „მაგდანას ლურჯაში“
ქვეცნობიერად უკვე იყო მიგნებული.

თემას მე ვეძებდი დიდხანს, და ბოლოს, როგორც იქნა
ეპოლე იგი. 1955 წლის 8 იანვრის „კომსომოლსკია პრავ-
დაში“ დაიბეჭდა ნ. ალექსანდროვას საინტერესო ნარკვე-
ვი — „სხვისი შვილები“, სადაც მოიხრობილი იყო ახალ-
გაზრდა საბჭოთა გოგონას შურას თავგადასავალი — თუ
როგორ შეხვდა იგი ორ ბავშვს და როგორ გახდა იგი მათი
დედა. ავტორი სადად, ლაკონურად და ამავე დროს შთამ-
ბეჭდავად გვიამბობდა წმინდა, ამაღლებულ სიყვარულზე,
აღმაიანის კეთილშობილებასა და მის სულიერ სილამაზე-
ზე, მოვალეობის გრძნობასა და გამოზობაზე. ამ ნარკვევიში
ცხოვრებისეული სიმართლე რომანტიკულ ამაღლებულო-
ბას ერწყმოდა. ეს სწორედ ის იყო, რასაც ამდენხანს ვე-
ძებდი!

ნარკვევი იძლეოდა კარგ მასალას მართალი, ღრმად
ეპოეორი და პოეტური ფილმის შესაქმნელად.

კინოში კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭება ფაქტუ-
რას. რას ვგულისხმობთ ჩვენ აქ?

ფაქტურა კინოში — თუ შესაძლოა ასეთ შედარებას
მივმართოთ — ეს ის ინსტრუმენტია ორკესტრში, რომე-
ლიც სოლოსაც უკრავს და ამავე დროს არ არღვევს მთლია-
ნი ორკესტრის ქვერადობას, წონასწორობასა და ჰარმო-
ნიას. ფილმის წარმატებას საგრძნობლად განაპირობებს
ნათელი ნიჭის მსახიობის ფაქტურა, ან საინტერესო როლი,
ან ფილმის თავისებური სახეითი მხარე, ან მახვილი ღია-
ლოგი, ნიჭიერი ბავშვები და სხვა მრავალი. ეს ერთობ,
მნიშვნელოვანი მომენტია!

ამ თემის არჩევანი მეორე მომენტმაც განსაზღვრა.
პირდაპირ დანაშაული იქნებოდა არ გამოგვეყენებინა იშ-
ვითი ნიჭის და მონაცემების ბავშვები, რომლებმაც ასე
ისახელეს თავი „მაგდანას ლურჯაში“. ნარკვევი „სხვისი
შვილები“ ფართო გასაქანს იძლეოდა ამ პატარა მსახიო-
ბების შემოქმედების სრული ჩვენებისათვის.

და მესამე..

„მაგდანას ლურჯას“ თემა იყო — დედის თემა.
ფილმ „სხვისი შვილების“ თემაც დედის თემაა, დე-
ლობა — ღრმა და განუოკადებული აზრით.

ამგვარად სურათი „სხვისი შვილები“ შვა ფილმმა
„მაგდანას ლურჯაში“.

თემა და მისი გადაწყვეტა

ჩვენს წინ დევს ნარკვევი, რომლის მოტივებზედაც
სცენარი უნდა დავეყრით. სანამ მის წერას შევუდგებო-
დით გაგახსენდა კ. ს. სტანისლავსკის ბრანული სი-
ტყეობი:

„ღამისასოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ — სექტაკლის
საფუძველი პიესას... ნურასდროს დავივიწყებთ, რომ თვატ-
რი ცოცხლობს არა ცეცხლთა აუღვარებით, რაწყინვლე
კოსტუმებითა და დეკორაციებით, ეფექტური მიზანსცენე-
ბით, არამედ დრამატურგის იდეებით. პიესის იდეის ნაყ-
ლოვანების დაფარვა არაფრით არ შეიძლება“.

მომავალ ფილმზე ფიქრის დროს პირველ რიგში აუცი-
ლებელი იყო ნათლად და კონკრეტულად განგვესაზღვრა
სცენარის იდეურ-მხატვრული არსი.

უპირველესად ეს ვიკითხოთ — რას ხვება ნაწარმოები.
იგი მოვეთხრობს საბჭოთა, ჩვენი თანამედროვე გოგონას,
მორალურ სახეზე, აღამიანზე, რომელსაც ნათელი გონება
და დიდი, მგრძობიარე გული აქვს, იმ დიად ჰუმანიზმზე,
რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ურღვევი
კანონია... ღიაზე, ეს ასე! მაგრამ ამგვარად გამოვთქვა
სცენარის არსი — ნიშნავს არაფერი ესთქვათ მასზე, ეს ნიშ-
ნავს საკანი ძალზე საერთოდ განესაზღვრეთ, რომელიც
მას არაფრით განასხვავებს მეორისაგან, ვინაიდან ყველა
სცენარის საბჭოთა თემაზე — ყველა გამოყოფილი — საბ-
ჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ სახეს ეძღვნება.

და რადან საერთოდ ადამიანი და მისი ქვეყანი



განსაზღვრავენ ნაწარმოების ჩანაფიქრსა და სიუჟეტს ჩვენ დიხანს ვსწავლობდით მომავალი ფილმის გმირის — ნატოს სახეს. ბოლოს მივიღეთ ასეთ დასკვნამდე: დიდ საზოგადოებრივ და ადამიანურ სიმალღებუ აყვანილი ეს სახე ატარებს აგრეთვე ზოგად საკაცობრიო მარცვალს, იმ მარცვალს, რომელიც ყოველი დროისა და ყველა ერის შილს უნდა ალოდებდეს. გმირის ხასიათის ეს მარცვლი არის — რწმენა — ადამიანის, მშვენიერის, სიეთისა და მომავლის რწმენა. აი ეს თემა უნდა გამოვეკვეთა, გვექცია იგი სურათისა და სახის ლეიტმოტივად.

ვისაც ეს ფილმი უნახავს, არ შეეძლო არ შეეშინა, რომ მეოლი სურათის მანძილზე ნატო როგორღაც გაოცებულია („ნუთუ ადამიანის მოტყუება შეიძლება, ნუთუ შესაძლებელია ცუდი საქმის ჩადენა“). ეს ვერ წარმოუდგენია მას). ნატოს სახე ეს არის ადამიანური სიშინელის, უმანკოების, ოცენის, რწმენისა და ძლიერი ნების გამოხატულება. როცა ნატომ დაკარგა ეს რწმენა — აფექტაციის მომენტში — მან დასტოვა სახლი. მაგრამ როგორც კი გონს მოიგო და მას კვლავ დაუბრუნდა რწმენა და იგი ვადმიბრუნდა აქრული მატარებლიდან, დაუბრუნდა ბავშვებს. ამ ეპიზოდში რწმენის თემა უმალეს წერტილს აღწევს. აქვე ვგუსრის შევნიშნეთ რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ზოგიერთი ამხანაგის საყვედური, რომლებიც, რაკი დათა არ ბრუნდება სახლში, ბრალს ვვდებენ ფილმის ე. წ. „ბესიონისტურ“ დასარულში. საქმე დათაში რომია. მას ხომ შეეძლო ნახევარი საათით წასულიყო და მერე დაბრუნებულიყო. აქ საქმე ნატოს შეხება და ეს ფილმიც სწორედ მას ეძღვნება.

ინდებდა კითხვა: როცა აქტენტს გაკეთებდით ნატოს სახის ძირითად ნიშანზე (რწმენა) ხომ არ დავიფიქვით ის, რაც მთავარია საბჭოთა მხატვრისათვის, სახელდობრ ვუნენეთ თუ არა ჩვენ საზოგადოებრივი ადამიანი და არა „ადამიანი საერთოდ“?

რას ნიშნავს „საზოგადოებრივი ადამიანი“ და როგორ უნდა გამოვსახოთ იგი? ნუთუ ამისათვის აუცილებელია ვუჩვენოთ იგი მხოლოდ წარმოებაში? ნუთუ გარდუვალია, რომ მან ცივილის ნესტებშიც და წარბების პათეტიური თრთოლვით ეკრანიდან წავეციოთოს ლექციები მორალურ, პოლიტიკურ თუ აღმზრდელით თემებზე?

ჩემის ფიქრით „საზოგადოებრივი ადამიანს“ ასეთად აქცევს მისი გრძნობებისა და აზრების შინაარსი და მიმართულება.

ნატომ მოქალაქეობრივი გმირობა ჩაიღინა. მას სხვაგვარად არ შეეძლო მოქცეულიყო. ვინაიდან იგი აღზრდილია საბჭოთა სკოლის, საბჭოთა ინსტიტუტის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მიერ. ის, რასაც ნატო სჩადის, არც მხოლოდ გმირობაა, არამედ მისი მოვალეობაც. როცა იგი ამ გმირობას სჩადის, როგორც ჩვეულებრივ საქმეს — განა ამაში არ არის მისი ქცევის საზოგადოებრივი ხასიათი? ნატოს მსგავსი ადამიანი ჩვენში მრავალია. სწორედ ესენი იყვნენ დიდი სამამულო ომის გმირები. ის — მათ აღდგინეს დანგრეული ქალაქები და აითვისეს ყაზბი მიწები, ისინი იბრძვიან ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მანხივ, რომელ და ბიუროკრატიული გამოვლინების წინააღმდეგ. ნატოს მაგვარი აქტიურად ერევან ჩვენი ყოფის ყველა სფეროში, რადგან სურთ რომ ყოველი ადამიანი

მისინ ცხოვრება იყოს საინტერესო, შინაარსიანი, მნიშვნელოვანი.

ისინი ქვეყნის ბატონ-ბატონად გრძნობენ თავს. ისევე, როგორც მეგრძილი ხელჩართულ ბრძოლაში, შურა მამაცურად იყო შემართული იმ მცირე პლაცდარმზე, სადაც კი საჭირო იყო მისი ძალა და შეუღრეკელობა“ ასე წერდა ნ. ალექსანდროვა თავის ნარკვევში. ამგვარი მოქმედება უბრალო საბჭოთა ქალიშვილისა, რომელიც საერთაო ინტერესი „სხვის შვილებს“ შესწირა და ამასთან ერთად გამოავლინა ჭეშმარიტი ადამიანურობა, ყველაზე მაღალი დაფასებისა და პატივისცემის ღირსია.

მთელის ხმით უნდა ვუძღვროთ ასეთ ადამიანებსა და ასეთ გმირებს!

და ჩვენ მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად სრულად გვეჩვენებინა ჩვენი თანამედროვე ადამიანის რომანტიკული სახე.

რამია ნატოს სახეს თანამედროვეობა? ან რამია ფილმის თანამედროვეობა?

შესაძლოა თუ არა თანამედროვეობა გადმოცემულ იქნას მხოლოდ დროის გარეგნული ნიშნებით? განა მხოლოდ თემა და მასალა განაპირობებენ ნაწარმოების თანამედროვე კლერადობას?

ცხადია, არა! შემთხვევითი ხომ არ იყო რომ ოცდაათიან წლებში ჭეშმარიტად თანამედროვე ნაწარმოებები იყვნენ „ჩააპევი“ და „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელთა თემატიკა და მასალა ეხებოდა სამოქალაქო ომს და აღდგენით პერიოდს. რამ მინიჭა ამ ნაწარმოებებს თანამედროვე კლერადობა? — პროფესიონალიზმს, ნაწარმოებთა ადამიანურმა შინაარსმა. ხელოვნების ძირითადი და ერთადერთი დანიშნულება ხომ „ადამიანის სულის ინიჩრობა“ და ჭეშმარიტად თანამედროვედ მხოლოდ ის ნაწარმოები გამოთვლება, რომელიც დღეს ყველაზე უკეთ ასრულებს ამ ამოცანას.

ამაში ამ ფილმისა და ნატოს სახის თანამედროვეობა.

განა ნატოს მოქალაქეობრივ გმირობაში არ აისახა, ვარდა მისი სულიერი ცხოვრების წყობისა, ის ადამიანური თვისებებისა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ აღზრდის, წრის შევსებითა და ჩვენი სოციალური წყობის შევლად? რასაკვირველია, შეიძლება იმეგარი ფილმის შემქნელს, სადაც ნატოს ეს მომალური თვისებები გამოჟღერდებოდნენ შრომასა და ბრძოლაში, მაგრამ ეს სხვა ფილმის თემაა. ჩვენ ვგუსრდა გვეჩვენებინა თუ ადამიანის შინაგანი ბუნება როგორ ვლინდება, ასე ვთქვათ ყოფით, ბავშვებთან დამოკიდებულების სფეროში.

მომავალი ფილმის დრამატურგიის პოვნა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ნარკვევში არც ომის სურათებია ასახული, არც სტეტიური უზედურებანი, არ არის სათავგადასავლო ისტორიები და არც მუდმივი კონფლიქტ გზას აცდენილია, რომელიც ფილმის დასასრულს ცოდვეს ინანიებს. კონფლიქტების და შუხლა-შუხოხის „დიდი კატეგორიები“, რომლებიც ასეთ ფილმებში მოქმედებენ, ჩვენთან შეცვლილია ერთის შეხედვით პატარა, თითქმის უნიჭიანყოლო, მაგრამ არსებითად ღრმა, მწვეავი და რაც მთავარია, ჭეშმარიტად ცხოვრებისეული კონფლიქტი.

სურათში მოქმედებს მხოლოდ სამი მოზრდილი ადამიანი და ორი ბავშვი, ამასთან ყველა გმირი კარგი ადამიანია



და ცხოვრობენ მშვიდობიან დროს. თითქმის არაინაა დამ-
ნაშავე, დრამა კი მინჯ ხდება. გვირგვინ შორის გარკვეული
კონფლიქტი არ არის. თუ ზოროტების განსახიერება რ-
ობა და არც ნატო ანგლოზი, მაგრამ მათ შორის არსე-
ბობს კონფლიქტი. ეს კონფლიქტი დაფარულია ადამიანის
სულიერი ცხოვრების სიღრმეებში, იგი შინაგანი კონფლიქ-
ტია.

ჩვენ ამოცანა მისი მდგომარეობადა, რომ გავეცნა
ყოველი გმირის შინაგანი სამყარო, მისი აზრები და გრძო-
ბანი. ეს ამოცანა მეტად რთულია.

ნაწარმოების დრამატურული წყობის სირთულე იმ
გარემოებით კიდევ უფრო ღრმავდება, რომ ფილმი იმ-
პოატივე პოეტურ პლანში იყო ჩაფიქრებულ და მის სახე-
თა განსაკუთრებულ პოეტკიას მოითხოვდა.

ამის გამო დათას, ნატოს და თვის სახეზე ფილმში იქმ-
ნებოდა — და საესებით შეგნებულად — არა ეპიური ტან-
რის კანონების მიხედვით (რასაც გარდუვალად თან ახ-
ლავს მხატვრული სახისა და ფონის დეტალიზაცია) არა-
მედ ისე, როგორც ეს შემფერის პოეტური ქანრის ნაწარ-
მოებს — განზოგადებულ ელემენტების გამოყენებით, რაც
რომანტიულ პოემას ახასიათებს.

ფილმის სახეობრივი წყობა, რიტმი, გამომსახველობითი
საშუალებანი, მუსიკა, მონტაჟის ხასიათი, ეპიზოდების აკე-
ბის პრინციპი, მოქმედების ფონი — მთლიანად უნდა და-
მორჩილებოდა ამ სტილისტურ და ქანრობრივ თავისებუ-
რებებს.

ასეთი ამოცანები იღვა ჩვენს წინაშე, რომელთა მარ-
თებულად გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული მომავალი
ფილმის ბედ-იღბალი.

და აი, დასრულდა მუშაობა სურათზე, ფილმი გადაღე-
ბულია.

გავართვით თუ არა თავი ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამო-
ცანებს? თუმც ჩვენ ძირითადად ამ სურათით კმაყოფილი
ვართ, ფილმის შემოქმედებითი კოლექტივი მას განიხი-
ლავს როგორც ესკიზს, გენერალურ რეპეტიციას იდელი
ბრძოლის წინ, რომლის მოგებაც ჩვენ მომდევნო ფილმში
გვსურს.

„სხვისი შვილები“ კარგი სკოლა იყო — ჩვენ ვეძებდით.
ესინჯავდით, ვეწოდით ექსპერიმენტულ მუშაობას. ზოგი
რამ, როგორც ჩანს — წარმატებით დავერგვიდა, ზოგი
არ გამოვიდა, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ ერთის წამითაც არ
დაგვეწყინა უმთავრესი — ნაწარმოების იდეურ-მხატვრუ-
ლი ჩანაფიქრი და ვცდილობდით ყველაფერი, თვით უმცო-
რესი დეტალიზაცია კი მისთვის დავემორჩილებინა.

ჩვენ აქ არ შეუღლებით იმის დაწერილობით ანალიზს.
თუ რა გამოვივიდა და რა არა. ჩვენი საქმე არ არის ამ
ფილმის ხარისხის მსჯავრების გამოტანა — ამას გააკეთებენ
მყურებლები, კრიტიკოსები.

ჩვენ მხოლოდ გვსურს იმ ზოგიერთი აზრის გაზიარება
რაც მუშაობის პროცესში წარმოიშვა.

ფილმის პლასტიურობის შესახებ

ჩვენ სურათში ცოტას ლაპარაკობენ. ფილმის 2 100
მეტრიდან 1000 მეტრი მუხუცია, შემოხვევითია, თუ არა ეს?
რასაკვირველია, არა! საქმე ისაა, რომ ბოლო დროს სურა-

თბში ძალზე ბევრს ლაპარაკობენ. ხანდახან ცერანებზე
გამოდის პირდაპირი მოლაპარაკებები სურათზე. როცა ამგვარ
ფილმს უყურებ, გარდა იმისა, რომ იგი მეტად მძიმე აკა-
თისებელია — უზრალოდ გუყვინ ასე რომ ეცეცვიან სიტყ-
ვას, სიტყვა ხომ კინოსთვის უდიდესი მონაპოვია და მას
კი ზოგჯერ პირდაპირ ბარბანდულად ეცეცვიან. მსგავს
შემხვევებში სიტყვასაც და გამოსახულებასაც ეკარგება
თავისი ფუნქცია. გამოდის რაღაც დომბოლი.

უნდა ვავსოვდეს, რომ კინო იყო მუხუცე და სიტყვას
მის გასამდინებლად, გასარმავებლად მოუხმეს და არა
იმისათვის, რომ სიტყვას შეეცვალა გამომსახველობითი სა-
შუალებანი. „ნახათ — ეს გამომსახველობის ყველა სახის
სათავე და სულიაო“ — წყარად მიქვლანჯული. მუხუცე გა-
მომსახველობა კინოხელოვნების ყველა სახის სათავე და
სულია.

„რა მშენიერიც არ უნდა გახდეს ადამიანის მეტყვე-
ლება, კაცობრიობა ყოველთვის მოიწოდინებს თავისი ემო-
ციების მუხუცე გამოსახვას, — წერს ჩარლი ჩაპლინი, — და
სწორედ ამგვარი მიმერი გამოსახვის აუცილებლობას მარ-
ღად იგრძნობს იგი, ვინაიან, სამოლოოდ ჩვენი შმახვე-
ლებების 87 პროცენტი თვალთ აღქმის შედეგია და მხო-
ლოდ 9 პროცენტი სმენისა“.

მუხუცა კინომ, რომელსაც ერთხომ მაღალი გამომსახვე-
ლობითი კულტურა ჰქონდა („ჯავახოვსიანი „პოტიომკინი“.
„ღელა“, „ქანა დარკის ნენაზანი“ და სხვ.) გასაკრად ფა-
ქიზი და მავსინალორად გამომსახველი ანტიორული მოვს-
რულების განუყოფრებელი, კლასიკური ნიმუშები შეცუ-
და.

1935 წ. კინოს შემოქმედებითი მუშაკების საკავშირო
თაბიორზე ს. იუტკევიჩმა თავის გამოსკვლამ მოიყვანა
ბრწყინვალე მაგალითი გრიფიტსის ფილმიდან „ცხოვრების
ჩანჩქერი“, „როცა გრიფიტსის წინაშე წამოიჭრა რთული
ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემა — ერვენებინა თუ
როგორ ვადიქცევა ვოგონა ქალად, როცა მას სტოვებს სა-
ყვარელი, გაისინეთ როგორ დასვა რეცისორის ლილიან გი-
ში პროვინციულ სასტუმროში. ზის ეს ქალი და არწევს
თავის ახლადშობილ ბავშვს. მხოლოდ პოზაში, გაშლილ
მუხლებში, რომლებიც მას მანამდე ყოველთვის მკიდროდ
ჰქონდა მოციკლი, ახლა კი, როგორც ეს დიდებს სრვევით
უსირცხვილოდ გაუშლია, მხოლოდ ამ ახალგაზრდულ დე-
ლურ თავდავიწყებისა და მარტობის განწერულ პოზაში
სჩანდა ის ლილი სიმარტოდ რისი გამოხატულება მხატვარს
სურდა. აქ მხატვრმა გათავისუფლისწინ... რომ მსახიობის
სხეული შემოქმედების მნიშვნელოვანი ძალაა“.

„...როცა მე ვიგრძობ მხატვრული სიტყვის კულტურის
განვიტარების აზრის ფილმში — წყარად საბჭოთა კინოს გა-
მოჩენილი ოსტატი, სიტყვის თავგამოდებული აპოლოგეტი
მხატვრულ კინემატოგრაფიაში ა. პ. დოვენკო — მსურს
ერთხელ კიდევ მოვგაგონოთ, რომ არსებობს უსიტყვეო მოქ-
მელებათა გამოსახვის უმცლავრესი არსებობა, რომელიც
თავისებურების მხრივ ერთადერთია ჩვენს ხელოვნებაში.
სამწუხაროდ, ეს გამომსახველობითი საშუალებანი, თითქ-
მის დაეიწყებოდა, ხშირად უკვლავებულყოფიანი და ზოჯ-
ჯერ ხმარებდებოდაცა გამოსული. — სად დაიკარგა დე-
მილი? რატომაა, რომ უფრო ნაკლებ და იწვითად სჩანს
ეკრანზე „მექსიკელი ქალიშვილი“ (მე მხედველობაში
მაქვს ფილმი „მექსიკელი ქალიშვილი“), რომელიც ფართო



და მრეჭვარე მიღწერაში ჩუმად მოხარბავენ თავისი უბედური მეგობრის შესახვედრად, უსიტყვოდ იღებს სარეცხს და ასვე უსიტყვოდ მიღის შთაბეჭდილებით შეძრული მაყურებლის თვალწინ. რატომ გაგრძელდა ასე დიდხანს ჩვენი სიზარული იმის გამო, რომ ავლაპარაკდით კანონს და რატომბა, რომ ამოგველიდან უკანასკნელ კადრებამდე ენას არ ვაჩერებთ?..

არავითარ სიტყვას არ შეუძლოვს გადმოეცა დათასა და თვის ქუმწარით ურთიერთობა, მათი ფარული, შინაგანი დილოგა (ეკრანი „ტრამეზა — ავტობუსი“), ისე როგორც ამას გაგარძნობინებს მათი გამოხედვა, დუმილი, ქუცბედი, პოზა...

ჩვენი ფიქრით სურათში ყველაფერი უსიტყვოდ უნდა იყოს გასაგები. სიტყვას იმ შემთხვევაში უნდა მივმართოთ, როცა სხვაგვარად აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

მამინ სიტყვა შესარულებს თავის როლს, გადაიქცევა მძლავრ მხატვრულ საშუალებად.

ფილმის პლასტიურობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხთან. სახელდობრ:

კ. ს. სტანისლავსკი ამტკიცებდა, რომ არაფრად არ ელერება მსახიობის შემდეგობი მუშაობა და, რაც მთავარია, არ იქნება სიმართლე მის თამაშში, ვიდრე იგი არ შესძლებს პატიმობრად ითამაშოს თავისი როლის ყოველი ნაკვეთი, ისე, რომ არც ერთი სიტყვა არ წარმოსთქვას.

გზა ვანცლასკე — ეს მოქმედების გზა! — ვვასწავლის სტანისლავსკე. მსახიობი სიმართლეს უნდა ეძებდეს უპირველესად ფიზიკურ მოქმედებათა ხაზის შემოვლით. სწორი ფიზიკური მოქმედების შედეგად თავისთავად იზადება ვანცლასკე. თვით უზარალო ფიზიკური მოქმედება ხომ დაწყურედად არის დაკავშირებული რთულ ფსიქოფიზიკურ მოქმედებასთან.

— გათვრთ რეპეტიცია თქვენი სიტყვებით — ეუბნებოდათ მსახიობებს, რომელნიც ნაკვეთის გარკვეულ აქტივობად ამოცანას ასრულებდნენ — მთავარია აზრი მიიტანათ მაყურებლამდე. სიტყვა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, მნიშვნელოვანია — აზრი!

ზიზრად ამავარი რეპეტიციების შემდეგ ჩვენ ვეპოულობდით ამა თუ იმ აზრის გამოხატვად პლასტიკურ საშუალებებს და უფასო ვამბობდით სიტყვასზე.

ჩვენ, სიტყვის წინააღმდეგნი როლი ვართ. პირიქით. მაგრამ ჩვენ ვცინდა ხატავთ, ელვარე და ლაკონური სიტყვა. მთავარია მიეჩვიოთ აზრის მოკვეთილად და ხსარტად გამოთქმას. თვით მუნჯე კინოშიაც კი „წარწერათა სიმრავლე კარგი სურათის ნიშანი არ იყო“ აღნიშნავდა ა. დოვჟეკო.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ კინემატოგრაფია გრამოფონად იქცეს!

თხრობის ძირითად ენად პლასტიკის ქცევა ნიშნავს ფილმის სახეითი კულტურის ამაღლებას, იმას რომ უფრო უშუალოდ, უფრო, მეტყველად გადმოვცეთ გვირის სულიერი მდგომარეობის უფაქიზესი შექმნადობა — ე. ი. ავამალოთ აქტივობელი ოსტატობის კულტურა და სურათის ესთეტიკური შემოქმედების ძალა. ეს არც აღმოჩენაა და არც რაღაც ახალი რამ. მაგრამ, როგორც ამბობენ ხოლმე, ზოგჯერ ახალი — მისი პირველყოფი ძელია.

შეხების წერილები

ზოგიერთი ბრალად გვდებს რადიოური ნეორეალისტის მიზანსა. მე თავს ნებას მივიძებ ჩაღვნიმე სიტყვა, კეტევა ამ საკითხის ირგვლივ. თუ ნეორეალისტს მივიჩნევთ როგორც სიმართლის სიმონის, ცხოვრების მართალ ასახვად კინოხელოვნებაში — მაშინ მე ნეორეალისტი ვარ. აქ მე მინდა დავეყრდნო ვაზ. „კომოსმოლსკია პრავდაში“ გამოთქმულ ზოგ სწორი მოსაზრებას.

— თქვენ ბაძვი იტალიურ ნეორეალისტს — ეუბნებიან კრიტიკოსები ისეთ რეჟისორებს როგორც აბულადე და ხუციევი, სამართლიანია თუ არა მათი მისამართით გამოქმეული ეს საყვედური? თუ კი ფილმი მიმართავს ადამიანის ბუნებრივ გრძნობებს, თუ გმირთა საუბარში ფეთქს სიცოცხლე, უშუალობა, თუ იგი თავისუფალია მაღალდარდოვნებისა და დიდაქტივისაგან, თუ ფილმი ვვიზიდავს თავისი ადამიანური გულითადობით — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ავტორი ნეორეალისტის ტყვეობაში მოექცა. ასეთი კრიტიკოსები იტალიელებს ძალიან უხვად გასცემენ იმას, რაც ჩვენი ხელოვნების მიერ არის მოპოვებული და რაც საუბრდამოდ მას უნდა ეკუთვნოდეს. ესაა სწორედ ჩვენი მხატვრული სიმდიდრე — გოლდოლობა, ბუნებრიობა, სიმართლე.

აი რატომბა მოკლებული საფუძვლად ამგვარი საყვედურები? (კარვასე, „ნუ გავადლებთ ესტაბლიტს ხელიდან“ „კომოსმოლსკია პრავდა“, 1958 წ. 24 დეკემბერი).

სასაცილო და არასერიოზულია როცა იტალიური ნეორეალისტის გავლენაზე ვლაპარაკობთ იმის მიხედვით, რომ მთავარი როლის შემსრულებელი პროფესიონალი მსახიობი კი არაა, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტია, რომ ვაჩვენებთ პატარა გოგონას ძირგამოხრულ ჩუსტელს, ტყვისფერ ზეგის, ანდა ვადავლებსა მიმართავთ კონტრასტულ ვანაობას. და კიდევ ერთი: ვინაა დამწამვე იმამი, რომ ქართულები იტალიელებს ვვანან, ანდა პირიქით. თბილისის ტერასისმავარი ვანკლავა, მისი რელიეფი მოვგაკონებს იტალიურ ქალაქებს, ანდა, ისე პირიქით — იტალიური ქალაქები მოვგაკონებენ თბილისს. ჩვენ ქალაქში ვეუბნებოდ და ტემპერამენტიათი ნახლი ცხოვრობს, აქ უამარვი კიბეები და ეზოებია — ამიტომაც სურათში მოქმედება ოთახებში კი არ მიმდინარეობს, არამედ კიბეებზე, ეზოებსა და ქუჩაში.

ამაშია საზრეთის ქალაქების თავისებურებანი.

მაგრამ რუსული ანდლასია არ იყოს, „НЕТ ДУМА БЕЗ ОГНЯ“. დაიხ, ხელოვნებაში ყველა კარგი გამოცდილების შესწავლა და გამოყენება აუცილებელია.

მე კვლავ ს. უტკევიჩის ერთი გამოსვლა მსურს ვავისინო: „აქ კინოსერთი „ჩაავეის“ დრამატურგიული თავისებურებანი ირჩეოდა. თუ მას ყურადღებით ვავისინჯავთ, ჩვენ შევცდილა დავინახოთ ამერიკული კინოს ძალზე კარგი, ელასიკური ნიმუშების კონიერული გამოყენების ნიმუშები. ვასილევებმა სრულბითაც არ მიზაქეს ამერიკულს, მათი გამოცდილების საფუძველზე რეჟისორებმა მხოლოდ გამოიყენეს მასლის სწავლობის კანონები, რომელთა ცოდნა აუცილებელია. ვანა ფურმანოვის საყვედურების სცენა ჩაავეის მიმართ, ანდა; ჩაავეისა ადიუტანტის მიმართ მისი ჩაქმულობის გამო, არ მოგვაკონებს „მშაღლას“ სცენებს თავისი ცნობილი რეჟერნი — „დაეკეთი?“ ვანა მთელს სურათში, განსაკუთრე-



ბით მის ფინალურ სცენებში არ იგრძნობა გრიფიტისი ღრამატურების კეკიანური და კარგე გამოყენება? ეს სავესტები უცილობელია. მე მგონია, რომ რაკი ამას ვაკეთებთ მასზე ლაპარაკიც არ უნდა გვრცხვენოდეს. კი არ უნდა გვრცხვენოდეს, არამედ ვსწავლობდეთ".

მსოფლიო პროგრესული კინემატოგრაფიის ფრონტი ერთიანია. იტალიელები სწავლობდნენ ეიზენშტეინისაგან, ჰდოვკინისგან, დოვჟენკოსაგან, ჩვენ კი ვსწავლობთ საბჭოთა კინემატოგრაფიის კლასიკოსებისაგან და იტალიელებისაგანც. ცხადია, ნეორეალიზმი სოციალისტური რეალიზმი არაა, მაგრამ განა შეიძლება ეს უკანასკნელი მოწყვეტილთ მხატვრული განვითარების საერთო მსოფლიო პროცესებს? თუ ჩვენ, სავესტები მართებულად, ვლაპარაკობთ სოციალისტური რეალიზმის მიერ განვითარებულ წარსულის კლასიკური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე, მაშ რაღაა საოცარი იმაში, თუ არსებობენ შეხების წერტილები ჩვენს ხელოვნებასა და საზღვარგარეთის თანამედროვე პროგრესულ ხელოვნებას შორის? გასათვარი სწორედ ის იქნებოდა, ასეთი რამ რომ არ ყოფილიყო!

ზოგი რამ ფილმში მონაწილე ბავშვებზე

ბავშვებთან მუშაობამ (მე მხედველობაში მაქვს ფილმის გმირები ლია და გია) უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა ყველას. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მათთან მუშაობა გვეადვილებოდა (ამ ბავშვებმა ჩინებულად იცნარ არის აქტიური ამოცანა, ქვეტექსტი, იმპროვიზაცია — რუბტიციაზე და კამერის წინ, ერთის სიტყვით ნამდვილი პროფესიონალი მსახიობები არიან) არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ ისინი სიმართლის თავისებური კამერტონები იყვნენ; და მათთან ერთად ნატურაც. ეს ჩვენ პირველ სურათზე მუშაობისას ვიგრძენით უკვე. ფილმში, რომელშიც სხვადასხვა სკოლის, სტილის და მხატვრული მანერის მსახიობები მონაწილეობდნენ, ანსამბლურების მიღწევა სწორედ ბავშვებისა და ნატურაზე გადაღების წყალობით გახდა შესაძლებელი.

ბავშვების თამაში მთორღილ მსახიობებს საშუალებას არ აძლევდა მიემართათ ყალბი ინტონაციისათვის ან ცრუ

თეატრალური ექსტისათვის. როცა ისინი ბუნების წიაღში ბავშვებთან ერთად თამაშობდნენ, პირდაპირ შეუძლებელი იყო (გარდა იმისა, რომ მათ ამის რცხვენოდნენ) — რამიმე სიყალბის გაპარება. დეკორაცია ბუტაფორია, მულიაჟი, პარკი, ხელოვნური წვერ-უღვაში, ნავტალინის სუნით გაჭედნილი ისტორიული კოსტუმი მსახიობს აიძულებს დაშორდეს რეალობის, უშუალობის, ყოველდღიურობისა და ცხოვრებისეულ სფეროს და გადაეშვას შესრულების ყალბ, თეატრალურ მანერაში.

ნაცვლელ წინასწარ გამიზნული მ დეკორაციისა, ჩვენ გამოყენებთ მხოლოდ ორი და მთელი მოქმედება გართავებინათ. როგორც შემდგომ დაგრწმუნდით, ამან სარგებლობის მეტი არაფერი მოუტანა ფილმს.

ბავშვების ბუნების მომიზნებლობამ და თავისებურებამ ხომ საესებით გაამართლა! თუ „სხვის შვილებს“ მაყურებელში წარმატება ხვდა წილად. ამაში მცირე დეაწილი როდი მიუძღვით თუმცა ყველაზე პატარა, მაგრამ ჩემს ყველაზე საუკრედე მსახიობებს — ნანი ჩიქვინიძესა და მიხო ბორაშვილს.

ბევრი რამ უთქმელი დამრჩა და მრავალ საკითხზე კვლავ საჭიროა საუბარი. მაგრამ არ მსურს ვუღალავ ჩემს პრინციპს („ჩვენს სურათში ცოტათი ლაპარაკობენ“) და ამით ვასრულებ მკითხველთან საუბარს.

* * *

ფილმის გამოსვლის შემდეგ თითქმის ორმა წელმა განვილო. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ხელახლა გადავიფიქრე. ამიტომ არ იქნება მართებული ამ სტატიის მიზნევა ჩემს „კრედილ“ ხელოვნებაში.

„სხვის შვილები“ ახალგაზრდა ვადამლები კოლექტივის შემოქმედებაში უკვე განვლილი ეტაპია. ამ სტატიამ გამოთქმული აზრები, უმთავრესად, ამ ეტაპთან არის დაკავშირებული.

ცხადია, ავტორი გულისყურით შეისმენს ყველა კრიტიკულ შენიშვნას, რაოდენ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, ოღონდაც ეს შენიშვნები მოდიოდეს საქმეში ჩახედული ადამიანისაგან და უპასუხებდეს ჩვენი მშობლიური კინოხელოვნების განვითარების ინტერესებს.

კინოღრამატურის შემოქმედებითი საღამო

ნუნუ ქორაკიძე

1986 წლის 16 იანვარს გახტო „კინოში“ ნ. ლებედვი წერდა: „სახელმწიფო კინემატოგრაფიის უმაღლესი ინსტიტუტი წარმოებაში საშუალო უშვებს მს ახალგაზრდა შემოქმედ მუშაკს, რომლებმაც თავიანთი სადაბლოლო ნაშრომები დაიცვეს სახელმწიფო კვალიფიკაციის კომისიის წინაშე.“

ეს პირველი შემთხვევაა, ინსტიტუტის არსებობის 16 წლის მანძილზე, რომ სტუდენტებმა გაიარეს არა მარტო თეორიული კურსი. არამედ მათ აქვთ პრაქტიკული ნაშრომებიც — სცენარები და ფილმები.“

შემდეგ კვითხელობით: „...არგად აქვს შესრულებული სადაბლოლო ნაშრომი სცენარისტის კარლო გოგოძის, რომელიც მოწვეულია საქართველოს კინოსტუდიაში საშუალოდ.“

ეს გახლათ დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი ქართველი კინო-



დრამატურგი, კინემატოგრაფის დედულადი ენოფიზიასტი კარლო გოკოვი.

კარლო გოკოვი დაიბადა 1909 წელს შს აპრილს საბერძენოში. მამამისი იოსებ გოკოვი ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე და მუსყარული უყოფალი, იგი ავტორია ერთი პაპარა წიგნისა, სა-ოპერო „ქართველი ჭარბისა სიღერა“, ის წარწერებს თავი-სი შინაარსით ბუნებრივი ხასიათის ლექსა, რომელიც მეფის წყო-ბილების წაწინააღმდეგო მოტივებს შეიცავდა, ამიტომ მოიწონა იგი დედამ ილიამ და სთხოვა კიდევ ცნობილ გამწეებელ ა. ხელაძის თავის მტანაშრე გამოეცა. ლექსი დაიბეჭდა 1888 წელს და მან ხალხ-ის წაწინააღმდეგო განაშაურა.

დედა ნატო პაპავა თავის ღრისათვის სუქმად კარგი მწიგ-ნობარი ქალი იყო. იგი ფურნალ „ემშაის მათარახის“ რედაქციითა მოვალეობდა.

ამგვარი კ. გოკოვი თავიდანვე ლიტერატურის მუსყარულთა წრეთა ტრიალებდა. ამიტომ ვახაგვირა არ არის, ის ცხოველი ინტე-რესი და სიყვარული შრობილური ლიტერატურისა და ხელოვნეზი-სამე, რასაც იგი ბავშვიბიდანვე იზინდა.

კარლო გოკოვი პირველადწეებით განათლება საბერძენოში მიიღო. აქვე ჩასწავლა მასზე სტენიანული სიყვარული. იგი მოწარე-ბილის ირედა სტენისმუსყარულა სემპტუდოში.

სტენთ გაცეცხა ირედად მდიდრი იყო, რომ 1927 წ. იგი თბი-ლისში ჩაიღვინა და სამსახირო სტუდიაში შედის. მაგრამ ჩქარა იგი კინოხელოვნებით დაინტერესდა.

1928 წელს ვაგით „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი პირველი კინორეცენზია გამოჩენილი კინორეცენზორის დიდა გრი-ფიტის ფილმზე „გრაბატეხილი შაბაზი“.

1929 წელს კარლო გოკოვი სწავლობდა კინოსმსახიროს სკოლა-ში. 1930 წ. კი მას აჯანყანა მოსკოვში კინემატოგრაფიის ინსტი-ტუტში სასტენარო ფაქულტეტზე სასწავლებლად. ინსტიტუტში მან არა ერთი მაღლობა დაიმსახურა, საბჭოთა კავშირის მწერლთა კავ-შირის საორგანიზაციო კომიტეტის დრამატურგების ავტორიზირი სტენის კინოს ქვესექციამ მის სტენარს „განათლებელ“ პრებიუც კი მიაწავა.

მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის წარმატებით დამთავრე-ბის შემდეგ, კარლო გოკოვი საქართველოს კინოსტუდიაში იწყებს მუშაობას და დღემდე დედულადივ იმსახურება თავის სიყვარულ კინოხელოვნებას.

კარლო გოკოვიმ მრავალი რეცენზია, ნარკვევით მოწონარაფია მოუტანა კინოხელოვნების საკითხებს. მას ეუფნო მონარეაფიე-ბი: „ნატო ვაწინაძე“, „ვასილ ამასუელი“, „იურტე მარჯანიელი“, „ივანე პერეტიაძე“. მის კალმს ეუფნოვის ავტორებე საინტერესო წიგნი „ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“, რომელიც პირველი ცეცა ქართული კინოხელოვნების ისტორიის ცალ-კეული გაშუქებისა.

მაგრამ უმოავრესად იგი ქართულ კინოდრამატურგიაში მუშაობს და სწორედ ამ ფანრში მუშაობით დასლო მან საგრძნობი ამაგი ჩვენს კინოხელოვნებას.

პირველი სტენარი, რომელიც კარლო გოკოვიმ კინოდრამატურგ ელდამირ კარახიძისთან ერთად შექმნა იყო საკომედიური კინო-კომედიის დაგანაწეული სასიძო“. ის წარწერაში, როგორც საკულ-ტურნო თამაჯე შექმნილი, საუკეთესო კომედიური ფანრის კინო-სტენარი დაიბეჭდა 1938 წელს ფურნალ „ისკუსტეო კინოში“ სბე-ციალური წერილობ „ხალისიანი კომედი“.

სტენარმა საზოგადოების დიდ მოწინავე დაიმსახურა. ერთი რუ-სი რატუნებზე წერდა: „სტენარის“ „დაკვიანა მილსინის“ ღრსებე არ არის, რომ იგი ვაჯიხატავს თანადროვე საქართველოს აღმამიანებს, ვაჩვენებს დღევანდელი კომუნისტური ცხოვრების, მის წწე-ჩელოვნებას“. რიტუნებზე განსაკუთრებით სტენარის დასაწყისი მოხ-წინდა: „ასეთი დასაწყისი შეუძლებელია მიღვევად არ ჩაითვალოს. იგი საშუალებებს აძლევს რეცენზორს, შექმნას შინაარსიანი, კვიტექსტიო მიღვიარი სტენს. ის ამაღლებს, მხარავს დაწყობილების ეპოხო-ლი თითქმის თვისხაჯად იქცევა მთელი ყოფაცხოვრების განხატვის ახალ ფორმად“. კარგ სტენარზე შექმნილ ფილმსა მონივნება ხვდა.

1941 წელს კარლო გოკოვიმ კინორეცენზორ კ. პიანინავილითან ერთად, ქართველი მწერლის ნიკოლოზ ლიპოურის „ქუჯანას“ მი-ხედვით, უხასინაველი კონსტენარი შექმნა.

უნდა იხილ ვახიხენო, რომ მანამდე ქართულ საბჭოთა კინემა-ტოგრაფიას, როგორც იდურად ისე მხატვრულად გამარჯულ ვერ-ში საბავსო თემატიკაზე არ განაწდა.

მოხარობა „ქუჯანა“ ჩვენი ახალგაზრდობის სიყვარული წარწ-რეზია. იგი საშუალებებს აძლევდა ავტორებს მთელი სისხლით ტენე-ნებთა წარსული ცხოვრების სურათად და მუსყარების თვალწინ გა-დაეშალათ გლეხების დუბჭიარი და სწინელი ცხოვრება. სტენარის ავტორებსა წარწერების იდეის სიყვარული მონიშნო გამოიწვიე-ლილოურის სტენა წარწოებებიც: „ხედი უფლებურა“ „ალი“ და სხვა. დრამატურგებმა მოხარობას შეუცვალეს სუფთობა, ჩამოხატეს ახა-ლი გმირები, უფრო მეტად გამოეყვანა მთავარი მოქმედი პირების ხოციალური ხასიათი. ყოველივე ამან განაპარობა ფილმის წარმა-ტებას.

„ქუჯანა“ ღრსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ კინოხელოვნებაში. ის იქნება ერთი სიყვარული სურათოვანი ჩვენი მოწარედა თობისათვის. — წერდა მწერალი ლევან ასათიანი ფილმის შესახებ.

შედეგი წარწოები, რომლის ეგრანდასიაცაც კარლო გოკოვი შეუღდა იყო ეკატორინე ვახაშვილის მოხარობა „მადანას ლურჯა“. დრამატურგი ამ წარწოების დამწეულებსა თავისებურად მიუღბა. ძირითადი დავაწერი ლიტერატურულ წარწოებში, მაგრამ უფრო გააფართოვა მათი ფარგლები. შექმნა მთელი რიგი ახალი საბეები, სცენები, სიტუაციები და ამით უფრო მეტიოდ დავაჯიხატა რეალუ-კობადი ქართული ხალხის მშინე ცხოვრება.

ფილმი „მადანას ლურჯა“ საბჭოთა კინემატოგრაფიის ულიდე-ნი გამარჯვება იყო. მან დღე წამატებით შემოიარა, როგორც სა-კავშირო, ასევე საზღვარგარეთის ეგრანები. კანისა და ედინბურგის მსოფლიო კინოფესტივალებზე კი პრემიებს დაიმსახურა.

ამ ბოლო ღრს კარლო გოკოვიმ კონსტანტინე პიანინავილიან ერთად კიდევ ერთი საინტერესო სტენარი შექმნა. იგი ვ. შაიკოვს-კის ცხოვრების და მოქმელების მიხედვად.

კარლო გოკოვის მხატვრული ფილმების გარდა დოკუმენტურ ფილმების შექმნაშიც იმსვენდოვლია დეაწლი მიუძღვის. „ახალწინ ველი“, „ინტერადი ლესბოები“, „ზზურა სანაპიროზე“, „ჩვენი სოფ-ლის პარსკულიანები“, „შაიკოვისის სახლ-მუზეუმი“ და მრავალი სხვა. კინოხელოვნების ამ თავდადებულ მუშაეს წელს მოვალეობიდან ში, ხოლო დღეაღებებთან 50 წლისთავი შეურბულა.

ამ თარიღის აღსანიშნავად 29 აპრილს საქართველოს ხელოვნების მუშათა სახლის გამგეობისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი სექციის ინიციატივით ხელოვნების მუშათა სახ-ლის საბჭო დრამაში მოიწეყო სადამო. იგი შესავალი სიტყვით ვახს-ნა დრამატურგმა მიხედვი მრავლშევიდა. თბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მიხსენება გააცთა ახალგაზრდა ფურნალისტო-ოთარ სეფაშვილმა.

თბილარის მისასაღმებელი სიტყვებით მიმართეს რეცენზორ რეჯა-ჩხიტეძე, რესს დას. არტისტმა მიხეილ ყვარავილელმა, რეცენზორ ა. მამულაშვილმა და სხვებმა. წაყოხილბ იქნა მოსკვიდან თბი-ლარის სახელზე მოსული კინემატოგრაფისტთა კავშირის თამბდლო-მარის კინორეცენზორ ნ. პარიკვის, კინოდრამატურგ გიორგი შლე-გინისა და საბჭოთა კინოს სხვა მოღვაწეთა მისასაღმებელი დებე-შები.

ასევედო სადამო კარლო გოკოვის საბერძენიის რაიონის კულტუ-რის საბლამ მოუწეყო. სადამო ვახსნა საბერძენის საქალაქო საბჭოს აღმსაღმით თამბდლომარემ ნ. ახაზიანიმ, სიტყვები წარმოსთვეეს საბერძენიის მეორე საშუალო სკოლის სასწავლო წარწიის ვაგემე ნ. კოპალივილიმ, საქ. ჩაის ტრესტის საბერძენიის მექანიკური ქარხ-ნის კომუნისტური შრომის ბრავადის სახლის მომწევისათვის მებრძოლ ხაბატო ბრავადის ბრავადირმა ა. დლიძემ, აბრეშუმის ძალსაღმით ვახატიის მოწინავე გამკინეწელმა ლ. სიხარულიძემ. თუ-ბილარის საკუთარი ლექსი მიუძღვნა მ. ჩავჭავჭავი.

სადამოზე ნაწეებები იქნა „მადანას ლურჯა“ და ფრამენტები კ. გოკოვის სტენარის მიხედვით გადაღებულ ფილმებთან.

დასასრულ კარლო გოკოვიმ მაღლობა გაუვახატა სადამოს მონა-წილებს გულთბილი შეხვედრისათვის და იმედი გამოთქვა, რომ საკეთილად ენერგიალად იმუშაებს შრობილური კინოხელოვნების კეთილდღეობად.

ბ ი ო რ ბ ი შ ა ვ ბ უ ლ ი ძ ე

წოდარ გურაბანიძე

უცრად წყვიდა ჩვენგან უნიჭიერესი მსახიობი გიორგი შავგულიძე, ისევე უცრად, როგორც იგი მივედინა ქართულ სცენას.

მის შემოქმედება აღსავსე იყო უწყვეტობით გზნებით, ტიპიზაციებით და ტალანტის უჩვეულო ბრწყინვალებით.

ქართულ სცენას არასოდეს არ უძვრებია ტალანტების ნაკლებობა, მაგრამ ამიერიდან უშავგულიძეობას ყოველთვის ივრანობა იგი. ეს იმიტომ, რომ მას თავისი განსაკუთრებული სამყარო ჰქონდა, იგი მიდიოდა თავის გზით და რასაც ჰქონდა, ყველაფერს მისი პიროვნული ნიჭიერების ნიშანი ანიდა.

მისი სცენური ცხოვრება დაიწყო უშუალოდ კოტე მარჯანიშვილის მეთვალყურეობით და ფაქტურად ივია აღმაშენებლის შავგულიძის, როგორც მსახიობის. იგი იყო პირველი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული გამოიჩინა ჰაბუკის მიმართ.

პირველი როლი შავგულიძემ შალვა დადიანის „კაკლ გულში“ შეასრულა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ლამბაძემ იკონებდა, რომ პირველ რეპეტიციასზე გამოუცდილი მსახიობი სცენაზე დაიბნა, თითქოს ხელფეხი შემოერკათა. ამაზე უფროსი თაობის მსახიობებს ვაცინებიათ. კოტე მარჯანიშვილს მეცარე უთქვამს მათთვის: „ეს ჯერ კიდევ ის ბარტყია, რომელმაც ახლა ვაშალა ფრთები და თქვენ მოიხსნით ერთბაშად ივრანისოს“.

ჩვენი თაობა ეს ვადა იმის მოწივე, თუ როგორ ვინც ისწავლა შავგულიძემ და რა მწვერვალზე მიაღწია მან.

შავგულიძე უაღრესად მრავალმხრივი ნიჭის მსახიობი იყო. თუმცე მისი ქეშმარიტი სტილი კომიკური და სახასიათო როლები იყო, იგი წლების მანძილზე დიდის წარმატებით ასრულებდა დრამატული როლებსაც. ის იყო არტისტი თავისი სულის ყოველ ხვეულში. ბუნებას დაჯიუტდოდა საოცარი ნიჭით, რომლისათვისაც არ არსებობდა არავითარი გადასაღებავი სიძნელე.

სრულად ახალგაზრდა იგი გამონაკლისი იყო, ხოლო დაკავებების ხანაში — ტრადიციის შემქმნელი.

სცენაზე იყო უაღრესად პლასტიკური, — ისე პლასტიკური, როგორც ეს ესმობა დავე ბერძენებს. მის გვირგვინში მერყეული იყო უაღრესი ახვევულობა, შტრიხის მოქნილობა, ფორმის გასაოცარ გემოვნასთან ერთად.

თავის როლებში შავგულიძე მინაგანი მდელვარებით და ფიზიკური პლასტიკურობით აღწევდა პირდაპირ გრაფიკულ განმარტებულობას. სადაც ყოველი უბრალო შტრიხიც ე. უაზროდ დეტალიც ე. აღსავსე იყო ცხოვრებისეული სიბრძნით. ღრმა მოცუობით და განცდილ სიწრფელებით. ეს სიწრფელები მას ახლად ყოველ როლში. რა ახალი დეტალიც არ უნდა დავამატებინა როლისათვის, ამ თუნდა ძვილი გაუმორბინა, იგი ელვად პირველყოფილი ბრწყინვალეობით. მაგრამ უთავგულოა, შტრიხის ისაა, რომ იგი იყო უაღრესად ქართული მოვლენა, მისი ტიპიზაციებით, ემოციების გამოვლენის თავისებურება, ყველაფერი ეს იყო მხოლოდ ქართველი მსახიობისათვის დამახასიათებელი.

გიორგი შავგულიძეს ძალზე ჰქონდა განვითარებული ფორმის მწვერვლების გრძნობა. მისი თითქმის ყოველი როლი დასრულებული ნახატ იყო, სადაც ხაზები და ფერები უაღრესად პრეტყველი იყვნენ. შავგულიძისთვისაც მტკავორული მხროვნება იყო — მისი დეტალები ყოველთვის ღრმა და ვადატანითი აზრით იყო დატვირთული. იგი არასოდეს ცდილობდა პირდაპირ მოეხატა რაიმე, ამ გაეუბრალოებინა, პირიქით ყველაფერს პოეტური მგზნებარე-

ბით ავსებდა. ამ თვალსაზრისით იგი ქართული სცენის პოეტი იყო, რომელმაც მუდამ სიციცხლე შემოქმონდა სცენაზე. ივიათა მსახიობი, რომელსაც ისეთი ვაბედული და პიკარბოლური ხერხებისათვის მიეპართოს როგორც ამას შავგულიძე აკეთებდა. მას შეუძლებელი იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა. სცენაზე ცოცხლობდა მუდამ ისევე, როგორც ცოცხლობს სიღერა ტექსტობი პოეტის სულში. დაუსრულებელი შეიქლო ეფრქვია ნაპერწყალი თავისი ტალანტისა, მაგრამ იცოდა სად შეჩერებულყო...

მთელი მისი არსება პირდაპირ ფიზიკურად გრძნობდა როლის უფაქიჯეს შეხებებს და ჩვენ მოწმენი ვხედობოლით არტისტული მეტამორფოზების. მისი სცენური აზროვნების მეტაფორულობა იქმნებოდა სულისა და სხეულის უწყირესი აფერბების მონაწილეობით. ეს პარაზონიულობა მის ემოციებს ეხებოდა. სცენური სიბრძნით.

აზროვნების პოეტური მეტაფორულობა და გამოსახვის პიკარბოლური ხერხები განსაზღვრავდნენ მის მიერ შექმნილი სახასიათო და კომიკური როლების განზოგადოებულ ხასიათს. სწორედ ამ თვისებების წყალობით, მან უშვანე ჩხიძის შემდეგ, ყველაზე ღრმად ივრანო დიდი ქართველი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის პეტრო თავისებური და ღრმა ტალანტი. შავგულიძის მეტაფორული ბუნების წინაშე არ არსებობდა არავითარი სიძნელე; იგი დაბადებული იყო არტისტად და მის ელასტიკურ სხეულს ყველაფრის გამოსახვა შეეძლო. მართლაც იმდენი გარეგნული სახეობა იყო მის როლებში, ფორმის ისეთი სიმკვლეო; რომ იქვენს მესხიერებაში რჩებოდა ფერწერული ნახატი. მრავალი შესანიშნავი სახე შექმნა გიორგი შავგულიძემ, მაგრამ მისი აქტივობული მწვერვალი ხარტობაა პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“. ამ როლში შავგულიძის ფანტაზია ამ იცოდა და იყო საზღვარი, როლი აღსავსე იყო გონებამახვილური დეტალების ზოპარული სიმარბალით, რომლებიც აღმასივით ბრწყინავდნენ.

შრომისა და ენთუზიაზმის ფონზე გასაოცარ შეუსაბამობად მოსჩანს ხარტონის ფიგურა, რომელიც რაღაც შემთხვევის წყალობით კოლმეურნის თავმჯდომარეა. ხარტონი პირველად მეორე მოქმედებაში გამოჩნდება, რათა მეზობელი კოლმეურნეობაში წარმოსთქვას მისალოცი სიტყვია. გმირის გარეგნული პორტრეტი უცებ იპირობდა თქვენს ყურადღებას — მას ეცვა გრძელი, თითქმის მუხლებამდე დაშვებული აბრეშუმის მდელვარებანი ხალხი, რომლიდანაც მოჩინდა ვეება დაუზღვრის ხის ქარქაშის წვრილი ბოლო. მხრების უწყნარი რწყული შემოიღობდა სცენაზე. თითქმის მისი სხეული ვერ რყვებდა ამ აბრეშუმის ხალხის და მხრებით მისი მოშორება სწავლია. კისერი შეხვეული ჰქონდა თეთრი ნაჭრით — მუდმივმა „გრეჩიმა“ თუ ატკინებს კელო (როცა ეს საუბრტკალი აღდავა გასულ სეზონში, გ. შავგულიძემ ამ ნაჭრის უზარმაზარი ინგლისური ქინძისთავით იხვეა), ცხვირზე მოზრდილი მეტეში ჰქონდა, რაც მის სახეს აძლევდა „ვენეზიან“ გამოხეტყელებას, ხოლო ნესვივით მელოტ თავზე, თმები უჩინდნენ წინ წაშობო, რათა თავისი ხანდაზმულობა როგორმე დავეფრა. იგი ათვისსკენ მიეგრებოთბოდა ნელი, საზვიმო ნახავით, პატარა თავივლი ზურგს ეუკან ჰქონდა დამალული (იგი არ არის სხეულებით დამაბო და ჯერტმდენური ფესტის ვაკე-თება არ ავიწყდება), მთელი მისი სახე, სხეული გამობნტკავდა საზვიმო-ირონიულ განწყობილებას, მან იცის „რეჩის“ ფაზი, მას კიდევ არ ვაპქრებოდა ძვილი მობარბიუსი კევი. კების ერთ საფეხურზე მსუბუქად შეშვადნა გ. შავგულიძე ფეს, მერე უცებ მოსხლებით მოიქნევდა სხეულს,



აისებებოდა გვირისტინეს წინ და აი, მაშინ, სულ ახლოს მხრილი, თაველს მიუტანდა სახესთან, თვითონ უყანას-ნივლი შეისრინებდა ვარდის სურნელს და ხრინწიანია ხმით, რომელიც ხან ბოხი იყო, ხან წყრილი, იწყებდა სიტყვებით, მისი მოაჯირზე გადმობდა ვარდს.

მისი გამოხედვა, თავის მოზრუნება და უპარაკი "ზნა-რეკებით" ჩაწიწიებული მივარდის წინ გამოშვება, მუდამ მაგონება და ფრთხილება, რომელსაც ეს ესა კული გაუშლია და გახვრილები, ფერების სიგურებით აოცებს სანარალი ფრინველის სხვათაშორის, ხარტონს ეს ფრინველი უყვარდა და მის მოშენებას მისდევს, რისთვისაც, "მადლობის მაგერი საყვედური მომარტყეს უკანასკნელი გაფრთხილებით. ნეტავი, კარგი მაინც დაუფასებიათ... კაცი, ასე ჩაბნე-წერეს: გამკვირვის სახლი დაუხვარავია და ეზოში კი ფარშა-ნავიტი ხოცს. შენობას, ვიჭვით, ნაკლი აქვს, მაგრამ ფარ-შავენზე ხომ კარგია. იმას ცუდ სახურავთან რათ ავაკრი-რებ?" ამას იგი ამბობდა ზეურელ აღმოთვებით. თავის თა-ვისაღმი ირონიულად განწყობილი, ვინაიდან მშენებარდ იცოდა, რომ კარგი ფარშავენებისა და ცუდი შენობის დაბი-ნისებრება უაზრობა იყო, მაგრამ თავის მართლების არც ერთ შესაძლებლობას არ უშეგებდა.

საქმიანი იერი ამ თავმჯდომარეს იშვიათად ჰქონდა და თუ რამის გამხელას მოისურვებდა როგორღაც საიდუმლო-ებრივი გამომეტყველებით მოუხებობდა თავის ბივადი-რებს. დაჯდომილი სახელდასაულო გაჩენილ ტაბურეტ-ზე, ცალ ფეხს გაშლიდა, ჯიბიდან პაპიროსს ამოიღებდა, შესაიავებდა სხვებს, მაგრამ ისე სწრაფად ჩამოატარებ-და გასწილი კოლოფს, მსურველები ხელის გაწვდასაც ვერ ასწრებდნენ — ახლა რისთვის დაგინაბრეთ, არ მკითხავთ? — და როცა ყველანი გარს შემოუხვედნენ იგი მოულოდნელად, ხელის მოვლებული, საუღმისი წამო-აყვება სკამს, უფრო კონფიდენციალურის გზიდა და ტ-მოსფეროს: "ჩემი ხელმძღვანელობით და უნაბრით ისე წყვიყვანე საქმე, რომ ხელიდან ჩვენს კოლმურნობას შეგაძლებს ერთი მთელ კავშირში სახელგანთქმული, ირ-დენისანი სტანანოველი".

ყველაზე მეტად უფრთხილია, რომ სხვებს, განსაკუთ-რებით ქალებს, მისი წყენა გულში არ ჩაჩენილია („არასფერი გეწყვინოს, გოგო!“). ქალების მიმართ იგი ალურსანიანი იყო და მზით გარუჯულ, ზორცასაზე მკლა-რებზე უყვარდა ხელის შეკვლა, ხოლო როცა ქალი გა-უსხლებლად იგი აღტაცების სასოფრველთაში ეშ-ვეებოდა და გაუზიზღებული კედელს ურტყავდა მსუბუქად ხელს, თითქოს თავს ისჯიდა, და განწიროლი ხმით იწყებ-და, ისე, რომ თანდათან უმატებდა: — „ღედა, ღედა, ღე-და... და ზოლოს, როცა მაყურებელს გონას საბოლოოდ ჩაუწყობდა ხმა მსახიობოს და არც სწინეთა ვყოფიარ, კიდევ ერთხელ — „ღედა“ — გადადიოდა კომპიურ შევიცლე-ვაში.“

მიუხედავად გარეგნული ზვიადობისა იგი მხალეი იყო და მალე ფრთხილბოდა. როცა ხარტონმა მოთმინებთან გამიკვირდა ჯიბილი და მისი ხელი ადმართა მანჯ, გ. შა-ვალუმი-ხარტონი უცებ დააპატარავდა, წელზე შე-მოხვია, ფრთხილი იწყო მისი დადმეიდება, ჯერ მე-მოხვია მოუსვა ხელი, შემდეგ მკერდე და როცა დარწ-მუნდა დაკაშაშინებო, მერე გაბადა ცალი თვალით აქებდა ზეიით. მაგრამ ჯიბილი კვლავ ადევლებული და ხელად-მართული იდგა. მაშინ გ. შავაგულიძე ფრთხილად მიბა-რებდა ამ მკლავისაკენ, ჩამოეკიდებდა ზედ და სანამ არ დასშვებინებდა, ლაპარაკს ვერ მუდავდა. შესაბარალისა მო-სწყლებით, თითქოს რაღაცას შესთხოვს: „კაცი, შენ არ მიიბარა, საცოლეს გულისათვის წელზე ფეხს დავიდ-ვამო!“

მერე ნელნელა ცოცხლებოდა, სითამამე უბურუნდებო-და თუმცა ტბილად, მაგრამ საკუთარი ღირსების დაცვით, ამავ დროს ფანოლარულად და საცოდავადც კი: — „შე რას იმეცხვად, შე უმოწყალო...“

ამ როლში შავგულიძე ისე მოულოდნელად შემოატ-

რიალბდა ფრზას, უყვარ რაიმეს გააკეობდა, რომ სულ-იცლებოდა სიტუაცია...

...მესამე მოქმედებაში ზუქუნარის სტუმრები ეწვივნენ და კოლეგების თავედმობარე ძებნენ:

მატი — ხარტონს რა ვნახავ?

ჯიბილი — ის ამას იქით არსად წავა.

და მართლაც, მოულოდნელად საბურის გატეხილი სარკ-მილიდან თავს ამოპყვოდა ხარტონი: — „აბა, დამკვრელებო, მეზობლები გვესტუმრენ, კარგად დატრიალებით — სათ... ბური დაბალი იყო და ხარტონი ზედა ტანით წამობარ-თებოდა — თითქოს რაღაც ჯადღქრების წყალობით მიწი-დან ამოზარდა და იქ ამოყო თავი, საიდანაც მის გამო-ჩენას არავინ ელოდა.“

...ჯამლითი ეტუნება ხარტონს: — „როგორ, მიმინო-სავით ქალი მთელ კოლეგებს ხელის ვულვ დავევივინა და თქვენ აქედან უფრთხილებით“

